ოკინის ფარღილან

სამოგზაურო

გზამდე

რკინის ფარდიდან

აბრეშუმის გზამდე

ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური მოღვაწეობა

თბილისი 2018

UDC(უდკ) 342. 536. 12 (479. 22)
ზ - 971

შემდგენელი ნანა ზურაბიშვილი
რედაქტორი ქეთევან კიკნაძე
დამკაბადონებელი ზურაბ მიმინოშვილი
დიზაინერი ია ხატიაშვილი
ფოტო სერგო ედიშერაშვილი, ედუარდ პესოვი, ედუარდ შევარდნაძის პირადი არქივი

გამომცემელი გია ჯოხთაბერიძე

© მანანა შევარდნაძე
© პაატა შევარდნაძე

ISBN 978-9941-27-685-9

წიგნი, რომელსაც ფურცლავთ, თავიდან სულ სხვა მიზნით – ოცწუთიანი ვიდეოს ლიტერატურულ სცენარად იწერებოდა. ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური ცხოვრების გზა გრძელი და წინააღმდეგობებით სავსე იყო. მისი მოღვაწეობა საქართველოს, საბჭოთა კავშირის, გერმანიის თუ ზოგადად ევროპისა და მსოფლიო ისტორიის უახლეს პერიოდს მოიცავს. მხოლოდ მშრალი ფაქტების ჩამოთვლაც კი საკმაოდ შრომატევადი სამუშაო აღმოჩნდა. ორი სქელტანიანი ნაშრომი გახდა ამ თითქოსდა პატარა წიგნის საფუძველი – ედუარდ შევარდნაძის მემუარები – „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ და გელა ჩარკვიანის ბესტსელერი – „ნაცნობ ქიმერათა ფერხული.“ ამ წიგნებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები ამოიკრიბა და წლებისა თუ პერიოდების მიხედვით დალაგდა. მართალია, ვიდეოსთვის საკმაოდ მოზრდილი ტექსტი გამოვიდა, მაგრამ როცა გადავხედეთ, მივხვ-დით, რომ ასე მოკლედ და კომპაქტურად ჩამოწერილი ფაქტები, ისტორიული შეხვედრებისა თუ გადაწყვეტილებების ჩამონათვალი საინტერესო და საჭირო იქნებოდა ყველა თაობისა და შეხედულების ადამიანისთვის. მით უმეტეს, როცა 21-ე საუკუნის ტემპო-რიტმი, ტექნოლოგიები, ვირტუალური სივრცე, მოკლე ტექსტური შეტყობინებები თუ სოციალური ქსელის ენა თავისთავად გვკარნახობს თხრობის მანერას და ტექსტის ფორმატს. ამიტომაც წიგნად გამოცემა გადავწყვიტეთ. წიგნად, რომელიც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ მოვლენებს, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო და მასთან ერთად საქართველოც და რომ ამ მოვლენების შუაგულში იდგა ჩვენი თანამემამულე, დიდი პოლიტიკური ფიგურა, საქართველოს მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

სამების საკათედრო ტაძარი. 2014 წლის 13 ივლისი

საპატიო ყარაული

ჰანს-დიტრიხ გენშერი, ჯეიმს ბეიკერი

2014 წლის 13 ივლისი.

სამების საკათედრო ტაძარი.

საპატიო ყარაული.

საპატიო სტუმრები.

სიჩუმე.

კიბეები და გზა.

გზაზე ადამიანები მიაბიჯებენ. დამწუხრებული სახეებით ეკლესიაში დგანან.

მათ შორის გამოარჩევ ნაცნობ უცხოელებს, ჰანს-დიტრიხ გენშერს და ჯეიმს ბეიკერს... ბეიკერი ცრემლებს ვერ იკავებს და გულწრფელად ტირის.

ბეიკერი – „დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ღვთის სახლში, რათა პატივისცემა და აღტაცება გამოვხატოთ იმ ადამიანის მიმართ, რომელიც თავისი ქვეყნის, ევროპის და რასაკვირველია, მსოფლიოს ფორმირებას დაეხმარა ...მსოფლიოს სჭირდება შევარდნაძისნაირი ლიდერები."

გენშერი – „შენ აჩვენე მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მსოფლიოს უკეთესობისკენ შეცვლა. ამან ჩვენ ხალხს ერთიანობა და თავისუფლება მოუტანა. ამან ევროპას გზა გაუხსნა ახალი მომავლისკენ და ამან შენ საკუთარ ხალხს, ქართველ ხალხს მისცა საშუალება თავად განეკარგა თავისი ბედი. ამით შენ მიეკუთვნები ახალი, თანასწორობაზე დაფუძნებული, მშვიდობიანი მსოფლიოს არქიტექტორთა რიცხვს."

სამგლოვიარო ცერემონია თბილისის ქუჩებისკენ მიემართება. ქუჩები ცარიელია...

ქუჩები ცარიელია... დანგრეულია რუსთაველი, პირველი სკოლა, სასტუმრო „თბილისი"... 1992 წელია...

ცნობილი დისიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ხელისუფლებაში ყოფნის 14 თვე თავისივე გუნდის წევრების განდგომით,ოპოზიციასთან დაპირისპირებით, სამოქალაქო ომით, მსხვერპლით, დანგრეული თბილისით, მოშლილი სახელმწიფო სტრუქტურებით, ერთმანეთს გადაკიდებულ, სიძულვილით და გაუტანლობით სავსე, ორ საპირისპირო ბანაკად დაყოფილი საზოგადოებით, ტერიტორიული მთლიანობის მორღვევის დასაწყისით, სეპარატისტული ვნებების გაღვივებით და გამოცარიელებული ხაზინით დასრულდა. საქართველოს დამოუკიდებლობა დეკლარირებული, მაგრამ რეალურად დაშლილი საბჭოთა სისტემის აგრესიული მემკვიდრეების კონტროლს დაქვემდებარებული იყო. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის არსებული კავშირები გაწყდა და უკვე დამოუკიდებელი ქვეყნები თავიდან იწყებდნენ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს. წინ მძიმე წლები იყო.

თბილისის აეროპორტი. 1992

1992 წლის 7 მარტი.

თბილისის აეროპორტი. თვითმფრინავის კიბეებზე შევარდნაძე ჩამოდის.

– ლაპარაკი მიჭირს – ამბობს შევარდნაძე და შემდეგ, ემოციებს გამკლავებული, ამატებს: – „ჩემს სიცოცხლეში ყველაზე სარისკო ნაბიჯი გადავდგი...“

ეს თქვა კაცმა, რომელმაც პირადი თუ პოლიტიკური ცხოვრების გზაზე სარისკო ნაბიჯებით იარა. იარა წინსვლისა და მარცხის, სიყვარულისა და სიძულვილის, სიკვდილისა და სიცოცხლის ზღვარზე. ალბათ მართალიც იყო, რადგან ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, ცხოვრება მიედინება და ყველაფერი იცვლება. ახლა სხვა შევარდნაძე იდგა თვითმფრინავის ტრაპზე და სხვა საქართველოში ჩამოდიოდა.

7 წლის წინ კი თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე. 7 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში მსოფლიო წესრიგისთვის უმნიშვნელოვანეს პროცესებში მიიღო მონაწილეობა, ურთიერთობა ჰქონდა და მეგობრობდა დიდ პოლიტიკოსებთან, მას პატივს სცემდნენ, როგორც არაორდინარულ, პროგრესულ, გაბედულ, სანდო და პატიოსან პოლიტიკურ ფიგურას.

1982 წლიდან საბჭოთა კავშირის სამი პირველი პირი მიყოლებით გარდაიცვალა – ბრეჟნევი, ანდროპოვი და ჩერნენკო. მათ შემდეგ პარტიის ცეკას გენერალურ მდივნად 53 წლის ენერგიული, საბჭოთა ხელმძღვანელის ახალი ტიპის ლიდერი მიხეილ გორბაჩოვი აირჩიეს. 1985 წლის 7 ივლისს, ყველასთვის მოულოდნელად, ედუარდ შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა. თავდაპირველად შევარდნაძემაც უარი თქვა ამ თანამდებობაზე, რაც შემდეგ პოლიტბიუროს სხდომაზე ასე განმარტა – მე არანაირი გამოცდილება არ მაქვს, თანაც ეს თანამდებობა ტრადიციულად რუსს ეკავა. მე, არარუსი, ჩემს გადაწყვეტილებებში თავისუფალი ვერ ვიქნები.

მართალია, იმ დროს პირველი პირის და პოლიტბიუროს თანხმობის გარეშე ვერაფერს გადაწყვეტდი, თუმცა შევარდნაძეს შემდგომში მაინც საყვედურობდნენ, რუსეთის ინტერესები დააზარალეო.

საგარეო საქმეთა სამინისტროში მისვლისთანავე შევარდნაძემ გულახდილად უთხრა თანამშრომლებს: „მეტად მძიმე მდგომარეობაში ვარ. საგარეო პოლიტიკის სფეროში დიდი ცოდნით ვერ გაგაკვირვებთ... ეს განსაკუთრებით ძნელი იქნება ისეთი ავტორიტეტის ფონზე, როგორიც ანდრეი გრომიკო იყო. იგი ხომ საგარეო პოლიტიკის კრეისერია, მე კი მასთან შედარებით ნავი ვარ... ოღონდ მოტორიანი."

ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ გორბაჩოვი. რეიკიავიკი. 1986

გაერო. 1985

ამ გულითადი საუბრის შემდეგ, საგარეო საქმეთა სამინისტროს პროფესიონალთა გუნდი წლების მანძილზე შევარდნაძესთან ერთად მუშაობდა პლანეტარული პრობლემების დასალაგებლად.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაგროვდა უამრავი გადაუჭრელი საკითხი, ქვეყნებს შორის დაძაბული ურთიერთობები „ცივ ომში“ გადაიზარდა, ჩამოყალიბდა ორი დაპირისპირებული სამხედრო ბლოკი, გერმანია გაყოფილი იყო ორ სახელმწიფოდ, შუაგულ ევროპაში იდგა ნახევარმილიონიანი საბჭოთა არმია, რომელიც სოციალისტური ბანაკის ქვეყნების დამოუკიდებლობაზე ოცნებას აკონტროლებდა, ამას დაემატა ავღანეთში საომარ მოქმედებებში ჩართვა, კამბოჯის, ვიეტნამის და ჩინეთის პრობლემები, გამალებული ბირთვული შეიარაღება, რეიგანის მიერ წარმოდგენილი კოსმოსური სტრატეგიული ინიციატივა. ამ ფონზე, წლების მერე, საბჭოთა სისტემამ გეზი „პერესტროიკისკენ“ აიღო, დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებულ ახალი აზროვნების პოლიტიკაზე, რომელსაც ახალი ადამიანები წარმართავდნენ. თუმცა, გამოცხადებულმა „პერესტროიკამ“ შეარბილა ცენზურა და საჯაროობის მართვა უკვე რთული გახდა.

საჭირო იყო გრომიკოს – ე.წ. „მისტერ ნეტ“-ის პირქუში პოლიტიკის შეცვლა, დაძაბულობისა და დაპირისპირების ატმოსფეროს განმუხტვა. სწორედ ამიტომ, გორბაჩოვმა არჩევანი არა დიპლომატზე, არამედ ეროვნებით ქართველ თანამოაზრე პოლიტიკოსზე გააკეთა, როცა ედუარდ შევარდნაძეს ამ ურთულესი ამოცანების დაძლევა დაავალა.

ამერიკის 37-ე პრეზიდენტი, რესპუბლიკელი რიჩარდ ნიქსონი შევარდნაძეს პირისპირ შეხვედრის დროს ეტყვის: „მინდა გითხრათ, რომ თქვენ პოლიტიკოსისთვის რამდენიმე უმნიშვნელოვანეს თვისებას ფლობთ. ჯერ ერთი, კარგად გამოიყურებით ტელეეკრანზე, სიმპათიური გარეგნობა გაქვთ, ეს კი საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის ძალზე ბევრს ნიშნავს... მეორე, მეტყველებთ პირდაპირ და სერიოზულად, ყოველგვარი წვრილმანების გარეშე. თქვენთვის უცხო არ არის იუმორის გრძნობა, რაც აგრეთვე იზიდავს მაყურებელს. მოკლედ, ყველა თვისება გაქვთ საიმისოდ, რომ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშოთ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში."

და ასეც მოხდა...

თუ საბჭოთა კავშირის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწეების იმდროინდელ ჩანაწერებს გადავხედავთ, ყველა მოლაპარაკება, ვიზიტი თუ მეგობრული შეხვედრა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ახალი მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად და ევროპის გასაერთიანებლად.

1985 წლის ივლისი. ჰელსინკი. საბჭოთა კავშირი ცალმხრივად წყვეტს ნებისმიერ საცდელ ბირთვულ აფეთქებას. აქ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს შევარდნაძე, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი. და ვინ იფიქრებდა, რომ ეს სხვადასხვა ბანაკში მყოფი ადამიანები მალე ევროპის



ალექსანდრე იაკოვლევთან.
პოლონეთის კომპარტიის ყრილობა. 1987

გუნდთან ერთად თვითმფრინავში

რონალდ რეიგანი, ედუარდ შევარდნაძე, ჯორჯ შულცი

გასაერთიანებლად ითანამშრომლებდნენ და მსოფლიო პოლიტიკაში პარტნიორები და მეგობრებიც კი გახდებოდნენ.

1985 წლის სექტემბერი. ნიუ-იორკი. გაეროს მეორმოცე ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლა და მთავარი შეხვედრა ამერიკის პრეზიდენტთან რონალდ რეიგანთან. რეიგანს ოფიციალური პროტოკოლის მიღმა ანეკდოტების მოყოლა უყვარდა, არც ქართველი შევარდნაძე უჩიოდა იუმორის გრძნობას და ერთი პოლიტიკური ანეკდოტის შემდეგ, რაზეც ბევრი იცინა ამერიკის პრეზიდენტმა, თითქოს ოდნავ დათბა ურთიერთობა ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის.

1985 წლის 19-21 ნოემბერი. ჟენევა. საბჭოთა კავშირის და ამერიკის პირველი პირების პირველი შეხვედრა. მწვავე დისკუსია, თითქმის უშედეგო მოლაპარაკება, რომელიც ნახევარი საათის მაგივრად სამი საათი გაგრძელდა. ეს იყო დიდი და რთული გზის დასაწყისი. შემდგომმა შეხვედრებმა მსოფლიო წესრიგი შეცვალეს.

1986 წლის 11 ოქტომბერი. რეიკიავიკი. სანამ შეხვედრის ადგილად ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის თითქმის შუა გზაზე მდებარე რეიკიავიკი შეირჩეოდა, მანამდე შევარდნაძე და შულცი ცდილობდნენ ლიდერების დაყოლიებას. ეს შეხვედრა შედარებით კეთილგანწყობილი აღმოჩნდა. „საქმის გაკეთება თუ გინდათ – უთხრა მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა შევარდნაძეს – რეიგანთან გამონახეთ საერთო ენა, ის ნამდვილი მემარჯვენეა, მასზე მარჯვნივ მხოლოდ ნაძირლები არიან.“

პირველი შეხვედრა ჯეიმს ბეიკერთან

1986 წელი. ვენის კონგრესი. კონფერენციის მთავარი თემებია – განიარაღება, ადამიანის უფლებები, ტრანსპორტი, გარემოს დაცვის პრობლემები. ევროპის ქვეყნების გარდა მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის დელეგაციები.

ფაქტობრივად მთელი მსოფლიოს ბედი დაკავშირებული იყო ორი ზესახელმწიფოს მოლაპარაკებებზე. საბჭოთა კავშირის მიერ დეკლარირებულმა ახალმა ზნეობრივმა პოლიტიკამ, დემოკრატიის განვითარების კურსმა და ადამიანის უფლებების დაცვაზე დაყრდნობილმა ურთიერთობებმა განაპირობეს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მეთაურთა ნდობა საბჭოთა ლიდერების მიმართ. ამ ღირებულებებს პირად თუ ოფიციალურ მოლაპარაკებებზე იცავდა შევარდნაძე, სიმპათიური მინისტრი, როგორც მას რეიგანი შემდგომ თავის მემუარებში მოიხსენიებს.

გორბაჩოვს აღელვებდა შევარდნაძის მზარდი ავტორიტეტი და პოპულარობა. მხოლოდ 1988 წლის განმავლობაში საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში იგი შეხვდა მსოფლიოს 16 ქვეყნის პირველ პირს. მოსკოვში კი 25 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს და 40 ქვეყნის ელჩს. სხვადასხვა ქვეყნის პირველ პირებს შორის იყვნენ იმ დროს მსოფლიოში პატივსაცემი, ძლიერი და გავლენიანი პოლიტიკოსები, რომლებთან ურთიერთობაც მნიშვნელოვანი გამოცდილება და სამომავლოდ მეგობრობის საფუძველიც გახდა. ასეთები იყვნენ – ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი, საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი, გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი, ჩინეთის კომპარტიის ლიდერი დენ სიაოპინი,

იაპონიის პრემიერ-მინისტრი ტაკასიტა, ირანის სულიერი ლიდერი აიათოლა ჰომეინი. რაც უფრო იზრდებოდა წარმატებები საგარეო ასპარეზზე, მით უფრო მატულობდა საბჭოთა სისტემის შიგნით შევარდნაძის მიმართ ოპოზიციურად განწყობილთა რაოდენობა. გორბაჩოვსა და შევარდნაძეს შორის ურთიერთობა გაცივდა, დაიძაბა.

1989 წლის 2-3 დეკემბერს, უკვე მალტაზე, საბჭოთა კრეისერზე –„მაქსიმ გორკი“ – უმაღლეს დონეზე გამართული შეხვედრის დროს ამერიკის ახალი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და მიხეილ გორბაჩოვი რაღაც ინფორმაციასთან დაკავშირებით ვერ შეთანხმდნენ და ბუშმა განაცხადა: „ეს ინფორმაცია შევარდნაძისგან მოდის, ჩვენ ვენდობით შევარდნაძეს.“

სწორედ მალტაზე მიღწეული შეთანხმება ითვლება „ცივი ომის“ დასასრულად.

შევარდნაძე, „შევი“, როგორც მას ამერიკელები უწოდებდნენ, საბჭოთა სისტემის მინისტრი იყო, რომელიც პოლიტბიუროსა და გენერალური მდივნის დავალებებსა თუ მითითებებს ასრულებდა, მაგრამ მას შეეძლო პირადი კონტაქტებითა და ადამიანური ურთიერთობით მოეგვარებინა უმწვავესი პრობლემები ან დათმობებზე წასულიყო ისე, რომ ეს არ გამოჩენილიყო საბჭოთა სისტემის სისუსტედ.

ახლა უკვე ჯეიმს ბეიკერთან, ამერიკის ახალი ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივანთან, არაფორმალური შეხვედრის დროს, უაიომინგის (Wyoming) შტატში მდებარე რანჩოზე, გადაწყდა ისეთი მნიშვნელოვანი მსოფლიო პრობლემები, როგორებიც იყო სტრატეგიული თავდაცვითი

შეხვედრა ჯეიმს ბეიკერთან. უაიომინგი. 1989

მოკავშირეები — ჯორჯ ბუში, ედუარდ შევარდნაძე, ჯეიმს ბეიკერი

თუ თავდასხმითი სისტემები და ქიმიური იარაღის განადგურების ინიციატივა. ამ შეთანხმებამ საბჭოთა სისტემის სამხედრო ელიტაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამას დაემატა ავღანეთიდან საბჭოთა ჯარის ნაწილების გამოყვანა, რომლებიც იქ 1979 წლიდან იმყოფებოდნენ. ეს იყო საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთის ოკუპაციის მცდელობა და მათ ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის ძალადობრივი გზით დამკვიდრება. ამ ქმედებებმა აღაშფოთა საერთაშორისო საზოგადოება. ამერიკის პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა მას უწოდა „მშვიდობისთვის ყველაზე დიდი საფრთხე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ." საბჭოთა კავშირისთვის არაფერს წარმოადგენდა გაეროს რეზოლუციები, ისლამური საზოგადოების პროტესტი, 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტი. სიტუაცია შეიცვალა სსრკ-ის გენერალურ მდივნად მიხეილ გორბაჩოვის არჩევის შემდეგ. საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე ხშირად ჩადიოდა ავღანეთში და მათ ლიდერებს აფრთხილებდა ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის შესახებ, რასაც პოლიტბიუროს გარდა, თავად ავღანეთის კომპარტიის ლიდერი ნაჯიბულა და მთავრობის წევრები არ ეთანხმებოდნენ. შევარდნაძე დაჟინებით სთხოვდა გორბაჩოვს სკკპ-ის 27-ე ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში აუცილებლად შეეტანა ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის საკითხი. ასევე საჭირო იყო პოლიტბიუროს წევრების დარწმუნება: „ავღანეთი ომისგან დაიღალა, ავღანელთა უმრავლესობა ჩვენს მხარეზე არ დგას, მათ ვერაფერი

მივეცით. ქვეყანაში ყველაფერი გაჩანაგებული და განადგურებულია," – ამბობდა შევარდნაძე თავის გამოსვლაში. ყველაზე რთული კი ავღანეთში სამხედროებთან შეხვედრა იყო. „ხალხით გაჭედილ დარბაზში მხოლოდ მე ვლაპარაკობდი. შემაშფოთებელი დუმილით შემხვდნენ, არც შეკითხვები იყო, არც გამოსვლები. ჩანდა, გენერალიტეტის ერთ ნაწილს ავღანეთიდან გამოსვლა არ სურდა... იარაღით ვაჭრობა, ნარკოტიკების გასაღება იქ დიდ მასშტაბს აღწევდა. ძნელი იყო ამის თქმა, მაგრამ ხომ ვერ დავმალავდი?! ...დარბაზში უმეტესად ქვეყნის ერთგული და პატიოსანი ოფიცრობა იჯდა, მაგრამ ისინიც დუმდნენ, არ სურდათ ამ სიბინძურესთან შეხება;"– დაწერს თავის „მემუარებში" შევარდნაძე. 1988 წლის 14 აპრილს ჟენევაში ხელი მოეწერა შეთანხმებების პაკეტს, რომლის თანახმადაც საბჭოთა კავშირს ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა უნდა დაეწყო 1988 წლის 15 მაისიდან და დაესრულებინა 1989 წლის 15 თებერვლამდე. ასეც მოხდა. თუმცა, ამ პროცესებში შევარდნაძის უშუალო მონაწილეობას უკვალოდ არ ჩაუვლია, უკმაყოფილება შემდგომ წლებში აშკარად გამოიკვეთა უკვე საქართველოს მეთაურის მიმართ, როდესაც სეპარატისტული მოძრაობა საომარ მოქმედებებში გადაიზარდა და საქართველოს მოწინააღმდეგეთა რიგებში, დაშლილი საბჭოთა არმიის გენერალიტეტის მხარდაჭერით, მონაწილეობდნენ რუსული საჯარისო ფორმირებები.

ამერიკელი ბეიკერის გარდა შევარდნაძისთვის გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი იყო ის პიროვნება, რომელთანაც ჩამოყალიბებულმა მეგობრულმა ურთიერთობამ ხელი შეუწყო ევროპის გაერთიანებას.

1986 წლის 21 ივლისს, მოსკოვში გენშერსა და გორბაჩოვს შორის გამართულ შეხვედრაზე პირველად გაჟღერდა გერმანიის გაერთიანების თემა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორად გახლეჩილი გერმანია, მისი ფედერაციული და დემოკრატიული ნაწილები მუდმივად ურთიერთკავ-შირში იყვნენ. წლების მანძილზე იგზავნებოდა მილიონობით წერილი, ამანათები. არ წყდებოდა სატელეფონო ზარები. ეს იყო შთამბეჭდავი სტატისტიკა. ისინი ერთმანეთით ცხოვრობდნენ და მათი გაერთიანება გარდაუვალი იყო, უბრალოდ ამისთვის სათანადო პოლიტიკური სიტუაცია, ნება და ლიდერების შეთანხმება გახდა საჭირო.

წლების მანძილზე ორმხრივი მოლაპარაკების დროს გენშერი და შევარდნაძე ცდილობდნენ ქვეყნის ლიდერებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება თუ გაუგებრობა მეგობრული ურთიერთობის კონტექსტში გადაეტანათ, შეემზადებინათ გერმანელები მუდმივად საოცნებო ერთიანო-ბის მოახლოებისთვის.

1988 წელს გენშერმა გააფრთხილა შევარდნაძე – გდრ-ში გახლეჩილი ერის გამთლიანების პროცესი მოსალოდნელზე უფრო სწრაფად მიდისო. 1989

გერმანელ კოლეგასთან, ჰანს-დიტრიხ გენშერთან. 1986

წლის 9 ნოემბერს ორ გერმანიას შორის ჩაკეტილი საზღვარი გაიხსნა. ეს იყო ადამიანთა მისწრაფება, ერთიანობის სურვილი და არა იურიდიული აქტი. 1961 წელს აღიმართა ბერლინის კედელი, ხელოვნური ბარიერი, რომლის გადალახვასაც წლების მანძილზე ხან გვირაბით, ხან დელტაპლანით, საჰაერო ბურთით თუ სახლებს შორის გადაჭიმული ბაგირით ცდილობდნენ გერმანელები. ზოგი დაიღუპა ან დაიჭრა, ბევრიც დააპატიმრეს. 28 წლის შემდეგ კი ბერლინის კედელი დაინგრა და მისი მხოლოდ 1 300 მეტრიანი ნაწილი შემორჩა ისტორიას, როგორც ძალმომრეობისა და უსამართლობის მემორიალი.

1989 წლის 2-3 დეკემბერს კუნძულ მალტაზე გორბაჩოვის და ბუშის შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა სწორედ გერმანიის გაერთიანება იყო. 1990 წლის თებერვალში, კანადის დედაქალაქ ოტავაში ჩატარებულ „ღია ცის“ კონფერენციაზე ბეიკერი შევარდნაძეს გვერდით მიუჯდა და ჰკითხა: „ხომ არ დადგა დრო, გერმანიის გაერთიანებაზე ვიფიქროთ?“ პრინციპში, მოვლენები უკვე ისე ვითარდებოდა, თავად ხალხი კარნახობდა პოლიტიკოსებს მოქმედების გეგმას. ბერლინის კედელი უკვე აღარ არსებობდა, მაგრამ კონტინენტის ძლიერი ქვეყნები უფრთხოდნენ გიგანტური გერმანული სახელმწიფოს აღდგენას ევროპის ცენტრში. შევარდნაძე ცალ-ცალკე ესაუბრა საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს, შემდეგ გორბაჩოვსაც დაურეკა. „ ეს საკითხი ადრე თუ გვიან გადასაწყვეტია – უპასუხა მან – და ჩვენი ვალია, დრო და

შეთანხმება მიღწეულია. 1988

მოვლენები ხელიდან არ გავუშვათ.“ შემდგომ გაიმართა მოლაპარაკებები „ორი პლუს ოთხი“ ფორმატით, გაფორმდა სათანადო ხელშეკრულებები და 1990 წლის 3 ოქტომბერს აღმოსავლეთ გერმანია დასავლეთს შეუერთდა, ხოლო ბერლინი ისევ ერთიანი ქალაქი და გაერთიანებული სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა. გერმანიიდან ნელ-ნელა დაიძრა საბჭოთა არმიის ნაწილები. საბჭოთა კავშირში ოფიცრებისა და ჯარისკაცებისთვის ნორმალური პირობების შესაქმნელად გერმანიამ 15 მილიარდი მარკა გამოყო, ამას დამატებული 5 მილიარდი უპროცენტო სესხი, რომელიც გორბაჩოვს უკვე დარღვეული საბჭოთა ეკონომიკის მოსასულიერებლად სჭირდებოდა და გამოდის, რომ გერმანიამ საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა თავისუფლებისთვის, რომელიც საბჭოთა სინამდვილეში დაიკარგა, გაიფლანგა და სამხედროების უკმაყოფილება გამოიწვია, რამაც შემდგომში არაერთხელ იჩინა თავი. გერმანიის გაერთიანება, ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა, ევროპის უსაფრთხოება, შეიარაღების შემცირება შევარდნაძეს ბრალდებოდა და რუსი ნაციონალისტების გაღიზიანებას იწვევდა. თუმცა ეს პროცესები გარდაუვალი იყო და მიხეილ გორბაჩოვსა თუ ალექსანდრე იაკოვლევთან ერთად შევარდნაძესაც თავისი წილი პასუხისმგებლობა გააჩნდა. ამ პროცესებისთვის გორბაჩოვმა ნობელის მშვიდობის პრემია დაიმსახურა, შევარდნაძე კი სკკპ-ის უმაღლესი საბჭოს ტრიბუნიდან სასტიკად გააკრიტიკეს. დამცველი არავინ აღმოჩნდა.

მსოფლიოსა და ევროპაში მიმდინარე პროცესები, საბჭოთა კავშირის შერბილებული პოლიტიკა, დემოკრატიისკენ სვლა და ადამიანის უფლებების დეკლარირება ის ნაბიჯები აღმოჩნდა, რომლებმაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა შეზღუდულ ქვეყნებში მღელვარება და რევოლუციური ტალღა ააგორა. პოლონეთში ლეხ ვალენსა, ჩეხოსლოვაკიაში ვაცლავ ჰაველი, საბჭოთა რესპუბლიკებში კი „სახალხო ფრონტი“ და „ეროვნული მოძრაობა“ გააქტიურდა. დაიწყო პერმანენტული გამოსვლები, მიტინგები და დემონსტრაციები დამოუკიდებლობის მოთხოვნით, თუმცა საბჭოთა კავშირი რღვევის პირას იყო მისული და ამ უზარმაზარი, ძალადობით შექმნილი სახელმწიფოს ნანგრევებში მოყოლა უმსხვერპლოდ ძნელი იქნებოდა.

1988 წლიდან დაიწყო სისხლიანი დაპირისპირებები.

მთიანი ყარაბაღის პრობლემა, რასაც სუმგაითის ტრაგედია მოჰყვა. შემდეგ თბილისი, 1989 წლის 9 აპრილი, უდანაშაულო მომიტინგეების სასტიკი დარბევა. შუა აზია, ფერღანის ველი, ბაქოს „შავი იანვარი“, ვილნიუსსა და რიგაში მწვავე პროცესები და ბალტიისპირეთის ქვეყნების საპროტესტო 600 კილომეტრიანი ცოცხალი ჯაჭვი.

კომუნისტური მთავრობები ნელ-ნელა იცვლებოდნენ ეროვნული იდეებით მოსული ხელისუფლებებით. ჯერ დაიწყო სუვერენიტეტის აღიარება, დამოუკიდებლობის გამოცხადება კი საბჭოთა რესპუბლიკებს შორის პირველად ლიტვამ გაბედა. ეს იყო 1990 წლის 11 მარტი. 1991 წლის ბოლოსთვის თითქმის ყველა საბჭოთა რესპუბლიკა იურიდიულად დამოუკიდებელი გახდა, თუმცა, რეალურად ეს ასე არ იყო.

საბჭოთა კავშირი მართალია სულს ღაფავდა, მაგრამ გორბაჩოვი ცდილობდა ახალი, დამოუკიდებელ რესპუბლიკათა გაერთიანება შეექმნა, რასაც აგვისტოს ცნობილი გეკაჩეპეს პუტჩი და გორბაჩოვის იზოლაცია მოჰყვა. ამის შესახებ შევარდნაძეს ინფორმაცია მისდიოდა როგორც სუკიდან (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი), ასევე უცხოეთის საელჩოებიდან. აფრთხილებდა გორბაჩოვს, მაგრამ მათ შორის აღარ იყო ის ურთიერთობა, როგორიც „პერესტროიკის“ დასაწყისში, ამიტომ ედუარდ შევარდნაძემ 1990 წლის დეკემბერში, სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ღიად განაცხადა – დიქტატურა გვიტევსო და თანამდებობიდან გადადგა. 1991 წლის 19 - 21 აგვისტოს მოსკოვის პუტჩის და გეკაჩეპეს ხანმოკლე მმართველობის დღეებში საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გაურკვეველი, ორჭოფული პოზიცია დაიკავა. მოსკოვის მოთხოვნით ოფიციალური სტატუსი მოუხსნა ეროვნულ გვარდიას და შსს-ს დაუქვემდებარა. საქართველოში დენთის სუნი დატრიალდა.

გადადგომის შემდგომ პერიოდში ედუარდ შევარდნაძემ თანამოაზრეებთან ერთად დააფუძნა მოძრაობა – „დემოკრატიული რეფორმებისათვის“. მას ხშირად სტუმრობდნენ მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩასული

გადადგომა. 1990

სხვადასხვა ქვეყნის ლიდერები თუ წარმომადგენლები, ცნობილი პოლიტიკოსები. 1991 წლის აგვისტოს პუტჩის დროს, შევარდნაძე „თეთრი სახლის“ წინ ტანკზე შემდგარი რუსეთის პრეზიდენტის, ბორის ელცინის, გვერდით დადგა... შევარდნაძე ჩვენთანაა! დაიყვირა ვიღაცამ და ხალხიც აჰყვა სკანდირებით... ამ მოვლენებიდან რამდენიმე თვეში 1991 წლის დეკემბრის ღამეს, მინსკის მახლობლად, ბელოვეჟსკაია პუშჩაში, სამი რესპუბლიკის – რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის – ხელმძღვანელებმა საბჭოთა იმპერიის არსებობას წერტილი დაუსვეს და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, ე.წ. დსთ შექმნეს. ელცინის რუსეთსა და გორბაჩოვის რუსეთს შორის ბრძოლა, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმებით დასრულდა. „ბოროტების იმპერია“ დაინგრა, როგორც ბევრი სხვა, მაგრამ დათმობდნენ კი პოზიციებს საბჭოთა სისტემაში გამოზრდილი რეაქციული ძალები? ისინი ბევრნი და ყველგან იყვნენ. ხშირად ეროვნულ მოძრაობებს შეფარებულნი თუ ახალი ხელისუფლების ეშელონებში მოკალათებულები. მათი ქმედებები პირდაპირ იყო მიმართული მყიფე დემოკრატიის, თავისუფლებისა და ახალი ლიბერალური აზროვნების წინააღმდეგ.

საქართველომ დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს მიღებული აქტის საფუძველზე აღადგინა. ეს მოხდა 1991 წლის 9 აპრილს. ხელისუფლებაში არჩევნებით და საზოგადოების დიდი მხარდაჭერით მოსული პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდა“ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით ქვეყნის მართვას შეუდგა. ეს იყო ძალა, რომელიც მხურვალე ეროვნული გრძნობებით სავსე ხალხის თანადგომით, ოპონენტების მიმართ შეურიგე-

ბელი, ხშირად მტრული დამოკიდებულებით, ეროვნულ უმცირესობებთან დაპირისპირებით, სახელმწიფოს მართვის არცოდნით და გამოუცდელობით აპირებდა ახალი საქართველოს შენებას. აგრესიულმა პოლიტიკურმა კურსმა უკმაყოფილება არა მარტო საზოგადოების ნაწილში, არამედ თავისივე თანაგუნდელებშიც გამოიწვია. ამას დაემატა კომუნისტების მიერ შექმნილი ავტონომიების სეპარატისტული ვნებები, რითაც საბჭოთა კავშირის რეაქციულ ძალებს და შემდგომ რუსეთს, როგორც სსრკ-ის მემკვიდრეს, შეეძლო ყოფილ რესპუბლიკებში არეულობა, სისხლისღვრა და ომიც კი წამოეწყო.

საქართველოშიც მსგავსი სცენარით განვითარდა მოვლენები.

ქვეყნის საერთაშორისო აღიარება გაჭიანურდა, მსოფლიო სიფრთხილით აკვირდებოდა ტოტალიტარული აზროვნების წიაღიდან გამოსული ახალი, დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირველ ნაბიჯებს და არ ჩქარობდა.

შიდა კონფლიქტებმა, ოპოზიციასთან დაპირისპირების ძალადობრივმა მეთოდებმა, ხელისუფლების შტოებს შორის განხეთქილებამ, პრეზიდენტის ხისტმა პოზიციამ, შეურიგებლობამ და მოლაპარაკების გზით სიტუაციის მოგვარების უგულებელყოფამ ქვეყანა სამოქალაქო ომამდე მიიყვანა. საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა თანამოაზრეების მცირე ჯგუფთან ერთად ქვეყნის საზღვრები დატოვა. მსხვერპლი, ნგრევა, სიძულვილი, ქაოსი, შეიარაღებულ ფორმირებათა თარეში, ერთმანეთთან დაპირისპირება, სისხლიანი ანგარიშსწორება, ცარიელი ხაზინა, დანგრეული ეკონომიკა – ეს ყველაფერი ომის მძიმე შედეგი იყო. და აი, ასეთი უმძიმესი მდგომარეობიდან საქართველოს მხსნელი ბევრისთვის საერთაშორისო ავტორიტეტის, კონტაქტებისა და მეგობრული ურთიერთობების მქონე, მსოფლიო დონის გამოცდილი პოლიტიკოსი ედუარდ შევარდნაძე აღმოჩნდა. მოსკოვის მის ოფისში არ წყდებოდა საქართველოდან გამოგზავნილი წერილების ნაკადი თუ პირადად ჩასული საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლების ვიზიტები, ერთადერთი თხოვნით – დაბრუნებულიყო საქართველოში. შევარდნაძემ გადაწყვეტილება, სამშობლოს სამსახურში ისევ ჩამდგარიყო, თავისი მეგობრის, ჰანს-დიტრიხ გენშერის, გარდა გაუზიარა ჯეიმს ბეიკერს, ჟაკ შირაკს, ჰენრი კისინჯერს, იასუჰირო ნაკასონეს, ბობ სტრაუსს და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ზოგიერთ ლიდერს – ბორის ელცინს, ნურსულთან ნაზარბაევს, ლევონ ტერ-პეტროსიანს. პოლიტიკური და მორალური მხარდაჭერა მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის აბსურდული ბრალდებების, მუქარისა და ხალხის განწყობებზე მანიპულირების მიუხედავად, შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა.

საქართველო ის ქვეყანა აღარ იყო, რომელიც ცეკას პირველმა მდივანმა წლების წინ დატოვა. აქ ყველაფერი შეიცვალა, ადამიანებთან ერთად. არც შევარდნაძე იყო ის კომუნისტი შევარდნაძე, ისიც შეიცვალა.

ქუთაისის კომკავშირის მდივანი. 1953

ედუარდ შევარდნაძე კი კომუნისტი 1948 წელს, 20 წლის ასაკში გახდა.

მანამდე იყო კომკავშირი, საბჭოთა სისტემის პირმშო ახალგაზრდული გაერთიანება, მომავალი პარტიული მუშაკების სამჭედლო. მართალია, მშობლებს უნდოდათ ექიმი გამხდარიყო, მაგრამ შევარდნაძემ პარტიული კარიერა ამჯობინა და ამ გზაზე არ შეუშინდა ისეთ წინაღობას, როგორიც რეპრესირებულ ოჯახიშვილთან ქორწინება იყო. მომავალი მეუღლე და თანამოაზრე, ნანული ცაგარეიშვილი, წაღვერში გაიცნო. „რომ შევუღლდეთ, შენ პარტიულ კარიერას უნდა გამოეთხოვო. არ მინდა ამის მიზეზი გავხდე და დაგღუპო, ამის უფლება არ მაქვს“ – ასე უთხრა ახალგაზრდა გოგონამ ახალგაზრდა შევარდნაძეს, რომლის პასუხიც იმ დროს და იმ ვითარებაში ძალიან გაბედული იყო – „რა არის კარიერა სიყვარულთან შედარებით?!... რას გაიხარებს მამაჩემი! თბილისში 14 წლისა იმიტომ გამომგზავნა, რომ კარგად მესწავლა, მედალი ამეღო და სამედიცინო ფაკულტეტზე შევსულიყავი. ჰოდა, ა, ბატონო, ეყოლება ექიმი შვილი!“

შევრადნაძე ექიმი არ გახდა, მაგრამ მთელი თავისი პოლიტიკური კარიერის მანძილზე ბევრი პრობლემის ექიმობა შეძლო. ამ რთულ გზაზე მის გვერდით იდგა ერთგული მეგობარი, საყვარელი ადამიანი, მისი შვილების დედა და თავისთავად ლიდერი ქალბატონი, ნანული ცაგარეიშვილი.

ალკკ ასე იშიფრებოდა – ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი. ამ ორგანიზაციას ყველა ის სტრუქტურა და იერარქიული საფე-

ნანული ცაგარეიშვილი. 1951

ხური ჰქონდა, რაც მშობელ კომუნისტურ პარტიას. დაწინაურებაც ნელ-ნელა, დამსახურებისა და თავის გამოჩენის შემდეგ ხდებოდა. 1956 წლის ბოლოს, უკვე ხრუშჩოვის პერიოდში, ახალგაზრდა კომკავშირლები ყაზახეთში ყამირის გასატეხად წავიდნენ. შევარდნაძე ქართველ ახალ-გაზრდებს ხელმძღვანელობდა და შუა აზიაში შეკრებილ საბჭოეთის სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად „ყამირის ადამიანად“ მიაჩნდა თავი. სწორედ იქ დაუახლოვდა მიხეილ გორბაჩოვს, სტავროპოლის მხარის კომკავშირის ლიდერს, რომელთან ერთადაც ბედი მსოფლიო წესრიგის შეცვლას არგუნებს, სადაც არც კომკავშირისთვის და არც კომუნისტური პარტიისთვის ადგილი აღარ იქნება.

მანამდე კი მცხეთის რაიკომის მდივანი, მერე იმ პერიოდის მექრთა-მეობასთან თუ ჩრდილოვან მეწარმეებთან, ე. წ. „ცეხავიკებთან“ მებრძოლი შინაგან საქმეთა მინისტრი, მკაცრი და უკომპრომისო ედუარდ შევარდნაძე 1972 წლის სექტემბერში საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი ხდება.

ქართული ჩაი, ციტრუსი, ღვინო, ბორჯომი, მზე და შავი ზღვა, მარგანეცი და ქვანახშირი, ქართული სუფრა და ცეკვა-სიმღერა იყო საბჭოეთისთვის ჩვენი ქვეყნის სახე. შევარდნაძის ცეკას მდივნობის დროს დაწყებული ექსპერიმენტები, არა მარტო ეკონომიკისთვის იყო სიახლე და თამამი ნაბიჯი, არამედ ქართული კულტურისთვისაც.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი. 1971

სოფელ აბაშაში კოლმეურნეებისთვის ანაზღაურების ე.წ. „უნგრული სისტემის“ დანერგვამ გამოაცოცხლა ეკონომიკურად ჩამორჩენილი მხარე. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის სანახევროდ გლეხისთვის გადაცემამ და მოწეული მოსავლის წილობრივმა განაწილებამ საბაზრო ეკონომიკის ელემენტები შეიტანა საბჭოთა ცენტრალიზებულ ეკონომიკაში. ფოთის შემთხვევაში კი ქალაქის თვითმმართველობის გაძლიერება და ბიუჯეტის გაზრდა მოხდა, როცა მთელი რიგი საწარმოებისა თუ პორტიდან შემოსული თანხების ნაწილი ქალაქის ბიუჯეტში რჩებოდა. ეს თამამი ექსპერიმენტები შესაძლოა თანამდებობის დატოვების ტოლფასი გამხდარიყო საბჭოთა რეჟიმის პირობებში.

საბჭოთა პერიოდის ყრილობებსა თუ პლენუმებზე ხშირად გაისმოდა ლენინის იდეების, კომპარტიისა თუ უმაღლესი ხელმძღვანელების ქება-დიდება. ეს ერთგვარი აუცილებელი შესავალი იყო ძირითად სათქმელამდე. შევარდნაძეც ოსტატურად ახერხებდა, ხშირად მისთვისვე უხერხული ფრაზებით თუ დითირამბებით, თავმოყვარეობისა და თანამემამულეების უკმაყოფილების ხარჯზე, კომპრომისებით, როგორც ისტორიულად ჩვენი მეფეები და დიდებულები დამპყრობლების კარზე, ქვეყნის საკეთილდღეოდ მოეპოვებინა მეტი თავისუფლება, ახალი პროექტების ნებართვა და დაფინანსება, შეერბილებინა ცენზურა, მიეღწია დამოუკიდებლობის უფრო მაღალი ხარისხისთვის, რაც ასე შესამჩნევი იყო საბჭოთა საქართველოში.

დიახ, ეკონომიკური ექსპერიმენტების გარდა, საქართველო ღია იყო კულტურული, საგანმანათლებლო თუ მეცნიერული ექსპერიმენტებისთვის. თავად რუსი ავტორები ბეჭდავდნენ ჩვენს ქვეყანაში თავიანთ გამოუცემელ ნაწარმოებებს, შეუზღუდავად ითარგმნებოდა მსოფლიოს ლიტერატურული შედევრები, ჟურნალი „ცისკარი“ აქვეყნებდა ახალ ქართულ რომანებს, მოთხრობებსა და ლექსებს, რომლებმაც დიდი აჟიოტაჟი და სიყვარული დაიმსახურეს. თეატრსა და კინოში რეჟისორები თამამად ახორციელებდნენ ჩანაფიქრს, სადაც არც თუ ფარულად იკვეთებოდა სისტემის კრიტიკა, დაცინვა და თავისუფლების იდეა. ასეთი იყო რუსთაველის თეატრის დადგმა „ყვარყვარე თუთაბერი“, თენგიზ აბულაძის მხატვრული ფილმი „მონანიება“, რომლის გადაღების და შემდგომი წარმატების უკან იდგა ედუარდ შევარდნაძე. ფილოსოფიის ინსტიტუტი ლიბერალური აზროვნების ცენტრი გახდა. მერაბ მამარდაშვილის, ნიკო ჭავჭავაძის თუ სხვა გამოჩენილ ფილოსოფოსთა ნააზრევით უკმაყოფილო მოსკოვი ინსტიტუტს დახურვით დაემუქრა. შევარდნაძის უშუალო, თამამი და მოქნილი პოლიტიკური ნაბიჯებით, ხშირად ინტუიციის კარნახით, მოხერხდა ამ ინსტიტუტის შენარჩუნება და ქართული ფილოსოფიური სკოლის გადარჩენა. ან თუნდაც მეამბოხე და გამორჩეული კინორეჟისორის, უკრაინის ციხეში მყოფი სერგო ფარაჯანოვის პატიმრობიდან დახსნის, საქართველოში დაბრუნების (უშიშროების წინააღმდეგობის მიუხედავად), კინოს გადაღებისთვის ხელშეწყობის უკან შევარდნაძის ფარული მოქმედების ბევრისთვის უცნობი ამბავი.

მკაცრი და უკომპრომისო დამოკიდებულება, რომელსაც შევარდნაძე იჩენდა საბჭოთა სისტემისთვის, და ალბათ, ნებისმიერი სისტემისთვისაც, მიუღებელი მოქმედებების წინააღმდეგ, მას ბევრი არაკეთილმოსურნე თუ უბრალოდ, მტერი შესძინა. მექრთამეობასთან და არალეგალურ, დაფარულ

ჟიული შარტავა, ჯუმბერ პატიაშვილი, ედუარდ შევარდნაძე, ევგენი ტიაჟელნიკოვი. მთა-თუშეთის გზაზე. 1981

სტუმრად სოფელში. 1983

ლეონიდ ბრეჟნევი, მიხეილ გიორგაძე, ედუარდ შევარდნაძე. დაჯილდოება. მოსკოვი. 1976

შემოსავლებთან ბრძოლა არ მოსწონდათ არც სახელმწიფო სამსახურებში მოკალათებულ არაკეთილსინდისიერ ჩინოვნიკებს და არც უკანონო წარმოებით გამდიდრებულ „საქმოსნებს". ხშირად მის საწინააღმდეგო „დანოსებს" აგზავნიდნენ კრემლში და ცდილობდნენ საქართველოსთვის მოეშორებინათ მათთვის ასე არასასურველი ხელმძღვანელი. მართალია, შევარდნაძე მოსკოვში გადავიდა, მაგრამ სულ სხვა მიზნით და მიზეზით. ეს მერე იყო.

კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების დროს უშიშარი, ხშირად სიცოცხლისთვის სახიფათო გადაწყვეტილებებსაც იღებდა. ასე იყო 1977 წელს „დინამოს" სტადიონზე, როცა მსაჯის არაობიექტური გადაწყვეტილების გამო მაყურებელი მინდორზე გადავიდა. მილიცია ველარ აკავებდა აბობოქრებულ მასას და შევარდნაძეც სამთავრობო ტრიბუნიდან, რომ იტყვიან, გადაეშვა მოედანზე და აღშფოთებული გულშემატკივრები სტადიონს მშვიდობიანად გაარიდა. ან აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სტადიონზე, აფხაზური თავყრილობის დროს გამოწვეული მღელვარების მოგვარება. მცირერიცხოვანი აფხაზები საქართველოდან გამოყოფას მოითხოვდნენ და შევარდნაძის დანახვაზე, რომელსაც რუსი მაღალი თანამდებობის პირი ახლდა თან, ქვების სროლა დაიწყეს. ამ სიტუაციაშიც სარისკო და მშვიდობიანმა ნაბიჯმა დააშოშმინა სამტროდ განწყობილი აფხაზები. სტადიონზე გადასვლა და უხუცეს აფხაზთან მოლაპარაკება, ბოლოს მის სახლში სტუმრობით დამთავრდა. აფხაზების მოთხოვნები დაკმაყოფილდა – სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი გარდაიქმნა უნივერსიტეტად, საქართველოს ტელევიზიაში აფხაზურ ენაზეც დაიწყო მაუწყებლობა, გამოიცა ჟურნალ-გაზეთები.

1978 წლის 14 აპრილი კი, შეიძლება ითქვას, შევარდნაძის „დაგეგმილი“ იყო. საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში 76-ე მუხლის მიხედვით ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი უუქმდებოდა. შევარდნაძე მოსკოვში ჩავიდა და სსრკ გენერალურ მდივანს ლეონიდ ბრეჟნევს შეხვდა. აუხსნა რას ნიშნავდა ჩვენთვის ქართული ენა, ბრეჟნევმა გაუშვა სუსლოვთან, ჩერნენკოსთან და კაპიტონოვთან. უშედეგოდ. მოსკოვში მეორედ ჩასვლის მერე, იგივე პირებთან უფრო სხვა სახის საუბარი გაიმართა. ენის მნიშვნელობის გარდა, 1956 წლის გამოსვლებიც ახსენა, ახალგაზრდების პროტესტი და მოვლენების განვითარების სამი ვარიანტი გააცნო. პირველი – ხალხი ქუჩაში გამოვიდოდა, მეორე – შეიძლება ვერ შეენიშნათ ეს ცვლილება, მაგრამ მომავალი თაობა აუცილებლად დაუბრუნდება ენის საკითხს და მესამე – შეიძლება ყველაფერს უმტკივნეულოდ ჩაევლო, მაგრამ მე ჩემი სინდისის წინაშე მართალი არ ვიქნებიო – ასე დაასრულა საუბარი შევარდნაძემ. მაინც არაფერი გამოვიდა. ცოტა კი შეარბილეს ფორმულირება, მაგრამ არსი იგივე დარჩა. თბილისში დაბრუნებული საქართველოს ცეკას პირველი მდივანი საზოგადოების რეაქციას ელოდებოდა, ფიქრობდა კონსტიტუციის პროექტის ორი თვით ადრე პრესაში გამოქვეყნებას აჟიოტაჟი მოჰყვებოდა, მაგრამ არა, არავის არაფერი გაუპროტესტებია. არც შეუნიშნავთ. ეს ახლა არის კონსტიტუციის თითოეული მუხლის განხილვა საჯარო და საომარი, თორემ საბჭოთა დროს არც კონსტიტუცია აინტერესებდა ხალხს და არც არჩევნები. კომუნისტურ კალაპოტში ყველაფერი მდორედ მიედინებოდა. სხვანაირი მოქმედება იყო საჭირო. უნივერსიტეტში და სხვადასხვა ორგანიზაციებში შეხვედრის დროს შევარდნაძემ საჯაროდ განიხილა კონსტიტუციის პროექტი, ყურადღება 76- ე მუხლზე შეაჩერა და ქართველი ენათმეცნიერებისა და მწერლების მოსაზრებებს დაელოდა. მალე ამ მუხლს მკვეთრი კრიტიკა მოჰყვა, განსაკუთრებით მწვავედ, ცეკას შენობაში შეკრებილი საზოგადოების თავყრილობაზე, პუბლიცისტი აკაკი ბაქრაძე გამოვიდა. თავისი ვარიანტი შესთავაზა აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ. უნივერსიტეტში სტუდენტების მღელვარება დაიწყო. ყველა ერთ აზრზე იდგა, იქნებოდა ეს უნივერსიტეტის პროფესურა, მწერლები, მეცნიერები, უბრალო მოქალაქეები თუ თავად კომუნისტი ფუნქციონერები. მოკლედ, საპროტესტო ტალღა აგორდა. მოსკოვში მივიდა სიგნალი – შევარდნაძე სპეციალურად ქმნის არეულობასო.

14 აპრილს, როდესაც უმაღლესი საბჭოს სესიაზე კონსტიტუციის ახალი პროექტისთვის კენჭი უნდა ეყარათ, სტუდენტობა ქუჩაში გამოვიდა, მათ წამოწყებულ დემონსტრაციას მთელი ქალაქი შეუერთდა. დადიოდა ხმები, რომ შევარდნაძე თავად შეუთანხმდა რექტორებს თუ როდის უნდა დაწყებულიყო მთავრობის სასახლისკენ მსვლელობა. საქართველოს ცეკას პირველ მდივანს, არეულობის შემთხვევაში, არავინ არაფერს შეეკითხე-

სკკპ-ის XXV ყრილობა

ბოდა. კრემლიდან მიღებული ბრძანებით ტანკები უკვე მთავრობის სასახლის ეზოში იდგნენ. შევარდნაძე სასწრაფოდ სუსლოვს დაუკავშირდა, სიტუაცია გააცნო და ძალის გამოყენებაზე სასტიკი უარი განაცხადა. „აგეთ პასუხი!“ – მოკლედ მოუჭრა სუსლოვმა.

სესია დაიწყო და შევარდნაძე, თავისი 2 საათიანი სიტყვის წარმოთქმის დროს, ღებულობდა მოკლე წერილებს – ახალგაზრდობა უნივერსიტეტიდან დაიძრა...ისინი ოპერის თეატრს მიუახლოვდნენ... დაბოლოს დარბაზში გაისმა ქუჩიდან შემოვარდნილი ხმა – დე-და - ენა, სა-ქარ-თვე-ლო. უამრავი ადამიანი შეიკრიბა მთავრობის სასახლის წინ. სხდომათა დარბაზში კი სიჩუმე იდგა. შევარდნაძემ გამოსვლა დაასრულა და წარმოთქვა – მივიღეთ გადაწყვეტილება, ქართული ენა ინარჩუნებს სახელმწიფო სტატუსს. და ეს კომუნისტები, მათ შორის შემდგომ „წითელ ინტელიგენციად“ შერაცხული მწერლები თუ მეცნიერები, სახელმწიფო მოხელეები, შრომის გმირები თუ რეგიონიდან ჩამოსული დეპუტატები, სიხარულისგან ფეხზე წამოიჭრნენ, თვალცრემლიანები იდგნენ და ტაშს უკრავდნენ ამ მათთვის უჩვეულო წინააღმდეგობით მიღწეულ გამარჯვებას. გარეთ ისევ ღელავდა ახალგაზრდობა. შევარდნაძე და რამდენიმე თანამდებობის პირი ქუჩაში გამოვიდნენ და ხალხს მიმართეს. დაუჯერებელი ამბავი იყო და სანამ თავად პირველი პირი უშუალოდ არ დაელაპარაკა მომიტინგეებს, მათთან ერთად არ ჩაიარა რუსთაველის პროსპექტზე, მანამდე არ დაიშალნენ.

ედუარდ შევარდნაძის კომუნისტური პერიოდის დახასიათების დროს ვერ ავცდებით ისეთ მოვლენებსაც, რომლებმაც მას, როგორც პიროვნებას, დიდი ტკივილი და მუდმივი სინანულის გრძნობა დაუტოვა. ასეთი იყო მკაცრი განაჩენები, რომლებიც სასამართლომ გამოუტანა კორუფციაში

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი. 1989

დადანაშაულებულ ზოგიერთ ადამიანს ან თვითმფრინავის გატაცების მცდელობისთვის გასამართლებულ თბილისელ ახალგაზრდებს, რომელთა თავისუფლებისადმი ლტოლვა, საბჭოეთიდან გაქცევის სურვილი და მცდელობა კრახით დასრულდა. ეს იყო ჯგუფურად ჩადენილი ძალადობა, უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლით, რომელიც ყველა დროს და ყველგან, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, შეფასდებოდა როგორც ტერორისტული აქტი. იმ პერიოდში სიცოცხლის მოსპობა სასჯელის უმაღლესი ზომა იყო და ხშირად საბჭოთა სისტემისთვის შეუფერებელი საქციელი სამაგალითოდ ისჯებოდა. სწორედ ასეთი არაადამიანური და უკვე მორყეული სისტემის შეფასების დროს ეტყვის 1984 წლის ზაფხულის ერთ დღეს ბიჭვინთის კონცხის მიდამოებში ფეხით მოსეირნე სკკპ ცეკას მდივან გორბაჩოვს, საქართველოს ცეკას პირველი მდივანი შევარდნაძე – „ყველაფერი დალპა". ისინი ერთმანეთს უსიტყვოდ გაუგებენ. მალევე, ამ ამბიდან ერთ წელიწადში, შევარდნაძე გორბაჩოვის თანამოაზრე და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ხდება.

და ახლა, როდესაც ისევ უკან, სამშობლოში დაბრუნდა, თვითმფრინავის ტრაპზე მდგომი შესაძლოა იხსენებდა მასთან მოსკოვში სტუმრად მყოფი ამერიკელი პოლიტიკოსის ჰენრი კისინჯერის ნათქვამს – პოლიტიკაში ყველაზე ძნელია, თითქმის შეუძლებელი, გამოიყვანო ხალხი იმ მდგომარეობიდან, რომელშიც იგი არის, უჩვენო მას სხვა გზა, თუნდაც უფრო ძნელი, მაგრამ უტყუარი. მეტისმეტად დიდია განვლილი გზების ცდუნება, ამიტომაც რთულია დაადგე მანამდე უცნობ გზას...

შევარდნაძე ამ გზის დასაწყისთან იდგა...

„თეთრი სახლი.“ ედუარდ შევარდნაძე, რონალდ რეიგანი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ მარგარეტ ტეტჩერთან

საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანთან

გერმანიის კანცლერ ჰელმუტ კოლთან

ვიზიტი ესპანეთში. ხუან-კარლოს I-თან სასახლეში

ფიდელ კასტროსთან კუბაზე

შეხვედრა პალესტინის ლიდერ იასირ არაფატთან

იაპონელ კოლეგა სოსუკე უნოსთან ერთად



პაკისტანის პირველი ქალი პრემიერი ბენაზირ ბჰუტო, ედუარდ შევარდნაძე



შეხვედრა ნიკარაგუას პრეზიდენტ დანიელ ორტეგასთან

ედუარდ შევარდნაძე, ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი ტარიკ აზიზი



ოთარ ლითანიშვილი, ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, ედუარდ შევარდნაძე, ზურაბ წერეთელი, თენგიზ სიგუა. თბილისი. 1992

შევარდნაძის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა სტატია სათაურით –„ჰელოუ შევი". ავტორი წერდა: „დღეს საქართველოში დაბრუნდა კაცი, რომელსაც მიმართვისას გინდა უთხრა „მისტერ შევარდნაძე". მთელი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში მისი თანამდებობის მაღლა ყოველთვის იდგა თუნდაც ერთი – უფრო მაღალი თანამდებობის პირი და მსჯელობის მთელი თავისუფლების მიუხედავად, თავის ქცევაში იგი მაინც ცოტად თუ ბევრად შეზღუდული იყო. დღეს მას არც თანამდებობა აქვს, არც ვინმეა მასზე მაღლა. გაუძლებთ, მისტერ შევარდნაძე?"

თავისუფლება და დამოუკიდებლობა ის ცნებებია, რომლებიც ნებისმიერი თაობის, რწმენის თუ იდეოლოგიის ქართველისთვის იყო მამოძრავებელი ძალა, უპირობო ღირებულება, რომლის მიღწევის გზებიც შესაძლოა ყველას სხვადასხვანაირად წარმოედგინა, მაგრამ მიზანი ერთი იყო. ამ მიზანს, საუკუნეების მანძილზე მრავალი მეზობელი თუ შორეული ამბიციური დამპყრობლის უღელქვეშ, ბრძოლით, მსხვერპლით, ხანდახან მტრის მხარეს მოჩვენებითი თანადგომით და ხანაც ზავით პერიოდულად აღწევდა საქართველო. ასეთია ჩვენი ისტორია და მეოცე საუკუნის მიწურულს მიღწეული დამოუკიდებლობა ძალიან მოსაფრთხილებელი, ადვილად და-საკარგი და ხალხის ცნობიერებაში დასამკვიდრებელი იყო. სულ ცოტა ხნის წინ ყველა ერთიან საბჭოთა ოჯახში ცხოვრობდა, ერთნაირი დირექტივებით და სისტემით მართულ ადამიანებს თავისუფალ, დამოუკიდებელ ქვეყნებზე მხოლოდ ყურმოკრული ინფორმაციები ჰქონდათ. არც ეკონომიკური

პრობლემები აღელვებდათ, ეგონათ, საქართველოს მარტო ჭიათურის მარგანეცი და ბორჯომის მინერალური წყალი გადაარჩენდა, ხოლო ნატოს ჯარები გაჭირვების დროს მაშინვე გვერდით დაუდგებოდნენ. ასეთი ოცნებებით, იდეალებითა და გულუბრყვილო შეხედულებებით აპირებდნენ დამოუკიდებელ ცხოვრებას თავისუფალ, მაგრამ რეალურად მსოფლიოსთვის უცნობ, არაღიარებულ ქვეყანაში.

ედუარდ შევარდნაძე კი საქართველოში ბრუნდებოდა უზარმაზარი პოლიტიკური გამოცდილებით, მხარდაჭერით, დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების ცოდნით, ახალი სახელმწიფოსთვის ფუნქციის მინიჭების ჩანაფიქრითა და უკეთესი მომავლის იმედით. ოღონდ, მის გვერდით უნდა ყოფილიყვნენ თანამოაზრეები, ვინც ადვილად დათმობდა ტოტალიტარული სახელმწიფოდან გამოყოლილი მახინჯი მმართველობის პრინციპებს და სრულიად ახალი ფურცლიდან დაიწყებდა საქართველოს ისტორიის წერას. ასეთები თითებზე ჩამოსათვლელები აღმოჩნდნენ. სამხედრო საბჭოში, რომელიც გამსახურდიას რეჟიმის შემდეგ ჩამოყალიბდა, შედიოდნენ თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი.

1992 წლის 10 მარტს სამხედრო საბჭომ უფლებამოსილება მოიხსნა. არჩევნების ჩატარებამდე ჩამოყალიბდა დროებითი საკოორდინაციო ორგანო. ეს იყო სახელმწიფო საბჭო და შევარდნაძე უკვე თავმჯდომარის რანგში შეუდგა მუშაობას. კანონით სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს დიდი უფლებამოსილება გააჩნდა (მთავარსარდლის ფუნქციის გარდა) და

ნაომარი თბილისი. 1992

პირველი თანადგომა. გერმანიის ვიცე-კანცლერი ჰანს-დიტრიხ გენშერი. 1992

ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის შიში, შევარდნაძეც არ დადგომოდა წინა ხელისუფლების მსგავსად ავტორიტარული მმართველობის გზას, თავად შევარდნაძემ გააქარწყლა, როცა სახელმწიფო მეთაურის იმპიჩმენტის საკითხი კანონში შეატანინა.

საერთაშორისო აღიარებისთვის მსოფლიო საქართველოსგან ელოდა ჰელსინკის დასკვნითი აქტის, ახალი ევროპის პარიზის ქარტიისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პრინციპების აღიარებას, თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. ედუარდ შევარდნაძის სიტყვას ენდობოდნენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები და ამ მოთხოვნებზე დასტურის შემდეგ, საქართველოს საერთაშორისო აღიარებამაც არ დააყოვნა.

შევარდნაძის თხოვნით თბილისში ჩამოვიდნენ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დელეგაციები. ეს უკვე პოლიტიკური სტაბილურობისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო.

1992 წლის 23 მარტს პორტუგალიამ, რომელიც იმხანად ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას თავმჯდომარეობდა, გამოაცხადა მათი წევრების მიერ საქართველოს კოლექტიური აღიარების შესახებ. ეს მოხდა ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლიდან მე-16 დღეს.

12 აპრილს თბილისში ჩამოფრინდა გერმანიის ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი. ეს იყო მეგობრული თანადგომა, პოლიტიკური მხარდაჭერის ელფერით, დიპლომატიური

ურთიერთობის დასაწყისით და უანგარო ეკონომიკური დახმარებით. გენშერმა ევროკავშირის მიერ გამოყოფილი 300 000 აშშ დოლარი ჩამოიტანა და შევარდნაძეს ურჩია მალევე ჩაეტარებინა არჩევნები, როგორც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი.

გამოცხადდა პარლამენტის არჩევნების თარიღი 1992 წლის 11 ოქტომბერი.

სამოქალაქო ომის კერები ჯერ კიდევ არ იყო ჩამქრალი, როცა შევარდნაძის მიმართვა, „კედლის აქეთა მხარეს," მსოფლიოს ათობით გაზეთში გამოქვეყნდა. „ დღეს, როდესაც კაცობრიობის ერთიანობის იდეა იმარჯვებს და საზღვრებისა და კედლების გარეშე სამყაროს ვაშენებთ – წერდა შევარდნაძე, მოგიწოდებთ უკანასკნელი კედელიც დაანგრიოთ, გულცივობის კედელი. ნუ გაგვემიჯნებით, გადმოიხედეთ ჩამოშლილი კედლის აქეთა მხარს. და როდესაც დაინახავთ ყველაფერს, რასაც მისი ნანგრევები მალავენ – პოლიტიკურ ვაკუუმს, ეკონომიკურ ნგრევას, ადამიანთა ყოფის გაურკვევლობას, მხოლოდ მაშინ შევძლებთ ერთად გადავდგათ შემდეგი ნაბიჯი ყველა ხალხის უკეთესი მომავლისკენ." მას ჰუმანიტარული დახმარებით უპასუხა გერმანიამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, თურქეთმა.

23 აპრილს გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში. სამ დღეში რწმუნებათა სიგელები ედუარდ შევარდნაძეს დიდი ბრიტანეთის ელჩმა გადასცა. მალევე ჩამოვიდა ირანის დელეგაცია. 21 მაისს საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა თურქეთმა.

საერთოდ, იმ მძიმე 90-იანებში საქართველოში მოვლენები საოცარი სისწრაფით ენაცვლებოდა ერთმანეთს. საერთაშორისო აღიარებისა და თანადგომის პარალელურად მწვავდებოდა შიდა კონფლიქტები ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. შიდა ქართლიდან გაუფრთხილებლად გავიდა რუსეთის შინაგანი ჯარი და პოზიციები ოს „ბოევიკებს" გადააბარა. აფხაზეთის ხელმძღვანელობამ კი უკვე აშკარად სეპარატისტული განაცხადი გააკეთა, საქართველოდან გამოყოფის მოთხოვნით. შევარდნაძე ცხინვალში ორი უიარაღო მცველის თანხლებით შევიდა და მიაღწია შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რომელიც სამი დღის შემდეგ დაირღვა. გენერალმა რუცკოიმ, იმ დროს რუსეთის ვიცე-პრეზიდენტმა, დაურეკა შევარდნაძეს და დაემუქრა – ჰაერში ესკადრილიებს ავაფრენ და თბილისს დავბომბავო. ასევე არ ცხრებოდნენ ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები, აწყობდნენ აჯანყებებს, დივერსიებს, ბანდიტურ თავდასხმებს რკინიგზის ეშელონებზე. გაიფიცნენ ელექტრომავლების მემანქანეები, ისინი დაცვას ითხოვდნენ. დაზვერვის ინფორმაციით 26 მაისს იგეგმებოდა ექსპრეზიდენტის მომხრეთა შეიარაღებული გამოსვლები. ყოველდღე ცეცხლის ახალი კერები ჩნდებოდა. ქვეყანა შიმშილის ზღვარზე იდგა. თითქმის გამოილია ხორბლის მარაგი.

25 მაისს თბილისში დელეგაციასთან ერთად ჯეიმს ბეიკერი ჩამოვიდა. ეს იყო დროული, ძლიერი და საყოველთაო პოლიტიკური მხარდაჭერა. „და ჩვენ ასეც გავაგრძელებთ თუ საქართველო დაიცავს მსოფლიოში აღიარებულ ყველა ნორმას და ჩაატარებს თავისუფალ არჩევნებს, ამ უძნელეს გამოცდას ნებისმიერი დემოკრატიისთვის“ – თქვა მან. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი და საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ერთად გაემართნენ რესპუბლიკის მოედნისკენ, სადაც ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს ზეიმობდნენ. ბეიკერი და შევარდნაძე, ხიფათის მიუხედავად, ხალხს შეერივნენ და სცენაზე ლამის ხელში აყვანილი ავიდნენ. იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომელმაც 74 წლის წინ არ ისურვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება, მისალოცი სიტყვით გამოდიოდა თბილისის ცენტრში შეკრებილი ადამიანების წინაშე.

1992 წლის ივლისში საქართველოს დელეგაცია ჰელსინკის ეუთოს სამიტზე გაემგზავრა. იმ დროისთვის ეს იყო ყველაზე წარმომადგენლობითი ფორუმი, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელობა ოდესმე დასწრებია. ჩვენი ქვეყანა მიუერთდა 1975 წლის ჰელსინკის შეთანხმების დასკვნით აქტს, რომლის ერთ-ერთი მთავარი დებულება საზღვრების ურღვეობის პრინციპისადმი ყველა ქვეყნის ერთგულებას მოითხოვს. ორმხრივი მოლაპარაკებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და გამორჩეული ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან შეხვედრა იყო.

– ჯორჯ, ვიცი ახლა შენთან ვინც მოდის, ყველა რაღაცას გთხოვს. იცოდე, მე იმისთვის მოვედი, რომ არაფერი გთხოვო – ძველ და კარგ ნაცნობს ასე მიმართა შევარდნაძემ.

– პირდაპირ თქვი, ედუარდ, რა გინდა – ღიმილით უპასუხა ბუშმა.

სახელმწიფოს ხორბლის ყიდვის საშუალება არ ჰქონდა, ეკონომიკა გაჩანაგებული იყო და უპურობა, უპირობო ბუნტს ნიშნავდა. სამიტი დამთავრებული არ იყო, როცა შავ ზღვაში 100 000 ტონა ხორბლით დატვირთული გემი შემოვიდა.

არც რუსეთი იდგა განზე. 1992 წლის 12 ივნისს რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი შევარდნაძეს დაუკავშირდა და ახალი ურთიერთობების საფუძველზე დაყრდნობით საქართველო - რუსეთის დიდი ხელშეკრულების თაობაზე ესაუბრა. მეორე დღესვე ჩამოვიდა რუსეთის დელეგაცია, მაგრამ ეს მოლაპარაკებები დაგეგმილი პროვოკაციების ფონზე მიმდინარეობდა. თბილისში, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, მაშველთა კორპუსის – „მხედრიონის“ დამაარსებელს და ლიდერს, ჯაბა იოსელიანს საცხოვრებელ სახლთან ტერაქტი მოუწყვეს, დაიღუპნენ უდანაშაულო მოქალაქეები. იმავე დღეს გორში შეტაკება მოხდა ქართველ გვარდიელებსა და რუსეთის სატანკო პოლკის სამხედროებს შორის. რუსული ტანკები ქალაქში გამოვიდნენ. აქაც დაიღუპნენ ადამიანები. რუსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, რუსლან ხაზბულატოვის, განცხადება საქართვე-

თურქეთის პრემიერ-მინისტრ სულეიმან დემირელის ვიზიტი თბილისში. 1992

ლოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს უქმნიდა. ცხინვალში რუსეთის საჰაერო ძალების სამმა ვერტმფრენმა საქართველოს გვარდიელთა პოზიციებს შეუტია. ბრძანება თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, კონდრაშოვმა გასცა, რომელიც კიტოვანის მოწვევით, შევარდნაძესთან შეუთანხმებლად, იმყოფებოდა ცხინვალში. იმავე დღეებში ნიუ-იორკიდან მოვიდა ცნობა, რომ რუსეთის მოთხოვნით გადაიდო საქართველოს გაეროში მიღება. საქართველოს წინააღმდეგ ამოქმედდა მრავალი ბერკეტი – სათბობ-ენერგეტიკული და სატრანსპორტო ბლოკადა, რუსეთის ჯარის მონაწილეობა შიდა კონფლიქტებში, საერთაშორისო ასპარეზზე ხელის შეშლა და დეზინფორმაციის გავრცელების ფონზე, ქართული ვერსიის ბლოკირება. დაბოლოს, სოჭში რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის წინ, სადაც ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების გზებზე უნდა ემსჯელათ, ექსპრეზიდენტის მომხრეებმა ხელში ჩაიგდეს შინაგანი ჯარების საწყობი და საქართველოს ტელევიზიის შენობა, საიდანაც მოსახლეობას ამცნეს კანონიერი ხელისუფლების აღდგენა და მხარდასაჭერად მოუწოდეს. სოხუმში კი შეიჭრნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში და იქიდან მათთვის არასასურველი მინისტრი გივი ლომინაძე გამოაძევეს. ყველანი თითქოს კოორდინირებულად და შეთანხმებულად მოქმედებდნენ.

სოჭში ორმხრივი შეხვედრა მაინც შედგა, თუმცა მიღწეული სამშვიდობო შეთანხმება შეუსრულებელ დაპირებად დარჩა. ისევე როგორც სხვა მრავალი, 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის გაფორმებული გეორგიევსკის ტრაქტატიდან მოყოლებული, მთელი 200 წლიანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დროს ხელმოწერილი დოკუმენტი.

ყველაფრის მიუხედავად, სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი მაინც წინ მიდიოდა. თითქმის ნულიდან იწყებოდა შეიარაღებული ძალების, პოლიციის, დაზვერვის სამსახურის, პროკურატურის, სასამართლოს თუ ნებისმიერი სხვა ინსტიტუტის შექმნა. დაიწყო მიწის რეფორმა.

საქართველოში შევარდნაძის ჩამოსვლიდან 100 დღე იწურებოდა. ეს იყო ფაქტობრივად მარტოობისა და უძალაუფლებო მართვის დღეები, როდესაც თანამებრძოლთა უმეტესობას თავისებურად ესმოდა ძალისა და უფლების გამოყენება. საკუთარი ნება-სურვილის ასრულებას თავისუფლებად ნათლავდნენ, კეთილდღეობასა და მღვრიე წყალში თევზის დაჭერაზე ფიქრობდნენ. ასეთ დროს ძნელია იპოვო თანამოაზრე, უღალატო და პატიოსანი ადამიანი. თუმცა, არც უმაგისობა იყო. შევარდნაძეს უწევდა იძულებით ეთანამშრომლა ისეთ პარტნიორებთან, რომლებიც ფარულად მის მოშორებასა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდნენ. რამდენიმე აშკარა დაპირისპირების შემდეგ შევარდნაძემ თავისი ნებით წასვლაც კი გადაწყვიტა, მაგრამ მაშინ ეს ქვეყნისთვის დამღუპველი და ისევ ქაოსისკენ მისაბრუნებელი გზა იქნებოდა.

და დარჩა. და ისევ გააგრძელა თანმიმდევრული ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოს მყარი საძირკვლის ჩასაყრელად, რომელზეც მომავალი თაობები ნამდვილად დამოუკიდებელ, თავისუფალ, ევროპული ყაიდის დემოკრატიულ ქვეყანას ააშენებდნენ.

ამ რთულ გზაზე ყველაზე დიდი წინაღობა რუსეთიდან გაღვივებული და ხელშეწყობილი შიდა კონფლიქტები, საქართველოს დაშლისა და დასუსტებისთვის დაწყებული პროცესები იყო.

1988 წლიდან მოყოლებული აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში სეპარატისტულ მოძრაობას მოსკოვიდან მართული ლიდერები ჩაუდგნენ სათავეში. ტარდებოდა მიტინგები საქართველოდან გასვლისა და უშუალოდ ცენტრის დაქვემდებარებაში გადასვლის, ჯერ საბჭოთა კავშირის და შემდეგ კი რუსეთის მფარველობის მოთხოვნით.

აფხაზეთში გააქტიურდა „აიდგილარა“, 1989 წლის 25-26 აგვისტოს ჩატარებული ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფორუმის გადაწყვეტილებით უნდა შექმნილიყო კავკასიის მთიელთა სახელმწიფო, დედაქალაქით სოხუმში. 1990 წლის 31 მაისს კი საქართველოდან აფხაზეთის გასვლაც მოითხოვეს. 1991 წლის 9 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ, ვლადისლავ არძინბას თავმჯდომარეობით და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების თანხმობით, მიიღო აპარტეიდული საარჩევნო კანონი,

რამაც შესაძლებელი გახადა მცირერიცხოვან აფხაზურ მოსახლეობას უმრავლესობა ჰყოლოდა უმაღლეს საბჭოში, რაც 1992 წლის 23 ივლისს მიღებულ გადაწყვეტილებაზეც აისახა, რომლის მიხედვითაც შეწყდა 1978 წელს მიღებული კონსტიტუციის მოქმედება. ეს საქართველოდან გასვლას ნიშნავდა. 25 ივლისს საქართველოს სახელმწიფო საბჭომ ეს დადგენილება გააუქმა.

1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი დეპუტატთა საბჭომ ავტონომიურ რესპუბლიკად გამოაცხადა, 1990 წლის სექტემბერში კი საქართველოდან დამოუკიდებლობა, რასაც საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ავტონომიური ოლქის გაუქმებით უპასუხა. კანონთა ომის ფონზე დაპირისპირება სისხლიან კონფლიქტში გადაიზარდა.

შევარდნაძე საქართველოში დაბრუნების დღიდან ცდილობდა კონფლიქტები საომარი დაპირისპირებიდან სამშვიდობო მოლაპარაკების ფორმატში გადაეყვანა. ამისთვის შექმნილი კომისიების მუშაობა, ორმხრივი თუ სამმხრივი შეხვედრები და მიღწეული შეთანხმებები მალევე ირღვეოდა და ისევ მწვავდებოდა მცირე ხნით შეჩერებული კონფლიქტები. საქართველო, ამ რთულ პერიოდში, მაინც ისწრაფოდა გაეროში გაერთიანებისკენ, თუმცა რუსეთის გარდა ამ პროცესს ხელს თავად ქართველებიც უშლიდნენ, იქნებოდნენ ეს ექსპრეზიდენტის მომხრეები თუ სხვადასხვა საძმოები და ბანდიტური ფორმირებები. გატაცება, მძევლად აყვანა, ფოთის პორტის თუ რკინიგზის ბლოკირება, ჰუმანიტარული დახმარებების დატაცება - დაყაჩაღება და სხვადასხვა სახის დივერსიები გაუგონარ მასშტაბს აღწევდა. მარტო 1992 წლის პირველ ნახევარში თავდასხმისა და აფეთქებების 1142 ფაქტი დაფიქსირდა.

ყოველივე ამის მიუხედავად, საქართველო 1992 წლის 31 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 179-ე წევრი ქვეყანა გახდა.

მართალია, საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე გარკვეულ წარმატებას აღწევდა, მაგრამ ქვეყნის შიგნით უამრავი პრობლემა რჩებოდა მოსაგვარებელი. პირველ რიგში ეს იყო თავად ქართული საზოგადოების გათიშულობა და დაპირისპირება, ერთმანეთისადმი მტრული დამოკიდებულება, განსხვავებული აზრისა თუ პოზიციის გამო შეურიგებელობა, რაც ხელს უშლიდა განვითარებას, წინსვლას, ღია თუ ფარულ მტერთან ბრძოლას.

1992 წლის 4 აგვისტოს გამოიცა მანიფესტი შიდა გათიშულობის დასაძლევად. ყველა შეიარაღებული ფორმირება უნდა გადასულიყო საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. ეს დღე ცხადდებოდა შერიგებისა და ეროვნული თანხმობის დღედ. მაგრამ, სიძულვილი იმდენად მძლავრად იყო ფესვგადგმული, რომ ეს მანიფესტიც ფარატინა ქაღალდად დარჩა. ქართველების ასეთმა გათიშულობამ თავი იჩინა შემდეგ განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებში.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში დემოგრაფიული სურათის შესაცვლელად დამზადდა მილიონამდე პასპორტი, მოსახლეობას სთავაზობდნენ შეეცვალათ გვარი და ეროვნული კუთვნილება. ეს იყო ჯერ კიდევ დენიკინის დროიდან მოყოლებული, რუსული იმპერიული პოლიტიკის გაგრძელება, აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილების მცდელობა და მკვიდრი მიწიდან ქართული მოსახლეობის განდევნა. ამ მზაკვრული ჩანაფიქრისთვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გროვდებოდა დიდძალი ფული, აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოდიოდა იარაღი, კავკასიის მთიელთა და კაზაკთა რაზმები, დგებოდა მოღალატეთა სიები მათი განადგურების მიზნით. რუსეთის რეაქციული ძალები ხელს უწყობდნენ დაძაბულობის გამწვავებას.

13-14 აგვისტოს სადგურ ინგირთან რკინიგზის ხიდი ააფეთქეს. აფხაზეთის ტერიტორიაზე დაბანაკებულნი იყვნენ დივერსიული ჯგუფები და მათი ბაზების ლიკვიდაცია, ქართული მხრიდან შეთავაზების მიუხედავად, არძინბამ არ ისურვა. სახელმწიფო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დაეცვა სარკინიგზო მაგისტრალი სამ საკვანძო ადგილას – სამტრედიაში, სოხუმის გარეუბანსა და რუსეთის საზღვართან, ლესელიძეში. არძინბას ტელეფონით ესაუბრა შევარდნაძე და გააცნო მეზობელი ქვეყნების პრეტენზიებიც, რომლებიც დიდ ზარალს ნახულობდნენ მატარებლების ძარცვა-დაყაჩაღების გამო. დეტალების შესათანხმებლად შევარდნაძემ აფხაზეთში ჩასვლა თენგიზ სიგუას და თენგიზ კიტოვანს სთხოვა. ჩასვლა სამი დღით დაგვიანდა. სიტუაცია უკონტროლო გახდა. თვითნებობდნენ შეიარაღებული ფორმირებები, არ ემორჩილებოდნენ საერთო ბრძანებას თუ დისციპლინას. ამ არეულობის ფონზე არძინბა ქართულ მხარეს აღარ შეხვდა. კიტოვანის ბრძანებით ჯარი აფხაზეთში შევიდა და სოხუმთან დაბანაკდა. ეს შეთანხმების დარღვევა იყო. შევარდნაძეს რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი სოჭიდან ტელეფონით დაუკავშირდა და გააფრთხილა – ამის დაშვება არ შეიძლება, თქვენი შეცდენა უნდათ და არ აჰყვეთ, იქ რუსეთის ჯარიც დგას და შეტაკების შემთხვევაში ვერავინ ვერაფერს შეაჩერებს.

ჯარი და პოლიცია არაორგანიზებულად გადაადგილდებოდა. არძინბამ ეს ყველაფერი აგრესიად შეაფასა და მობილიზაცია გამოაცხადა. ბევრისთვის გასაგები იყო რა შეიძლება მოჰყოლოდა ასეთ მწვავე დაპირისპირებას. როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მაშინდელი მინისტრი, ოთარ ბენიძე იხსენებს, 14 აგვისტოს დილიდან მოყოლებული თითქმის ყოველ 10-15 წუთში რეკავდა შევარდნაძე და მოითხოვდა ჯარი არ შესულიყო სოხუმში, ეს დამღუპველი იქნებოდა. 15 აგვისტოს შექმნილი კონფლიქტის მხარეთა ერთობლივი კომისიის წევრი თემურ ლომაია შემდეგ დაწერს – „14 აგვისტოს სოხუმის სახელმწიფო აგარაკზე ვიყავით... შევარდნაძემ დარეკა. კიტოვანმა თქვა, რომ არ დაელაპარაკებოდა მას. ყურმილი სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ აიღო, რომელმაც

აფხაზეთის ომი. 1993

სატელეფონო ლაპარაკის მერე გვითხრა – შევარდნაძემ გვიბრძანა ჯარის შეჩერება. კიტოვანმა უპასუხა – მე მაინც წინ წავალ. დანარჩენებმა, მათ შორის მეც, ვთქვით, რომ შევარდნაძე მართალს ამბობდა." აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ არძინბას მეთაურობით ეს ყველაფერი „აგრესიად", „აფხაზეთის მიწის" მიტაცების მცდელობად შეაფასა და „სამამულო ომისკენ" მოუწოდა მოსახლეობას. აფხაზები ემზადებოდნენ ამ ომისთვის, მათი აგრესიული განწყობა წლების მანძილზე შეგნებულად ღვივდებოდა და ამ საბედისწერო ნაბიჯის შემდეგ საომარი მოქმედებები დაიწყო... და დაიწყო დაუსრულებელი ტრაგიკული მოვლენების ჯაჭვი. ქართული საჯარისო ფორმირებები უკვე ლესელიძის ჩათვლით აკონტროლებდნენ სიტუაციას. 2 სექტემბერს ელცინის ჩარევით მოსკოვში შევარდნაძესა და არძინბას შორის მიმდინარე მოლაპარაკებები 3 სექტემბერს ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამთავრდა, რომელშიც ომის შეწყვეტასა და შერიგებაზე იყო საუბარი. მართალია, ჯარის გამოსვლაზე იქ არაფერი ეწერა, მაგრამ ზოგიერთმა ქართულმა შეიარაღებულმა ფორმირებამ, ომი დამთავრდაო და დატოვა გაგრის პოზიციები. იქ შემდეგ აფხაზური შენაერთები გამაგრდნენ. ეს იყო დამარცხების დასაწყისი. თუმცა, ამ ომში გამარჯვებული არ არსებობს.

1992 წლის 25 სექტემბერს ედუარდ შევარდნაძე გაეროს 47-ე ასამბლეის ტრიბუნიდან მიმართავს მსოფლიოს – ჩვენი კონფლიქტები თქვენიცაა. ერთად ვუშველოთ, სანამ დროა, თორემ აქედან წამოსულმა ალმა შეიძლება ერთ დღეს თქვენამდეც მოაღწიოს...

მალე გაგრის გაუგონარი ტრაგედია დატრიალდა. თავდადებული ქართველი მეომრების წინააღმდეგ ბრძოლაში ადგილობრივი აფხაზებისა და სომხების, ასევე მოხალისე კავკასიელთა და კაზაკთა შენაერთებს შეიარაღება გუდაუთის სამხედრო ბაზიდან მისდიოდათ. მათ ეხმარებოდნენ რუსეთის სამხედრო გემები СКР «Безукоризненный», КИЛ- 25, ВТН-38, ВМ-66, ГА Головин, 345-ე სადესანტო ბატალიონი, 529-ე საავიაციო (СУ-25,СУ-27,МИ-8), 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკი გენერალ კოლესნიკოვის ხელმძღვანელობით. ამ უთანასწორო და უსამართლო ბრძოლაში დახოცეს უდანაშაულო ადამიანები, გაგრის სტადიონზე ჩადენილი მხეცური ქმედებები საერთოდ გასცდა ცივილიზებული სამყაროს ჩარჩოებს. ომსაც აქვს თავისი კანონები და მტერიც შეიძლება ღირსეული იყოს. ამ ომში ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ერთ მიწაზე მცხოვრები, ერთად გაზრდილები, ერთ დროს მეგობრები, მეზობლები თუ ნათესავები. მიზანი კი იყო საქართველოს დაქუცმაცება, გატეხვა და განვითარების პერსპექტივის მოსპობა, ქართველების აყრა და განდევნა თავიანთი სამოსახლოდან, მშობლიური მიწიდან, მათი საცხოვრებლის გადაბუგვა, გაძარცვა თუ მითვისება. საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთი მნიშვნელოვან და გადამწყვეტ როლს ასრულებდა ამ პროცესში. საქართველოს ხელმძღვანელობა ხშირად იშველიებდა ორი რუსეთის თემას, ერთი დემოკრატიული და მეორე რეაქციული, რომლებიც თითქოსდა სხვადასხვაგვარად მოქმედებდნენ. თუ ერთი სამშვიდობო მოლაპარაკების მხარეს იყო, მეორე იარაღით, ფულით და ცოცხალი ძალით ეხმარებოდა სეპარატისტებს. შევარდნაძის მცდელობა, მშვიდობიანად მოეგვარებინა სიტუაცია, უშედეგო აღმოჩნდა. მის ზარებს რუსეთის პრეზიდენტი აღარ პასუხობდა. მასთან შეხვედრაზე უარს ამბობდნენ აფხაზეთში განლაგებული რუსული ბაზების გენერლები. სოხუმში რამდენჯერმე ჩასვლის, ადგილზე სიტუაციის გაცნობის, მეომრების გამხნევების, მათ გვერდით დგომის მიუხედავად, შევარდნაძისთვის სულ უფრო რთული ხდებოდა ამ კონფლიქტიდან საქართველოს უდანაკარგოდ გამოსვლა. ამავე დროს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, უცნობ, იზოლირებულ საქართველოს, რომლის მთავარი პოლიტიკური კაპიტალი, მსოფლიოსთვის კარგად ცნობილი და ავტორიტეტული პიროვნება, ედუარდ შევარდნაძე გახლდათ, რუსეთს მოიაზრებდნენ კონფლიქტის მოგვარების მთავარ ძალად.

ასეთი მძიმე ვითარების ფონზე საქართველო მაინც ახერხებდა თავის დამკვიდრებას.

1992 წლის 4 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (იბიარდი EBRD) პრეზიდენტი ჟაკ ატალი, აგრეთვე წითელი ჯვრის, ევროპარლამენტის თუ სხვადასხვა ქვეყნის დელეგაცია. საერთაშორისო მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იყო. საქართველო უკიდურესად მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ქვეყნის კანონიერების ფარგლებში სამართავად აუცილებელი იყო არჩევნების ჩატარება და ლეგიტიმური სახელმწიფო ორგანოს ჩამოყალიბება პარლამენტის სახით. შევარდნაძის აზრით, არეულ ქვეყანაში ჯობდა ყველა პოლიტიკური პრეტენზიის მქონე ჯგუფს მიეღო პროცესში მონაწილეობა. ამიტომ, არჩევნები უბარიეროდ ჩატარდა. საკანონმდებლო ორგანოში მოხვდნენ ეროვნულ- დემოკრატიული პარტია, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება", „ტრადიციონალისტთა კავშირი", მწვანეთა პარტია, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, „მერაბ კოსტავას საზოგადოება" და სხვადასხვა ბლოკები თუ ერთობები. სამოქალაქო ომის შემდგომ დანგრეული მთავრობის სასახლის ალტერნატივად ყოფილი იმელის (ИМЛ–Институт Марксизма-Ленинизма) შენობა იქცა, სადაც თითქმის სამი წლის მანძილზე ცხარე დებატები მიმდინარეობდა. მართალია, პოლიტიკური კულტურის ჩარჩოში ვერ ჯდებოდა ზოგიერთი დეპუტატის გამოსვლა, მაგრამ მთლიანობაში ეს ყველაფერი ქვეყნისთვის სასარგებლო აღმოჩნდა. პარლამენტის თავმჯდომარედ ედუარდ შევარდნაძე აირჩიეს და პირველი მისალოცი ბარათიც ვაშინგტონიდან მოვიდა. ამერიკის მხარდაჭერა დიდი ძალა იყო.

არჩევნებმა საქართველოსადმი საერთაშორისო ინტერესი გაზარდა. თუმცა, უშუქობა, უგაზობა, უფულობა, უმუშევრობა, ომი, იარაღიანი საძმოების თავაშვებული საქციელი ხალხს უიმედობას და დემოკრატიისა თუ დამოუკიდებლობის მიმართ სკეპტიციზმს უღვივებდა. ამის გაფიქრებაც კი დამღუპველი იქნებოდა საქართველოსთვის. შევარდნაძე თავისი ავტორიტეტის ხარჯზე ცდილობდა დახმარებისა თუ შემოწირულობის მიღებას და ქვეყნისთვის ელემენტარული ყოფითი პირობების მოგვარებას. „მუხლებზე დავიჩოქებ, მთელ მსოფლიოს ხვეწნა-ხვეწნით შემოვივლი, ვიმათხოვრებ, ოღონდ ხალხს რამე ეშველოსო" – ხშირად ამბობდა უცხოელ სტუმრებთან შეხვედრის დროს. საქართველო ითხოვდა მისთვის განვითარებადი ქვეყნის სტატუსი მიენიჭებინათ, ამ შემთხვევაში ქვეყანაში შესაძლებელი გახდებოდა სხვადასხვა საერთაშორისო თუ საფინანსო ინსტიტუტებიდან გრანტებისა და კრედიტების მიღება... ეს პროცესი გაჭიანურდა.

აფხაზეთში სულ უფრო მძიმე მდგომარეობა იქმნებოდა. იბომბებოდა სოფლები, ქალაქები. მოსახლეობა სხვადასხვა მიმართულებით გარბოდა. ზოგი რუსეთისკენ, ზოგიც საქართველოს დედაქალაქისა თუ აფხაზეთთან ახლოს მდებარე რეგიონებისკენ. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმებები ირღვეოდა.

ახალ 1993 წელს შევარდნაძე მებრძოლებთან ერთად სოხუმში შეხვდა. ეს იყო ყველაზე მძიმე და ტრაგიკული წელი საქართველოს უახლეს ისტორიაში.

მაისის თვეში შევარდნაძემ მიმართა ტოკიოში შეკრებილ დიდი

თამაზ ნადარეიშვილი და ედუარდ შევარდნაძე ახალ წელს სოხუმში. 1993

შვიდეულის ქვეყნებს და დახმარება სთხოვა. 600 მილიონი დოლარი მარტო ბუნებრივი აირის მოწოდებისთვის იყო გადასახდელი. მდგომარეობის გამოსასწორებლად კონკრეტული თანხაც კი დასახელდა ერთნახევარ მილიარდ დოლარამდე. ზუსტად მაშინ ისევ გამწვავდა ვითარება აფხაზეთში, ისევ დაირღვა მიღწეული შეთანხმება. ასეთ დროს შევარდნაძე სოხუმში მიფრინავდა ხოლმე. მისი ჩასვლა არ ხმაურდებოდა. ასე იყო 22 თებერვალს, 28 აპრილს, 5 ივლისს, 1 აგვისტოს.

1993 წლის 24 ივნისს საქართველომ შეატყობინა გაეროს გენერალურ მდივანს ბუტროს გალის, რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს და უმაღლეს საბჭოს ქართულ-რუსული შეთანხმების დარღვევის შესახებ, რასაც გაეროს მხრიდან დამკვირვებლების გამოგზავნა მოჰყვა.

27 ივლისს სოჭში ხელი მოეწერა კედევ ერთ შეთანხმებას, რის შემდეგაც ქართულმა მხარემ ნელ-ნელა აფხაზეთის ტერიტორიიდან საჯარისო ნაწილები და მძიმე ტექნიკა გამოიყვანა.

24 აგვისტოს არძინბა ჩადის მოსკოვში და ხვდება ელცინს.

28 აგვისტოს გამსახურდიას მომხრე ლოთი ქობალია იკავებს სენაკსა და ხობს.

1 სექტემბერს სკოლებში სწავლა დაიწყო. გახიზნული მოსახლეობის ნაწილი დაუბრუნდა თავის საცხოვრებელს.

7 სექტემბერს ლოთი ქობალია გალისკენ მიემართება. 15 სექტემბერს გურიის დალაშქვრას ცდილობს. ბრძოლა ფაქტობრივად ორ ფრონტზე მიმდინარეობდა.

16 სექტემბერს შევარდნაძე სოხუმში ჩაფრინდა. ქალაქში განლაგებული ექსპრეზიდენტის მომხრე მეომრები ვაჟკაცურად იბრძოდნენ, მაგრამ შემდეგ მიატოვეს პოზიციები და ჟიული შარტავას, იმ დროს აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის მეთაურის თხოვნა თუ ხვეწნა-მუდარა არ

შეისმინეს, არ დათანხმდნენ დახმარებას ზვიად გამსახურდიას ბრძანების გარეშე.

18 სექტემბერს შევარდნაძემ მიმართა მსოფლიოს – „მოგმართავთ თქვენ, ალყაში მოქცეული სოხუმიდან. ბრძოლები ახლა ყველგან მიმდინარეობს. რაც უნდა მოხდეს არ მივატოვებ სოხუმელებს... ეს ძალა პირდაპირ საცხოვრებელ უბნებს ბომბავს... გუდაუთის ლიდერები ამბობენ, რომ იბრძვიან თავისუფლებისთვის, მშობლიურ მიწაზე ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად. მაგრამ, ასეთივე თავისუფლება სწყურია და ასეთივე უფლების მოპოვებას ცდილობს 240 ათასი ქართველი, რომელთაც საუკუნეთა მანძილზე გაუდგამთ ფესვები აქაურ მიწაზე...ჩვენ არც არავის დაპყრობა განგვიზრახავს, განა შეიძლება საკუთარ მოქალაქეთა დაპყრობა და ოკუპირება საკუთარი მიწისა, რომელიც ჩვენი უძველესი კულტურისა და სახელმწიფოებრიობის კერაა?... მე კვლავ მივმართავ ბორის ელცინს, გაეროს უშიშროების საბჭოს და ბატონ ბუტროს გალის, მთელ პროგრესულ, დემოკრატიულ რუსეთს, მთელ მსოფლიო გაერთიანებას მოწოდებით: ნუ დაუშვებთ საზარელ დანაშაულს, შეაჩერეთ პატარა ქვეყნის დასჯა, იხსენით ჩემი ხალხი... კაცობრიობა ბედნიერი ვერ იქნება, ვერ ისარგებლებს მშვიდობის სიკეთით, სანამ დაღუპვის საფრთხე ელის თუნდაც ერთს, დაე, ყველაზე მცირერიცხოვან ერს...“ ეს იყო ბოლო და უიმედო ცდა.

24 სექტემბერს ზვიად გამსახურდია ზუგდიდში ჩავიდა, დევნილი მთავრობის აღდგენა და თბილისისკენ ტრიუმფალური სვლა დააანონსა.

27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. ჟიული შარტავა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თანმხლებ პირებთან ერთად დაატყვევეს და ადგილზე დახვრიტეს აფხაზეთში მოთარეშე შეიარაღებულმა ჯალათებმა, რუსეთის მხარდაჭერით გადიდგულებულმა და თავაშვებულმა „ბოევიკებმა“.

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ნაწილი ზღვით ცდილობდა სამშვიდობოს გაღწევას. თვითმფრინავით მიმავალებს კი სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს და ავიალაინერი დაწვეს. სამეგრელოს გზა გადაკეტილი ჰქონდათ გამსახურდიას მომხრეებს და ჯარის ნაწილებთან ერთად მოსახლეობის უმეტესობა ჭუბერის უღელტეხილის გზას დაადგა, „გოლგოთის გზას“, სადაც ათასობით გაუბედურებულ, საკვებისა და თბილი ტანსაცმლის გარეშე დარჩენილ ადამიანს თავს დაატყდა სტიქია, თოვლი და ყინვა, ბანდიტური თავდასხმა და ძარცვა. უღელტეხილზე გადასვლის დროს დაიღუპა 400-ზე მეტი ადამიანი. საქართველოს ხელისუფლებამ დახმარებისთვის მიმართა მსოფლიო თანამეგობრობას. უკრაინამ და სომხეთმა სამგზავრო ვერტმფრენები გამოაგზავნეს, ადგილობრივი ხელისუფლება საკვებისა და თბილი ტანსაცმლის მიწოდებას ცდილობდა.

28 სექტემბერს ხობი ლოთი ქობალიას დაჯგუფებამ დაიკავა. ადგილზე დახვრიტეს ჟურნალისტი დათო ბოლქვაძე.

ისევ აფხაზეთი. 1993

სეპარატისტები ზღვიდან და ხმელეთიდან ბომბავდნენ დრანდის აეროპორტს, საიდანაც ედუარდ შევარდნაძე, მთავრობის ზოგიერთი წევრი, უამრავი ბავშვი და ქალი, მაინც ახერხებენ ბათუმის გავლით თბილისში უვნებლად ჩამოფრენას.

30 სექტემბერს სოხუმში დახვრიტეს 62 ქართველი. 5000-მდე მშვიდობიანი მოქალაქე გახდა სეპარატისტების მხარეს მებრძოლი ბანდების მსხვერპლი. 3000 ჯარისკაცი დაეცა ბრძოლის ველზე. მშობლიური მიწიდან აიყარა და საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა 300 000-მდე ადამიანი. 3000-მდე თანამემამულე დაკარგა აფხაზმა ხალხმა, 20 000 კილტოლვილი გახდა. დაინგრა და განადგურდა ერთ დროს აყვავებული მხარე. წლებია ეს კონფლიქტი მიმდინარეობს და მისი მოგვარების გასაღები მხოლოდ ქართველებისა და აფხაზების ხელშია, მათ სურვილსა და ურთიერთშენდობაში.

სოხუმის დაცემის შემდეგ გააქტიურდნენ გამსახურდიას მომხრე შეიარაღებული ფორმირებები. აფხაზეთიდან მათ რიგებს შეემატა ჩვენ წინააღმდეგ მებრძოლი რუსების, ჩეჩნების, კაზაკებისა თუ სხვათა რაზმები. გაერთიანებული ძალებით სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი ფოთი და მისი პორტი დაიკავეს. მეამბოხეები ცდილობდნენ ბლოკადით მიეღწიათ მიზნისთვის და ისედაც უმძიმეს დღეში ჩავარდნილ ქვეყანას

უფრო ასუსტებდნენ. რუსეთი ცდილობდა ესარგებლა ასეთი ვითარებით და საქართველო მათ მიერვე კონტროლირებად დამოუკიდებელ სახელ-მწიფოთა თანამეგობრობაში გაეწევრიანებინა. მოსკოვში გამართული თათბირის შემდეგ, ელცინმა შევარდნაძეს შუაზე წითლად გახაზული საქართველოს რუკა გაუშალა და შესთავაზა – დასავლეთში ზვიადი იყოს და შენ დედაქალაქში... ეს 200 წლის წინ, სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველოს რუსეთის იმპერიაში იძულებით გაერთიანების მსგავსი გეგმა იყო, ცნობილი პრინციპით – დაყავი და იბატონე! შეხვედრა კარის გამოჯახუნებით დასრულდა.

მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. შევარდნაძეს უკრაინის, ჩვენი ისტორიული მეგობრის, დახმარების იმედიღა დარჩა და დაუკავშირდა პრეზიდენტ კრავჩუკს, რომელმაც ელცინთან შეთანხმების გარეშე 20-მდე სამხედრო ხომალდი შემოიყვანა შავი ზღვის აკვატორიაში და ფოთის პორტთან განალაგა. ინციდენტი შეტაკების გარეშე ამოიწურა, ზუგდიდი სამთავრობო ჯარის ნაწილებმა დაიკავეს. თუმცა ამით დაპირისპირება არ დამთავრებულა, რამაც საბოლოოდ ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული ბედი განაპირობა.

მალევე საქართველო დსთ-ის წევრი გახდა. ეს პროცესი დიდი წინააღმდეგობისა და ლანძღვა-გინების ფონზე წარიმართა. თუმცა, შევარდნაძე უცხოელებთან ხშირად საუბრობდა ამ გადაწყვეტილების უალტერნატივობაზე. რუსეთი ცდილობდა შეენარჩუნებინა საქართველოში გავლენის სფეროები, არ დაეშვა ქვეყნის სწრაფვა დასავლეთისკენ. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, რომლებიც დსთ-ის შემადგენლობაში გაერთიანდნენ, დიდძალ ენერგეტიკულ თუ ჩვენთვის აუცილებელ სხვა სახის კაპიტალს ფლობდნენ და მათთან ურთიერთობისთვის ეს სივრცე შესაძლოა მაშინ ასეც ჩანდა.

მოუგვარებელი შიდა კონფლიქტების, ეკონომიკური კრიზისის, მოუ-წესრიგებელი და საშიში ყოფის გამო მოსახლეობის უკმაყოფილების მიუხედავად შევარდნაძე ფიქრობდა როგორ გამოეყვანა დამოუკიდებელი საქართველო შემორჩენილი პოსტსაბჭოთა გარემოდან, ინერციით გადმო-სული უძრაობის ხანის მენტალიტეტიდან და დაეყენებინა განვითარებული ევროპული ქვეყნების გზაზე. ამისთვის საჭირო იყო მსოფლიოს დაინტერესება ისეთი მნიშვნელობის იდეით, რომელიც საქართველოს საერთაშორისო ფუნქციას მიანიჭებდა, შემდგომში კი დემოკრატიის განვითარებასა და არჩეული დასავლური ღირებულებების გზის შეუქცევად მხარდაჭერას განაპირობებდა. ეს მხარდაჭერა კი იმ დროს მხოლოდ თავად ედუარდ შევარდნაძის დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის გამო ჰქონდა ჩვენს ქვეყანას.

ასეთი იდეა, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს, 1990 წელს იაპონიაში ვიზიტამდე, ვლადივოსტოკში გააჟღერა

პრეზიდენტი რაფსანჯანი, ედუარდ შევარდნაძე, ჯემშიდ გიუნაშვილი, იმამი ჰამეინი. 1993

შევარდნაძემ. ეს იყო „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენის მცდელობა, რომლის განხორციელებაც უკვე საქართველოს მეთაურის რანგში დაიწყო. 1993 წლის მაისში, ბრიუსელში ჩატარებულ კონფერენციაზე, სადაც ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, საფუძველი ჩაეყარა ტრასეკას (Transport Corridor Europe-Caucasia- Asia) პროექტს. ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ევროპა -აზიის დამაკავშირებელი ბუნებრივი დერეფნის ფუნქცია და ამ გზაზე გატარებული ნავთობის თუ გაზის მილსადენები, ტრანსკავკასიური მაგისტრალი, მთავარი და უმნიშვნელოვანესი ბერკეტი გახდა საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისთვის. რა თქმა უნდა, ისეთი პარტნიორების თუ მეგობრების თანადგომის გარეშე, როგორებიც იყვნენ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი, ამერიკის პრეზიდენტი ბილ კლინტონი და ევროკავშირის ქვეყნების ლიდერები, ეს საუკუნის პროექტი იდეად დარჩებოდა. შუა აზიისა და აზერბაიჯანის ნახშირწყალბადების საქართველოს საშუალებით დასავლეთისკენ გადა-ზიდვის პერსპექტივამ გააღიზიანა ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, რომელიც მილსადენის მშენებლობას რუსეთისგან დამოუკიდებელ, ალტერნატიულ მაგისტრალურ ხაზად განიხილავდა.

საქართველო ნელა, მაგრამ მაინც უბრუნდებოდა ცხოვრების ნორმალურ რიტმს.

ქვეყნის სტაბილურობისთვის აუცილებელი იყო პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია, ერთიანი პლატფორმიდან ქვეყნის განვითარების გეგმის დასახვა. ამ მიზნით ჩამოყალიბდა საქართველოს „მოქალაქეთა კავშირი", პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა და რომელიც 40 000 წევრს აერთიანებდა. მასში შემავალი პოლიტიკური პარტიებიდან გამოირჩეოდა მწვანეთა პარტია, ზურაბ ჟვანიას ლიდერობით, რომელიც მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი გახდა.

რუსული რუბლის ჩასანაცვლებლად ხმარებაში უნდა შემოსულიყო ქართული ლარი, მანამდე კი, გარდამავალ ეტაპზე, ბრუნვაში ქართული კუპონი გაუშვეს. მისი კატასტროფული გაუფასურების მიუხედავად წლების მანძილზე ის რჩებოდა ჩვენი ქვეყნის ფულის ერთადერთ ერთეულად. თუმცა ყოველ ნაბიჯზე მომრავლებული სავალუტო პუნქტები მიმოქცევაში ამერიკულ დოლარსაც ატრიალებდნენ. ეს იყო არაჯანსაღი სიტუაცია, მაგრამ სხვა გზა ჯერ არ ჩანდა.

1994 წლის იანვარში საქართველოს დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ჩავიდა. პროტოკოლით გათვალისწინებული შეხვედრების შემდეგ შევარდნაძე გაეროს გენერალურ მდივანს ბუტროს ბუტროს გალის შეხვდა. მთავარი პოლიტიკური საკითხი საქართველოსთვის აფხაზეთის ომის მძიმე შედეგები იყო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამშვიდობო კონტინგენტის დროულ განლაგებას ოკუპირებულ



სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე,
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ძიან ძემინი

გაეროში. 1994

ტერიტორიაზე და ლტოლვილი მოსახლეობის დაბრუნებას საკუთარ საცხოვრებელ სახლებში. დრო ჩვენს საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. გაეროს კი მრავალი ბიუროკრატიული ბარიერის გადალახვის პრობლემები და პროცესის დარეგულირების გახანგრძლივებული მექანიზმი გააჩნდა. შემოთავაზებული ვარიანტებიდან მათთვის მისაღები და ფინანსურად გამართლებული ჩანდა რუსეთის ჯართან ერთად გაეროს მცირერიცხოვანი დამკვირვებლების ერთობლივი სამშვიდობო ოპერაციის ჩატარება. შევარდნაძისთვის გასაგები იყო რა რეაქცია მოჰყვებოდა თბილისში ასეთ რეზოლუციას. მდგომარეობა გამოუვალი იყო.

1994 წლის თებერვალში რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი საქართველოს ეწვია. რუსეთი აღიარებდა საქართველოს როლს კავკასიის სტაბილურობაში. რუსული გაზის მოწოდებაზე თანხმობაც მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, რადგან თურქმენეთის გაზი ტრანზიტის გამო ძვირი ჯდებოდა. საზღვრის დაცვაც ისევ იქ მდგომ რუსეთის მესაზღვრეებს დაევალათ, რომლებსაც ნელ-ნელა ჩაანაცვლებდა ქართული კონტინგენტი. დაიწყო კონსულტაციები აფხაზეთის სტატუსზე. სხვადასხვა ვარიანტები განიხილებოდა, მათ შორის ფედერაციული მოწყობის საკითხიც. ამის შემდეგ რუსეთის არც ერთი პირველი პირი საქართველოში აღარ ჩამოსულა და დღემდე არც იმ დროს ხელმოწერილი რუსეთ-საქართველოს ჩარჩო ხელშეკრულების რატიფიცირება მოუხდენიათ სახელმწიფო დუმაში.

ამერიკაში ჩატარებული არჩევნების შემდეგ დემოკრატიული პარტიის ლიდერი ბილ კლინტონი პრეზიდენტი გახდა და 1994 წლის მარტში შევარდნაძის ვიზიტიც ამერიკის მხრიდან პოლიტიკური, მატერიალური, ტექნიკური დახმარებით, მაგრამ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მონაწილეობის გარეშე დასრულდა. თუმცა, ეს იყო ისტორიული შეთანხმება, რამაც ქვეყნის ომის შემდგომი დაღმასვლა ნორმალური ცხოვრებისკენ შემოაბრუნა.

გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლა, ბუტროს ბუტროს გალისთან შეხვედრა სასურველი შედეგით ვერ დამთავრდა. გაეროს სამშვიდობო ძალების განლაგებას აფხაზეთის ტერიტორიაზე ეწინააღმდეგებოდა თავად ვლადისლავ არძინბა, რომელიც რუსეთის დელეგაციასთან ერთად ნიუ-იორკში იმყოფებოდა. ბუტროს ბუტროს გალიც ფინანსური პრობლემებით ხსნიდა თავის უარს და ყველაფერს უშიშროების საბჭოს აბრალებდა, სამშვიდობო კონტინგენტისთვის თქვენს ქვეყანაში შესაბამისი პირობების შესაქმნელად ფულს არ გამოყოფენო. ამავე დროს, 1993 წლის დეკემბერში რუსეთში არჩევნების შედეგად რადიკალურად მემარჯვენე და მემარცხენე ძალების მოსვლამ დააფრთხო „ცივი ომის“ შემდეგ შეცვლილი მსოფლიოს ლიდერები, რომლებიც რუსეთის დემოკრატიული განვითარების გარანტად ისევ პრეზიდენტ ბორის ელცინს მიიჩნევდნენ. ეს სერიოზული დაბრკოლება იყო საქართველოსთვის. მართალია, მის ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებდნენ, მაგრამ სეპარატისტული მოძრაობის შედეგებს მკაცრ შეფასებას არ აძლევდნენ. შევარდნაძე სხვადასხვა დონის შეხვედრებზე მუდმივად იმეორებდა, რომ ყოველ ლოკალურ კონფლიქტში არსებობს დამნაშავე მხარე, რაც გაეროს უშიშროების საბჭოს, როგორც დე ფაქტო მსოფლიო არბიტრს, უნდა ეღიარებინა, მიეღო ზომები მის დასასჯელად და არ დასჯერებოდა ათობით წყალწყალა რეზოლუციას. ასეთი დამოკიდებულება ბუმერანგივით მოუბრუნდება მსოფლიოსო. გაეროს და ეუთოს მუშაობის შეფასების დროს კი მათ „უწყინარ ორგანიზაციებს“ უწოდებდა.

შევარდნაძემ ამერიკაში უკვე პოლიტიკას ჩამოშორებული მეგობარი ჯეიმს ბეიკერიც მოინახულა, რასაც საქართველოში საპასუხო ვიზიტი მოჰყვა. ბეიკერი კიდევ ეწვევა შევარდნაძეს, ოღონდ უკვე სულ სხვა მიზნით და მისიით.

მართალია საქართველო 1992 წლიდან ურთიერთობდა ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან, 1994 წელს კი ნატოს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ მიუერთდა, რაც თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას გულისხმობდა, მაგრამ დსთ-ში გაერთიანებამ კვლავ გააღვიძა ანტიდასავლური განწყობა. რუსეთთან ურთიერთობის დასაბალანსებლად საქართველოს მთავრობაში ძალოვანი მინისტრები კრემლის მიმართ აშკარად ლოიალურად განწყობილი კადრები

იყვნენ. ასეთი დამოკიდებულება ოპოზიციის გაღიზიანებას იწვევდა. განსაკუთრებით მკვეთრად და ღიად გამოხატავდა უკმაყოფილებას ედპ-ს ლიდერი გიორგი ჭანტურია, რომელზეც შევარდნაძე სამომავლო იმედებს ამყარებდა. ღია წერილის საშუალებით ის პირდაპირ მოუწოდებდა სახელმწიფოს მეთაურს გადაედგა რადიკალური ნაბიჯები და დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადებინა ხელისუფლებაში მოკალათებული რუსეთის აგენტურისა და მექრთამეების წინააღმდეგ. 1994 წლის 3 დეკემბერს საკუთარი სახლის წინ, უცნობმა პირებმა გიორგი ჭანტურია ავტომობილში ჩაცხრილეს.

მთელი წლის განმავლობაში საქართველოს ძალისხმევა მიმართული იყო დევნილთა დაბრუნების საკითხებზე. შევარდნაძე სოჭში კიდევ ერთხელ შეხვდა არძინბას და ელცინს. რეალურად არაფერი იცვლებოდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე არ წყდებოდა თავდასხმები სამშვიდობოებზე თუ იქ დარჩენილ ქართულ მოსახლეობაზე. გაეროს დამკვირვებლების უმოქმედობა აღიზიანებდა შევარდნაძეს და არაერთხელ უსაყვედურა მათ ასეთი გულგრილობის გამო. ჩვენ ნეიტრალური მხარე ვართ, ამბობდნენ ისინი. ე.ი. ნეიტრალური უსამართლოს ნიშნავს? დიახ, ასეა – იყო პასუხი.

მოახლოებულ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე შევარდნაძე არ წავიდა.

31 ოქტომბერს ბუტროს ბუტროს გალი ჩამოფრინდა თბილისში. შეხვედრაზე შევარდნაძემ კვლავ ლტოლვილების დაბრუნების და ეთნიკური წმენდის აღიარების საკითხი წამოწია. მიღებულ რეზოლუციებს პრაქტიკულად არანაირი შედეგი არ მოჰქონდა. საქართველოსთვის დახმარების გამოყოფაზე კი კვლავ შეახსენა თავისი დამსახურება მსოფლიოს წინაშე – „ცივი ომის“ დაძლევამ კაცობრიობას 900 მილიარდზე მეტი დაუზოგა და დღევანდელ მსოფლიოს არ უნდა უჭირდეს მშვიდობისთვის 10- 15 მილიარდის დახარჯვა.

დადგა 1995 წელი – მნიშვნელოვანი გარდატეხის, ნორმალური ცხოვრებისკენ შემობრუნებისა და ეკონომიკის გაჯანსაღების წელი. წინა წლების ძალისხმევას შედეგები მოჰყვა.

ბუდაპეშტის ეუთოს სამიტზე 52 სახელმწიფოს ლიდერმა ხელი მოაწერა დასკვნით დოკუმენტს და აფხაზეთში ეთნიკური წმენდა აღიარა. ეს იყო უთანასწორო საინფორმაციო ომის პირობებში ქართული საგარეო პოლიტიკის შესამჩნევი მიღწევა.

ბრუნვაში შემოვიდა ქართული ლარი, რომელიც საქართველოს ხელმძღვანელობამ, ზოგიერთი ექსპერტის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, არ მიუერთა რუსული რუბლის კურსს, რამაც შემდგომი რყევებისგან მეტ-ნაკლებად დაიცვა ახლად შემოღებული ფულის ერთეული.

რუსეთმა ჩეჩნეთში ჯარი შეიყვანა და სეპარატისტულ მოძრაობას ომი გამოუცხადა.

აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტის ფონზე

კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა ილია II. ქუთაისი. 1995

„სახალხო დიპლომატია“ თავისებურ, დამარეგულირებელ და ნაწილობრივ სამშვიდობო ფუნქციას ასრულებდა. საკონტროლო გამშვები პუნქტების საშუალებით მოსახლეობა მაინც ახერხებდა ერთმანეთთან მიმოსვლას, ვაჭრობას, ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებას.

ამ ფონზე საქართველო ცდილობდა შიდა კონფლიქტები ნებისმიერ დონეზე გამართული მოლაპარაკებების თემა მუდმივად ყოფილიყო.

1993 წლის თებერვალში შექმნილმა 118 კაციანმა საკონსტიტუციო კომისიამ მუშაობა დაასრულა ქვეყნის ძირითად კანონზე და 1921 წლის კონსტიტუციაზე დაყრდნობით შეიმუშავა მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი უზენაესი კანონი.

1995 წლის 24 აგვისტოს „იმელის“ შენობაში მდებარე პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია. ხელმოწერის ცერემონიალის წინ, 29 აგვისტოს, ედუარდ შევარდნაძეს ტერაქტი მოუწყვეს. აფეთქებული ავტომობილისა და პარლამენტის თავმჯდომარის საავადმყოფოში გადაღებულმა კადრებმა მსოფლიო მედია შეძრა. ტერაქტი საქართველოში დესტაბილიზაციის გამოწვევის მცდელობად შეფასდა. მსოფლიო ლიდერები შევარდნაძეს უკავშირდებოდნენ და ამხნევებდნენ.ამერიკელებმა საჩუქრად „მერსედესის“ მარკის ჯავშნიანი მანქანა გამოუგზავნეს და საერთოდაც, აშშ-ის პრეზიდენტის განკარგულებით თავიანთ თავზე აიღეს შევარდნაძის დაცვა და შესაბამისი ხარჯებიც. გამოძიებამ დაადასტურა, რომ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლები.

კონსტიტუცია მიღებულია. 1995

ტერაქტი. 29 აგვისტო. 1995

ერთ დროს მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტორები ციხეში აღმოჩნდნენ, ზოგმა ქვეყანა დატოვა და რუსეთს შეაფარა თავი.

მალევე გადაწყდა არაფორმალური შეიარაღებული ფორმირებების კანონის ფარგლებში მოქცევის საკითხი. კონსტიტუცია ერთგვარი სტაბილურობისა და მსოფლიო საზოგადოებისთვის დემოკრატიული განვითარების გარანტი გახდა.

1995 წლის შემოდგომაზე ჩატარდა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, რომელიც დამკვირვებელთა შეფასებით ნამდვილად თავისუფალი და დემოკრატიული იყო. ხუთპროცენტიანი ბარიერი სამმა პარტიამ გადალახა – „მოქალაქეთა კავშირმა“, ედპ-მ და ასლან აბაშიძის დაფუძნებულმა „აღორძინების კავშირმა“. პარლამენტის თავმჯდომარე გახდა ზურაბ ჟვანია. საქართველოს პრეზიდენტად ედუარდ შევარდნაძე აირჩიეს. მსოფლიოს ლიდერების მილოცვასთან ერთად, შევარდნაძეს ეუთოს წარმომადგენლის საშუალებით ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელმძღვანელმა ლუდვიგ ჩიბიროვმა მილოცვა გადასცა. ინაუგურაცია 1995 წლის 26 ნოემბერს გაიმართა.

„ცოტათი უკეთესად ვცხოვრობთ – ამბობდა შევარდნაძე უცხოელ დიპლომატებთან შეხვედრის დროს, – კონსტიტუცია მივიღეთ. გვყავს ახალგაზრდა, განათლებული და მოაზროვნე ხალხით დაკომპლექტებული პარლამენტი. ქართველმა ხალხმა სიბრძნე გამოიჩინა. მოსახლეობამ მხარი არ დაუჭირა რადიკალებს. ვერც ერთი კომუნისტი პარლამენტში ვერ მოხვდა.“

საქართველო ინარჩუნებდა დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების განუხრელ კურსს.

დაიწყო ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობა. ეს იყო „საუკუნის პროექტი“, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის, ამ ორი, ჯერ კიდევ საბჭოთა

პერიოდიდან დამეგობრებული, პოლიტიკური ფიგურის ერთობლივი ძალისხმევით, ბრძოლითა და თანამოაზრეობით გატანილი იდეის რეალიზება.

1995 წელს ევროკავშირმა საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობა გახსნა.

რაც უნდა დაუჯერებლად ჩანდეს 1996-97 წლები საქართველოსთვის მნიშვნელოვანი წინსვლის პერიოდი იყო. ქვეყანაში შექმნილმა მეტნაკლებად სტაბილურმა გარემომ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ მიღებულმა კანონმა, ჯერ კიდევ 1992 წელს დაწყებულმა პრივატიზაციის პროცესმა, ინფლაციის კლებამ და ლარის კურსის გამყარებამ, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 11%-იანმა ზრდამ საერთაშორისო ექსპერტებისა და გავლენიანი ბეჭდვითი გამოცემების ყურადღება და მოწონება დაიმსახურა. ეს შეფასებები დიდად არ ხმაურდებოდა,– რა აზრი აქვს ამის თქმას? ხალხმა საკუთარი ჯიბით უნდა იგრძნოს წინსვლა – ამბობდა პრეზიდენტი შევარდნაძე.

1996 წლის 19 იანვარს მოსკოვში ჩატარებულ დსთ-ის ქვეყნების სამიტზე ისევ მწვავედ დადგა სეპარატიზმის საკითხი და წინააღმდეგობის მიუხედავად გადაწყდა, რომ დსთ-ის წევრი ქვეყნები არ დაუშვებენ აფხაზურ ხელისუფლებასთან სავაჭრო-ეკონომიკურ, საფინანსო, სატრანსპორტო და სხვა სფეროებში ურთიერთობებს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ოფიციალური განცხადებით მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას.

გრძელდებოდა პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტები ისრაელში, თურქეთის რესპუბლიკაში, რუსეთში. ჰეიდარ ალიევისა და ედუარდ შევარდნაძის ერთობლივი ინიციატივით დაიწყო „მშვიდობიანი კავკასიის“ კონცეფციაზე მუშაობა. ნავთობსადენის – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მიმართულებას დაემატა თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა, რომელიც ირანს და შუა აზიის ქვეყნებს ევროპასთან დააკავშირებდა.

საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრების დროს სხვადასხვა ქვეყნის ლიდერები შეშფოთებით საუბრობდნენ რუსეთში ჩატარებული არჩევნების შედეგად სახელმწიფო სათათბიროში მომრავლებული საბჭოთა კავშირის აღდგენის მსურველების არცთუ დაფარულ ზრახვებზე.

„საბჭოთა კავშირის დაშლა კანონზომიერი მოვლენა იყო. რუსეთში სსრკ-ის აღდგენის საშიში ტენდენცია გაჩნდა. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ – რუსეთში რაც უნდა მოხდეს, ქართველი ხალხი თავისუფლებას არ დათმობს“ – უთხრა პრეზიდენტმა შევარდნაძემ თურქეთის პრეზიდენტ სულეიმან დემირელს.

საქართველოს ისტორიის მანძილზე ევროპისკენ სწრაფვა არასოდეს ყოფილა ასეთი რეალური და ხელშესახები. 1996 წლის 28 მაისს განსაკუთრებული სტუმრის სტატუსი მოგვანიჭა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ და საქართველო აღიარა როგორც პლურალისტული,

ვიზიტი თურქეთში.
პრეზიდენტები:
ედუარდ შევარდნაძე,
სულეიმან დემირელი

დემოკრატიული, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დამცველი ქვეყანა. ევროკავშირთან პირველი კონტაქტები TACIS-ს ტექნიკური დახმარების ფარგლებში მიმდინარეობდა. უკვე დაწყებული იყო პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებაზე, ე.წ. PCA -ზე მუშაობა. 1996 წლის 22 აპრილს კი ლუქსემბურგში საქართველომ, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთად, ხელი მოაწერა ამ შეთანხმებას.

„დაიმახსოვრეთ 22 აპრილი. ეს დიდი დღეა საქართველოს ისტორიაში“ – უთხრა შევარდნაძემ დელეგაციის წევრებს.

ლუქსემბურგიდან ბრიუსელში ჩასულ საქართველოს პრეზიდენტს ნატოს გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა შტაბ-ბინის კართან შეეგება. ნატოში გაწევრიანებაზე შევარდნაძე ჯერ მხოლოდ ხუმრობით ლაპარაკობდა.

1996 წლის 26 მაისის ეროვნულ დღესასწაულზე სტუმრად უზბეკეთის, სომხეთისა და გერმანიის პრეზიდენტები ჩამოვიდნენ. უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ კარიმოვმა ტრანსკავკასიური დერეფნის ამოქმედებას და ამ გზით უზბეკეთის ბამბის დასავლეთში გატანას დიდი მნიშვნელობა მიანიჭა.

17 სექტემბერს თბილისში ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი ჩამოფრინდა. ყაზახეთი ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო და შუა აზიიდან ბუნებრივი რესურსების ტრანსპორტირება საქართველოზე გამავალი ტრანსკავკასიური დერეფნის საშუალებით, ორივე ქვეყნის ინტერესებში შედიოდა. ეკონომიკურ პარტნიორებს შორის რუსეთმა მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა.

მადრიდი. ნატოს სამიტი. 1997

საქართველოს მოსახლეობამ ნელ-ნელა აუღო ალღო საბაზრო ეკონომიკის ანაბანას და ჩვენს ქვეყანაში მომრავლებული ბაზრობების გარდა, გაიხსნა ახალი სამრეწველო ობიექტები, ღვინის ქარხანა იქნებოდა ეს თუ ცემენტის, ჩაის ფაბრიკა, რესტორანი თუ შენობების პირველ სართულზე განლაგებული საცხობები, კაფე-ბარები და ბუტიკები. საბჭოთა ავტომობილების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა უცხოური მარკის ახალი თუ მეორადი მანქანების ფონზე. ბენზინის ფასიც საკმაოდ იაფი იყო და შუქიც უფრო და უფრო იშვიათად ქრებოდა. სოციალური გამოკითხვებით მოსახლეობის 73% კმაყოფილი იყო მთავრობის მუშაობით. თუმცა, მაინც გადაუჭრელი რჩებოდა ბევრი პრობლემა. საგადასახადო და საბაჟო სისტემები მოუწესრიგებელი იყო, საჯარო მოსამსახურეებს დაბალი ხელფასები ჰქონდათ, გახშირდა კორუფციული გარიგებები. პენსიონერები მინიმალურ ანაზღაურებას დაგვიანებით ღებულობდნენ. პროცესების შეჩერებისა და გამოსწორებისთვის საჭირო იყო უფრო სწრაფი და ქმედითი რეფორმები. ამ მხრივ მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული ფრთა გააქტიურდა. ზოგიერთმა მათგანმა საქართველოს მთავრობაში წამყვანი პოზიცია და მინისტრის პორტფელიც კი დაიკავა.

მეორე ვადით არჩეულმა ამერიკის დემოკრატმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა შევარდნაძეს საგანგებო წერილით მიმართა და მადლობა გადაუხადა მიმდინარე რეფორმებისა და სტაბილური გარემოსთვის, რაც მთლიანად რეგიონის სიმშვიდეს განაპირობებდა. „საქართველოს ძალისხმევა, მიმართული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების



საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკთან. პარიზი. 1997

დაჩქარებისკენ, რეგიონში ერთგვარ ნიმუშად იქცა და ჩვენი ძლიერი მხარდაჭერა დაიმსახურა, რომელიც არც მომავალში შესუსტდება.“ – აღნიშნული იყო წერილში.

1997 წელს მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დელეგაციის ვიზიტი საფრანგეთში, შევარდნაძის შეხვედრა პრეზიდენტ ჟაკ შირაკთან. ხავიერ სოლანას ჩამოსვლა თბილისში და ნატოს გაფართოების პერსპექტივაზე საუბარი. უკრაინაში დსთ-ის წევრების თავყრილობა, სადაც შევარდნაძე ამტკიცებდა, ამ წლებმა გვაჩვენა, რომ დამოუკიდებლად არსებობა შეგვიძლიაო, რაც სრულიად ეწინააღმდეგებოდა დსთ-ის ფორმულას – ერთად ყოფნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრების ჩამოსვლა თბილისში და პრეზიდენტ შევარდნაძისთვის შეთავაზება – კონფლიქტების მოგვარებაში დაყრდნობოდა რუსეთს და არა გაეროსა და ეუთოს, თავდაჭერილი, მაგრამ პრინციპული პასუხი მიიღეს – ჩვენ უკვე ვანდეთ ეს საკითხი რუსებს და ისინი ისე იქცევიან, თითქოს საკუთარ სახლში იყვნენ და არა სუვერენულ სახელმწიფოში. აზერბაიჯანში შედგა მეგობრული და გამორჩეულად კეთილგანწყობილი შეხვედრები. იტალიაში ვიზიტის დროს პრემიერ - მინისტრი რომანო პროდი შევარდნაძეს საქართველოში იტალიის საელჩოს გახსნას დაჰპირდა, მომავალი ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობების გასაადვილებლად. რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ საქართველოს პრეზიდენტს ვატიკანში უმასპინძლა.

მიღება ვატიკანში.
ედუარდ შევარდნაძე,
რომის პაპი იოანე-პავლე II. 1997

რუსეთს აღიზიანებდა საქართველოსა და აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობა. განსაკუთრებით შემოვლითი გზით მილსადენების მშენებლობა და ტრანსკავკასიური დერეფნის პერსპექტივა.

შევარდნაძემ გაამკაცრა ტონი რუსეთთან და დაიწყო აფხაზეთიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანაზე საუბარი. პრეზიდენტ ბორის ელცინის ინიციატივით 1997 წლის აგვისტოში საქართველოში, ყველასთვის მოულოდნელად, ჩამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი, თბილისში გაზრდილი, პლეხანოველი ევგენი პრიმაკოვი და აფხაზეთის დელეგაცია, ჩვენს ქვეყანაში ძებნილად გამოცხადებული ვლადისლავ არძინბას, სერგეი შამბას და ანრი ჯერგენიას შემადგენლობით. აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის წევრების ვიზიტი თბილისში და ორმხრივი მოლაპარაკებები სიახლე იყო კონფლიქტის მოგვარების საქმეში. თუმცა, მიღებულ განცხადებაში, რომელშიც აღნიშნული იყო შეხვედრის „დადებითი იმპულსი", რუსეთის განსაკუთრებული როლი და კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარების ვალდებულება, არძინბას კატეგორიული მოთხოვნით „საერთო სახელმწიფოს" (რაც კონფედერაციას გულისხმობდა) ნაცვლად არ ჩაიწერა „ერთიანი სახელმწიფო" (რაც ფედერაციას ნიშნავდა). ასეთ ფორმულირებას კი ქართული მხარე არ დათანხმდა. ეს ვიზიტი მაინც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო და კონფრონტაციის დასასრულის მცდელობა.

არძინბა თბილისში. 1997

საქართველოს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია რუსული სამხედრო კონტინგენტის გაყვანის თაობაზე. საქართველოს მეგობართა ჯგუფის წევრი ქვეყნები – აშშ, საფრანგეთი, ბრიტანეთი და გერმანია რუსეთის მონაწილეობით ცდილობდნენ მოლაპარაკებები ახალი, ჟენევის ფორმატით წარმართულიყო. სულ უფრო აქტუალური გახდა სამშვიდობოების ინტერნაციონალური შემადგენლობის იდეა. თუმცა, ამერიკაც და გაეროს ახალი გენერალური მდივანი კოფი ანანი აუცილებლად მიიჩნევდნენ რუსეთის ჩართვას საერთაშორისო სამშვიდობო მისიის შემადგენლობაში. 1994 წელთან შედარებით ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს დელეგაციის ვიზიტი სულ სხვანაირი, საქმიანი და შეხვედრებით დატვირთული იყო. ჩვენი ქვეყანა ამერიკის საქმიან წრეებში უკვე როგორც სასარგებლო პარტნიორი, ისე განიხილებოდა და მსოფლიოში ცნობილი კომპანიების წარმომადგენლები ცდილობდნენ პრეზიდენტთან შეხვედრას.

მადრიდში ჩატარებულ ნატოს სამიტზე ალიანსის ახალი წევრები გახდნენ პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი. მომავალი პოტენციური წევრებისთვის კი ნატომ „ღია კარის პოლიტიკა“ გამოაცხადა.

1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ პარლამენტმა მხარი დაუჭირა.

1993 წლიდან მოყოლებული ედუარდ შევარდნაძე სხვადასხვა დონის შეხვედრებზე მუდმივად ლაპარაკობდა საქართველოს გეოპოლიტიკურ

მდებარეობასა და ამ კონტექსტში მისი ტერიტორიის, როგორც აზია -ევროპის დამაკავშირებელი ბუნებრივი დერეფნის მნიშვნელობაზე. თავიდან უმრავლესობა სკეპტიკურად უყურებდა ამ იდეის რეალიზებას. 1997 წლისთვის „აბრეშუმის გზის“ აღდგენის კონცეფციას პრაქტიკული ნაბიჯები მოჰყვა. ამერიკასთან და ევროკავშირის ქვეყნებთან ერთად ტრანსკავკასიური დერეფნის პერსპექტივით დაინტერესდა იაპონიაც. რუსეთი საინფორმაციო საშუალებებით ცდილობდა დაეკნინებინა ამ მაგისტრალის მნიშვნელობა და აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავდა.

1998 წელი 70 წლის საქართველოს პრეზიდენტისთვის და მთლიანად მსოფლიოსთვის შოკისმომგვრელი ფაქტით დაიწყო. 9 თებერვალს ედუარდ შევარდნაძეს ტერორისტული თავდასხმა მოუწყვეს. აქაც წამებმა და ამერიკელების ნაჩუქარმა ჯავშნიანმა „მერსედესმა“ გადაარჩინა პრეზიდენტი ფიზიკურ განადგურებას. დაიღუპა დაცვის ორი ერთგული წევრი, კახა შევარდენიძე და დავით კოკაური.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან არ წყდებოდა სატელეფონო ზარები. შევარდნაძეს გადარჩენას ულოცავდნენ. აშშ-ის სენატში გამოსულმა სემ ბრაუნბეკმა აღნიშნა – თუკი ვერ დავიცავთ დემოკრატიას საქართველოში, საეჭვოა მან რეგიონში სადმე იზეიმოს. შევარდნაძის მოკვლის ყოველი მცდელობა ამ კონტექსტში უნდა განიხილებოდეს... და არცთუ ორაზროვნად რუსეთის ინტერესებსაც გადააბრალა.

კიდევ ერთი ტერაქტი. 9 თებერვალი. 1998

არ დააყოვნა ელცინის ზარმაც, მან გადარჩენა მიულოცა საქართველოს პრეზიდენტს და ამავე დროს კატეგორიულად უთხრა – ენერგომატარებლების ტრანსპორტირება მოხდება რუსეთის და არა საქართველოს ტერიტორიით, იცოდეთ ეს...

„თავი ქუდში მქონდა – დაწერს შევარდნაძე თავის მემუარებში – სულ მალე უნდა ამოქმედებულიყო ნავთობსადენი ბაქო-სუფსა, ხოლო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობა შეთანხმებული იყო. პროექტირების სტადიაში იყო ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენი და მისი მშენებლობაც მალე დაიწყებოდა."

გერმანიიდან მოსულ წერილს კი, რომლიდანაც ირკვეოდა, რომ შევარდნაძეს ახალ ჯავშნიან მერსედესს ჩუქნიდნენ, პრეზიდენტმა წააწერა – ნუ ვეტყვით უარს...

ტერაქტის მეორე დღესვე საქართველოს პრეზიდენტი ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდა. ეს იყო დილიდან გვიან საღამომდე უამრავ საქმეზე თუ წვრილმან დეტალზე დაუღალავი მუშაობა. წინ რთული წელი იყო. მდგომარეობა გამწვავდა გალის რაიონში. ზუგდიდში ისევ გაიტაცეს საერთაშორისო დემკვირვებლები. ექსპრეზიდენტის მომხრეები სხვადასხვა სახის პარტიზანულ ბრძოლას არ წყვეტდნენ. სიტუაციის ასარევად საბოტაჟს, შეიარაღებულ თავდასხმებს და როგორც გაირკვა ტერაქტსაც მიმართავდნენ.

ეკონომიკურმა კრიზისმა ნახევარი მსოფლიო მოიცვა, მათ შორის რუსეთი, რომელიც ჩვენი ქვეყნის საექსპორტო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. პროგნოზები უიმედო იყო. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს მთავრობას ურჩია ლარი თავის ნებაზე მიეშვა. რყევების მიუხედავად საქართველოს საბანკო სისტემა და ქართული ფულის ერთეულიც გადარჩა.

სუფსის ტერმინალი

1998 წლის ოქტომბერში ქართველ პარლამენტართა მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის დუმის თავმჯდომარე გენადი სელეზნიოვი. განსახილველი კვლავ აფხაზეთის კონფლიქტი და ორ ქვეყანას შორის „მეგობრობისა და თანამშრომლობის“ შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება იყო. რუსეთი აღარ მალავდა ნამდვილ მიზეზს – „ჯერ საქართველომ დააკანონოს რუსული ბაზები თავის ტერიტორიაზე და მხოლოდ ამის შემდეგ განვიხილავთ „მეგობრობის“ საკითხს.“

რეფორმატორთა გუნდმა, რომელთა ნაწილსაც დასავლური განათლება ჰქონდა და თავისუფლად საუბრობდა რამდენიმე უცხო ენაზე, ადვილად დაამყარა ურთიერთობები საერთაშორისო ორგანიზაციებთან. შევარდნაძის ავტორიტეტის და პოლიტიკური გამოცდილების გაზიარებამ მათ საშუალება მისცა უფრო გაბედულად და ენერგიულად ემოქმედათ. საქართველოს მთავრობის პრობლემა კვლავ იყო ბიუჯეტის დეფიციტი, პენსიებისა და ხელფასების დაგვიანებით გაცემა, ენერგეტიკული პრობლემები, დამალული შემოსავლები, კონტრაბანდა, საგადასახადო დავალიანებები. მათ კორუფციისა და რეფორმების ნელი ტემპის გამო საყვედურობდნენ, საინვესტიციო გარემოს უწუნებდნენ. მართალია, ეს ყველაფერი საფუძველს მოკლებული არ იყო, მაგრამ საერთაშორისო ინსტიტუტებს ბევრად მუქ ფერებში უხატავდნენ არსებულ სიტუაციას. უკვე გამოიკვეთა შევარდნაძის შემდგომი პერიოდის ძალაუფლებისთვის მებრძოლთა კონტურები. თუმცა, ისინი მაინც აგრძელებდნენ ხელისუფლებაში ყოფნას და მათი ინტერესების გამომხატველ არასამთავრობო სექტორს თუ მედიას ოსტატურად იყენებდნენ.

პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე,
იაპონიის პრემიერ-მინისტრი კეიძო ობუტი. 1999

სამი პრეზიდენტი – ლეონიდ კუჩმა, ედუარდ შევარდნაძე, ჰეიდარ ალიევი. ბაქო-სუფსის ნავთობსადენის გახსნა. 1999

მთავრობის ეშელონებში ცვლილებები მოხდა. ამერიკამ კვლავ დახმარების ხელი გამოგვიწოდა. რუსების მიერ გაკონტროლებული და ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებები საქართველოს საზღვარზე ტვირთების გასვლას ართულებდა, ზიანს აყენებდა სატრანზიტო ქვეყნის იმიჯს. სწორედ რუსების ქართველი მესაზღვრეებით ჩანაცვლებისთვის და საზღვრის დაცვის გასაძლიერებლად ამერიკამ სოლიდური თანხა გამოყო.

შევარდნაძემ ამერიკის ელჩს მადლობა გადაუხადა და უთხრა – ორი-სამი წლის წინ შეიარაღებულ ბანდებს ვებრძოდით, ახლა კი კორუფციას შევებრძოლებით... და სთხოვა ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან მიეღო.

თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადების 75-ე წლისთავს ზეიმობდა. ანკარაში ჩასულმა საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას და ამით გზა გაუხსნეს ნავთობის გადაზიდვის ბაქო-თბილისი -ჯეიჰანის მიმართულებას.

1998 წლის 15 ნოემბერს დამოუკიდებელ საქართველოში პირველად ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. კანონით დაწესებული 5%-იანი ბარიერი შვიდმა პარტიამ გადალახა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოქალაქეთა 68%-მა.

1999 წელი პრობლემების მიუხედავად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საქართველოს ისტორიაში.

წინა წლების თანმიმდევრულმა და სტრატეგიულად სწორი გადაწყვეტილებების მიღებამ თავისი შედეგი გამოიღო.

იანვარში საქართველოში შემოვიდა ამერიკული ენერგოგიგანტი კომპანია ეიესი, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში 300 მილიონ დოლარამდე ინვესტიცია ჩადო.

იაპონიაში ვიზიტის დროს საქართველოს დელეგაციას და პრეზიდენტს დაუდასტურეს ევრაზიული დერეფნის მიმართ დაინტერესება და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის დახმარების სურვილი.

17 აპრილს ამოქმედდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენი და გაიხსნა ფოთი-ილიჩევსკის საბორნე გადასასვლელი.

27 აპრილს, სტრასბურგში, საქართველო ევროპის საბჭოს წევრი 41-ე ქვეყანა ხდება.

„დღეს ქართველთა მრავალი თაობის ოცნება ასრულდა, საქართველო ევროპის ხალხთა ოჯახის წევრი გახდა“ – თქვა აღელვებულმა პრეზიდენტმა.

ევროსაბჭოში შესვლით საქართველო გახდა კონტინენტის ცივილიზებული ქვეყნების გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი. ჩვენი სახელმწიფოს აღიარების გარდა, ევროსაბჭო საქართველოსგან და თითოეული წევრი ქვეყნისგან მოითხოვდა მთელი რიგი ვალდებულებების შესრულებას. მისი საქმიანობა მოიცავს შემდეგ სფეროებს – ადამიანის უფლებები, მასმედია, სამართალი, სოციალური საკითხები, ჯანდაცვა,



სტრასბურგი. ევროსაბჭოს სხდომა. 1999

გაერო. კოფი ანანთან. 1999

კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა, სპორტი, ახალგაზრდობა, ადგილობრივი დემოკრატია და საზღვრისპირა თანამშრომლობა, გარემო და ტერიტორიების კეთილმოწყობა.

მაისის შუა რიცხვებში ბორის ელცინმა თანამდებობიდან გადააყენა პოსტზე რვა თვის წინ დანიშნული რუსეთის პრემიერ-მინისტრი ევგენი პრიმაკოვი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჟურნალისტებმა შევარდნაძეს კომენტარი სთხოვეს. საქართველოს პრეზიდენტს არ სურდა სხვა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შეფასება, თუმცა, ბოლოს იუმორით უპასუხა – „ერთს მაინც ვიტყვი. ევგენი პრიმაკოვი თბილისის საპატიო მოქალაქეა და გარწმუნებთ – ამ თანამდებობას იგი ნამდვილად შეინარჩუნებს“.

20 სექტემბერი. გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან ედუარდ შევარდნაძემ ქართულად წარმოთქვა სიტყვა, რომელსაც ამერიკულმა გაზეთებმა „ბრწყინვალე“ უწოდეს.

„შეუძლებელია ებრძოლო ბოროტებას, თუ მას სახელი არ დაარქვი. გაეროს 17 რეზოლუციიდან არც ერთში არ არის სეპარატისტების ქმედებების ზუსტი შეფასება... გაეროს უწყინარობით იმედგაცრუებულმა მე პირველი დღიდანვე მხარი დავუჭირე კოსოვოში ნატოს ოპერაციას, რადგან მასში ბოროტების წინააღმდეგ დიდი ხნის ნანატრი სიმტკიცე დავინახე...“

6 ოქტომბერს საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა.



პრეზიდენტები — ბილ კლინტონი, სულეიმან დემირელი, ედუარდ შევარდნაძე. სტამბულის სამიტის ისტორიული გადაწყვეტილება. 1999

ელცინმა სთხოვა შევარდნაძეს რუსეთის ჯარს ჩეჩნეთზე იერიში საქართველოს ტერიტორიიდან მიეტანა, რაზეც უარი შემდეგი სიტყვებით მიიღო – ეს იქნება დიდ კავკასიურ ომში საქართველოს ჩართვა.

8 ნოემბერს საქართველოში რომის პაპი იოანე პავლე მეორე ჩამოვიდა. ეს იყო პაპის პირველი ვიზიტი კავკასიის რეგიონში.

18 ნოემბერს სტამბულში ჩატარებული ეუთოს სამიტი მეოცე საუკუნის უკანასკნელი მასშტაბური ფორუმი იყო, სადაც 54 სახელმწიფოს პირველი პირი მონაწილეობდა. ეს იყო ფორუმი, სადაც საქართველოს როლი და ავტორიტეტი სულ სხვანაირად შეფასდა. საუკუნის პროექტებზე ხელმოწერამ რეალური გახადა ბევრი სკეპტიკოსის თუ არაკეთილმოსურნის მიერ მითებად შერაცხული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობა. სტამბულის დეკლარაციას ხელი მოაწერეს აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთისა და ყაზახეთის პრეზიდენტებმა. ცერემონიას ესწრებოდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი.

კავკასიის რეგიონისა და საქართველოს, როგორც საკვანძო ქვეყნის, მშვიდობიანი და სტაბილური განვითარება ევროპული უსაფრთხოების კონტექსტში განიხილებოდა. აშკარა იყო რუსეთისა და დასავლეთის ქვეყნების ლიდერების დაპირისპირება ჩეჩნეთის ომის გამო. ედუარდ შევარდნაძემ კიდევ ერთხელ შეახსენა მსოფლიოს სეპარატიზმის საფრთხე და თავის

გამოსვლაში თქვა: „დღეს კავკასიის რეგიონი, იმ დროისგან განსხვავებით, როცა ხდებოდა ქართველი მოსახლეობის ჟლეტა აფხაზეთში, მსოფლიოს ყურადღების ფოკუსშია მოქცეული. სწორედ აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ წარმოშვა ის დესტრუქციული მუხტი, რომელმაც შემდგომში კავკასიის მთებს მიღმა გადაინაცვლა და იქ სისხლიანი დაპირისპირების სახით მოგვევლინა ჯერ 1994 წელს და მეორედ ახლა. ნუთუ არ იყო ცხადზე ცხადი, რომ აგრესიული სეპარატიზმის და ეთნიკური წმენდის პოლიტიკის წახალისება, სწორედ ამგვარ ნაყოფს გამოიღებდა. ყოველ შემთხვევაში, ჩემ არაერთ შეგონებას, ამის თაობაზე, ყური არავინ ათხოვა.“

კონფერენციის დასკვნითი აქტის მიხედვით რუსული სამხედრო ბაზები ეტაპობრივად დატოვებდნენ საქართველოს ტერიტორიას – 2001 წლის ივლისის ბოლომდე ვაზიანიდან და გუდაუთიდან, ხოლო 2000 წლის მანძილზე მოლაპარაკებები უნდა გამართულიყო ბათუმსა და ახალქალაქში განლაგებულ ბაზებზე შეიარაღების შემცირებასა და შემდეგ სრულ დემონტაჟთან დაკავშირებით. რუსეთი მუდმივად ვაჭრობდა ამ თემით, ხან ფულს ითხოვდა, ხან ვადას ახანგრძლივებდა. ეს იყო ქართული სახელმწიფოს და მისი პოლიტიკის დიდი მიღწევა. 200 წლის შემდეგ საქართველოს ტერიტორია ნელ-ნელა თავისუფლდებოდა რუსეთის სამხედრო ექსპანსიისგან. ბორის ელცინი სამიტის დასრულებას არ დაელოდა და მიღებულ დოკუმენტებზე ხელი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა მოაწერა.

რაისის უნივერსიტეტში გელა ჩარკვიანთან და ჯეიმს ბეიკერთან

საქართველოში უკვე რამდენიმე დამოუკიდებელი ტელევიზია, გაზეთი და 300-მდე არასამთავრობო ორგანიზაციაა. ოპოზიციური განწყობით და შევარდნაძის პერსონის მიმართ ხისტი დამოკიდებულებით გამოირჩევა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, რომელზეც გადის ანიმაციური სერიალი „დარდუბალა“, იმ დროის პოლიტიკური სიტუაციისა და თავად საქართველოს პრეზიდენტის გაშარჟებული ვერსია. შევარდნაძე მის მიმართ აგორებულ კამპანიას ასე აფასებს – ეს არის ჩვენი დემოკრატიის დიდი მონაპოვარი.

და მძიმე სოციალური ფონის მიუხედავად 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში კვლავ მოქალაქეთა კავშირი იმარჯვებს.

ახალი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეული დასასრულს მიუახლოვდა. მართალია, ოცდამეერთე საუკუნის დადგომის ირგვლივ კამათი არ წყდებოდა, მაგრამ მსოფლიო დიდი პომპეზურობით აპირებდა ახალი საუკუნის შეგებებას. ქრისტიანული სამყარო ქრისტეშობის 2000 წლისთავს აღნიშნავდა. საქართველოშიც საახალწლო სამზადისი ტრადიციულად გადაჭედილი ბაზრიდან იწყებოდა. შესაძლებლობის მიუხედავად ამ დროს ყველა ოჯახი ახერხებდა საახალწლო სუფრა რაც შეიძლება ხვავრიელი ჰქონოდა. დღევანდელი გადასახედიდან ყველაფერი ხელმისაწვდომი იყო. უპირველესი საახალწლო კერძის, საცივის, მოსამზადებლად ინდაურს 22 ლარის ფარგლებში შეიძენდი.

საშობაოდ, 2000 წლის 7 იანვარს, საქართველოს დელეგაცია იერუსალიმს ეწვია. იქ შეიკრიბნენ თითქმის ყველა მართლმადიდებელი ქვეყნის ლიდერები, მათ შორის ბორის ელცინი, რომელიც 1999 წლის 31 დეკემბერს გადადგა.

2000 წელს საქართველოს პირველი სტუმარი თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი იყო. მისი მთავარი გზავნილი კავკასიის სტაბილურობას ეხებოდა. პრეზიდენტებმა სხვადასხვა საკითხებთან ერთად, ასლან აბაშიძეზეც ისაუბრეს, რომელიც 1991 წლიდან მოყოლებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იყო და რომელსაც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ჰქონდა. მისი ერთპიროვნული მმართველობა არადემოკრატიული, კლანური და კორუფციული იყო. 1992 წელს დაარსებული „აღორძინების კავშირი“ აჭარაში ასლან აბაშიძის საყრდენი პოლიტიკური ძალა გახდა და საქართველოს პარლამენტშიც სოლიდური შემადგენლობით შევიდა.

2000 წელი საპრეზიდენტო არჩევნების წელი იყო.

რუსეთში ახალი პრეზიდენტი აირჩიეს, ვლადიმერ პუტინი, რომელიც ბორის ელცინმა გადადგომამდე დანიშნა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად.

ვადის ამოწურვამდე ამერიკის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა წერილო-

სომხეთის პრეზიდენტის რობერტ კოჩარიანის ვიზიტი

ბით აცნობა შევარდნაძეს, რომ საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარზე ეუთოს დამკვირვებლები განლაგდებოდნენ, ენერგეტიკული დახმარების პროგრამა გაგრძელდებოდა და 35 000 ტონა ხორბალს გრანტის სახით გადმოგვცემდნენ.

2000 წლის 9 აპრილს საპრეზიდენტო არჩევნებში ედუარდ შევარდნაძემ გაიმარჯვა და მეორე ვადით საქართველოს პრეზიდენტი გახდა.

საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებით არჩევნები დარღვევებით ჩატარდა. ისინი საქართველოში დემოკრატიის ბედზე ალაპარაკდნენ. „მე, ადამიანი, რომელმაც არცთუ ცოტა რამ გავაკეთე ევროპის გათავისუფლებისთვის, ჩემს საკუთარ ქვეყანაში დავუშვებდი დემოკრატიის პრინციპების შელახვას?“ – ხშირად იმეორებდა შევარდნაძე.

კრიტიკა ისმოდა საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის და კორუფციის გამო. თავად შევარდნაძე ამ პროცესს „საგადასახადო ტერორიზმს“ უწოდებდა.

დაიწყო ახალი მთავრობის ფორმირება. საქართველოს პრეზიდენტმა დასავლელ პარტნიორებს რამდენჯერმე შესთავაზა რომელიმე უმაღლესი კლასის ეკონომისტი, ამ სფეროში მისი მრჩეველი და მთავრობის მუშაობის შემფასებელი გამხდარიყო. ამერიკამ დააფინანსა პოლონური რეფორმების სულისჩამდგმელის, ე.წ. „შოკური თერაპიის“ ავტორის, ლეშეკ ბალცეროვიჩის ჯგუფი, რომლის ერთი თანამშრომელი მუდმივად იქნებოდა საქართველოში და რეფორმების მსვლელობას დააკვირდებოდა.

ამ პერიოდში შევარდნაძისთვის უკვე ცნობილი იყო პარლამენტში მოხვედრილი ახალგაზრდების იმ ჯგუფის მოქმედებები, რომლებზეც დიდ იმედებს ამყარებდა და რომლებიც დემოკრატიული განვითარების გზაზე დამდგარი საქართველოს მომავალ ხელისუფლებაში წარმოედგინა. თუმცა ისინი დასავლელ პარტნიორებს შევარდნაძისთვის და ალბათ ქვეყნისთვის საზიანო ინფორმაციებს აწვდიდნენ, პირისპირ საუბარში უპერსპექტივოდ მიიჩნევდნენ მასთან თანამშრომლობას, ამძიმებდნენ და ხშირად იგონებდნენ ქვეყანაში არსებულ სიტუაციებს. პრეზიდენტთან პარტნიორობის ნაცვლად, ისინი ამუხრუჭებდნენ რეფორმებს და ამით უკმაყოფილებას იწვევდნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც, ჩვენი მეგობარი სახელმწიფოს ადმინისტრაციაში. ძალაუფლებისთვის ბრძოლა დაიწყო.

დიდ ბრიტანეთში ვიზიტი 2000 წლის 17 ივლისს შედგა. შევარდნაძე შეხვდა ენერგოკომპანიების ხელმძღვანელებს, სიტყვით მიმართა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების (EBRD) ევროპული ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრებს. 19 ივლისს კი ბრიტანეთის პრემიერ - მინისტრმა ტონი ბლერმა უმასპინძლა. ბუკინგემის სასახლეში მიღება გამართა დედოფალმა ელისაბედ მეორემ .

საქართველოს პრეზიდენტი ცდილობდა მხოლოდ ქვეყნისთვის მნიშ-ვნელოვანი და აუცილებელი ვიზიტები დაეგეგმა და ხშირად უარს ამბობდა სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებულ მიწვევებზე.

გვალვიანი წელი იყო. კახეთში მოსავალი განადგურდა და საქართველო კვლავ პრობლემის წინაშე დადგა. წერილები დახმარების თხოვნით დაეგზავნა ჟაკ შირაკს, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის პრეზიდენტს, რომანო პროდის, ევროკომისიის პრეზიდენტს, კოფი ანანს, გაეროს გენერალურ მდივანს და ამერიკის პრეზიდენტს ბილ კლინტონს.

2000 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის 55-ე სესია ათასწლეულის სამიტით იწყებოდა. შესაძლოა შევარდნაძისთვის ეს ყოფილიყო ბოლო მსოფლიო ფორუმი, რომელზეც მას უმაღლესი ტრიბუნიდან მოუსმენდნენ და ამიტომ გადაწყვიტა საჯაროდ და მწვავედ ეთქვა წლების მანძილზე დაგროვილ იმედგაცრუებაზე, ეთქვა კონფლიქტების მოუგვარებლობის, გაეროს 19 უშედეგო რეზოლუციისა და რუსეთის ინტერესების შესახებ:

„ერთ-ერთი ბოლო აფხაზეთიდან მე გამოვედი. ყველაფერი ვიცი ვის აძლევდა ხელს სეპარატისტების წარმატება. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არა სეპარატისტთა გამარჯვება აფხაზეთში, არ იქნებოდა ჩეჩნეთის ტრაგედიაც...“

ნიუ-იორკში საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა ძველ ნაცნობს ჰენრი კისინჯერს, ასევე ჯორჯ სოროსს, რომელიც შევარდნაძისთვის ასოცირდებოდა მის წინააღმდეგ დაგეგმილი კამპანიის მთავარ მხარდამჭერ ძალად. კორუფციასთან ბრძოლის უშედეგობაზე მწვავე კამათის შემდეგ ჯორჯ სოროსი საქართველოში ჩამოსვლას და ამ პროცესში პირადად

ჩართვას დაჰპირდა შევარდნაძეს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან, მადლენ ოლბრაიტთან შეხვედრის დროს კი წამოიჭრა რელიგიური უმცირესობების უფლებების საკითხი. საერთოდაც, საქართველოში, განსაკუთრებით რეგიონებში, რატომღაც გახშირდა ევანგელიკურ ეკლესიაზე თუ იეჰოვას მოწმეებზე თავდასხმები. პოლიციელები და ორგანიზებული ჯგუფები არბევდნენ იეჰოვას მოწმეთა შეხვედრებს. თითქოს ვიღაც სპეციალურად მართავდა მათ და ამით საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას საფრთხეს უქმნიდა. საყვედურები ისმოდა როგორც ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ასევე ევროპის საბჭოდან. ჩვენს ქვეყანას დახმარების შეჩერებითა და სანქციებით ემუქრებოდნენ.

შევარდნაძეს მუდმივად უხდებოდა თავისი პოლიტიკური თუ ადამიანური რესურსების გამოყენებით დაებალანსებინა სიტუაცია როგორც ქვეყნის შიგნით ახალგაზრდა რეფორმატორებსა და კონსერვატიულად მოაზროვნე სახელისუფლო გუნდს, ასევე მის საზღვრებს გარეთ, დასავლეთსა და დსთ-ს შორის. ეს საკმაოდ დამღლელი და მძიმე დაპირისპირება ძნელი სამართავი იყო, უფრო მწვავე კონფლიქტში რომ არ გადაზრდილიყო და ძლივს სწორ გზაზე დამდგარი ქვეყანა ისევ უმძიმეს მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო.

თბილისში ჩამოსული ჯორჯ სოროსი შევარდნაძეს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ანტიკორუფციული და გარდამავალი ეკონომიკის საკითხებში გარკვეულ ექსპერტთან, დანიელ კაუფმანთან ერთად შეხვდა. შეხვედრამ დაძაბულად ჩაიარა.

ვითარება გამწვავდა იუგოსლავიაში. მილოშევიჩის მმართველობა დამთავრდა. ოპოზიციამ ხელში აიღო ძალაუფლება.

აშშ-ის 43-ე პრეზიდენტად რესპუბლიკელი ჯორჯ ბუში უმცროსი აირჩიეს.

2000 წლის შემოდგომაზე მოხდა გეოპოლიტიკური გარღვევა. ზეწოლის მიუხედავად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს შეუნარჩუნდა სტრატეგიული მნიშვნელობა და ხელი მოეწერა მშენებლობის დაწყების ხელშეკრულებას.

დეკემბერში რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი შემოიღო. ეს გადაწყვეტილება არ შეხებია მათ მიერ ჯერ კიდევ იურიდიულად აღიარებულ საქართველოს ტერიტორიებს – აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს.

საახალწლოდ რუსეთმა გადაწყვიტა მისი მთავარი ენერგეტიკული ბერკეტი აემოქმედებინა და საქართველოსთვის გაზის მიწოდება შეეწყვიტა. საწვავის გარეშე დარჩებოდა მე-9 და მე-10 ბლოკები, რაც უშუქობასაც გამოიწვევდა და ამერიკულ ენერგოკომპანია ეიესს კავკასიიდან წასვლას აიძულებდა. ამერიკის ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი ბილ კლინტონი რუსეთის პრეზიდენტ პუტინს დაუკავშირდა. პუტინი ჩეჩნეთის ომის დროს საქართველოში შემოსულ დევნილებს შორის ტერორისტების არსებობაზე მიუთითებდა და მათთან ბრძოლით ხსნიდა ენერგეტიკულ ბლოკადას, რაც

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან. მოსკოვი. 2001

კლინტონს გასაგებად, მაგრამ ამ მიზნით საქართველოზე ეკონომიკური თუ პოლიტიკური ზეწოლა მიუღებლად მიაჩნდა.

ახალ წელს, შემორჩენილი მარაგით, მაინც იყო სინათლე.

2001 წელი ენერგეტიკული ბლოკადით დაიწყო. მსოფლიო მედია რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის გაზის შეწყვეტას უფრო გლობალურ ჭრილში განიხილავდა და ევროპასაც მოუწოდებდა თავი დაეღწია რუსული ენერგომატარებლებისგან.

ენერგოდამოუკიდებლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

ბაქოში შაჰ-დენიზის გაზსადენის მშენებლობაზე შეთანხმების ხელმოწერამდე საქართველოში რამდენიმე გახმაურებული ამბავი მოხდა. ვიზიტებიდან მნიშვნელოვანი იყო ეფბიაის (FBI) ბიუროს დირექტორის ლუის ფრის სტუმრობა. ჯორჯ სოროსის კიდევ ერთი პირისპირ შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან. ანტიკორუფციული კანონის მიღებისა თუ პოლიტიკოსების ახალგაზრდული ფრთის მაღალი შეფასება. ამერიკელი სენატორის ჰეიგელის ჩამოსვლა და პირველად წამოჭრილი პოლიტიკური მემკვიდრის საკითხი. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტი ღიად არ საუბრობდა, თუმცა პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია სენატორთან მაინც დაასახელა.

ზურაბ ჟვანიამ, რომელსაც 1995 წლიდან მოყოლებული შევარდნაძე თავად აძლიერებდა, ღია წერილით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს

და მისგან ერთგვარი ულტიმატუმის სახით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასა და რადიკალურ საკადრო თუ ინსტიტუციურ ცვლილებებს მოითხოვდა.

„მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულ ფრთას შორის განვითარებული დაპირისპირების ფონზე, რომელიც მხარეთა შორის ფიზიკურ ანგარიშსწორებაშიც კი გადადიოდა, ედუარდ შევარდნაძემ პარტიის თავმჯდომარის პოზიცია დატოვა.

„მოქალაქეთა კავშირს“ თანდათან გამოეყო ახალგაზრდული ჯგუფები, რომლებმაც შემდგომ ახალი პარტია თუ მოძრაობა ჩამოაყალიბეს, როგორიცაა „ახალი მემარჯვენეები“, „ნაციონალური მოძრაობა“ და „გაერთიანებული დემოკრატები“. მათი უშუალო მონაწილეობით წარიმართა და შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში.

ქვეყნის სტრატეგიული განვითარების, დასავლური ღირებულებების დამკვიდრების, საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებების, მეგობარი ქვეყნებიდან ათასგვარი დახმარების მიუხედავად, მოუწესრიგებელი რჩებოდა ყოფითი პრობლემები. ასეთი სიტუაცია პოლიტიკური ოპონენტებისთვის ხელსაყრელი იყო, ნებისმიერი პატარა უკმაყოფილება შეიძლებოდა ხელისუფლების საწინააღმდეგო მასშტაბურ პროტესტში გადაზრდილიყო.

2001 წლის მაისში მუხროვანში მდებარე სამხედრო ნაწილის ამბოხებას მრავალი მიზეზი ჰქონდა, იქნებოდა ეს ექსპრეზიდენტის მომხრე ფორმირებების სურვილი აღედგინათ „კანონიერი“ ხელისუფლება თუ სამხედროებისთვის გაუცემელი ხელფასები. შევარდნაძე თავად შეხვდა ამბოხებულებს, დაახლოებით 150 კაცს, იცოდა შესაძლო ანგარიშსწორების შესახებ და მაინც ჩავიდა მუხროვანში. მისთვის ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარების გზა მშვიდობიან მოლაპარაკებაზე გადიოდა და ხშირად სასიკეთო შედეგით მთავრდებოდა. ასე მოხდა მაშინაც. არავინ დაუსჯიათ, თუმცა ზოგიერთი ბანდიტურ თავდასხმებში, დეპუტატის, უცხოელი ბიზნესმენის თუ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრების გატაცებაში იყო შემჩნეული. წლების მერე მათ პასუხი აგეს უკვე ახალი ხელისუფლების პირობებში.

2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში ტერაქტი მოხდა. ტყუპ ცათამბჯენებზე მიტანილი საავიაციო იერიში CNN -ის პირდაპირი ეთერით ნახა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობამ. ეს იყო უპრეცედენტო ტერორისტული აქტი, რომელსაც 3000-ზე მეტი უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა.

მსოფლიო შეიცვალა.

სექტემბრის ბოლოს საქართველოს დელეგაცია აშშ-ს ეწვია. პრეზიდენტმა შევარდნაძემ ლექცია წაიკითხა ჰარვარდის უნივერსიტეტის ჯონ ფიცჯერალდ კენედის სახელობის პოლიტიკურ სკოლაში. მთავარი თემა

იყო 11 სექტემბრის ტერაქტი, ტერორიზმის გავრცელების საშიშროება და მასთან ბრძოლის ლეგიტიმური ძალისმიერი მეთოდები, რომლის გარეშე რთული იქნება სახელმწიფოებისა თუ მათი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვა. მსოფლიო „ცივი ომის“ დასრულების შემდეგაც შეიცვალა, დაირღვა ვარშავის პაქტი და საბჭოთა რეჟიმისგან გათავისუფლებულმა ქვეყნებმა გეზი ნატოში გაერთიანებისკენ აიღეს, რომლის გაძლიერებაც არის ევრაზიის სივრცეში ჰუმანისტური ღირებულებების დამკვიდრებისა და სტაბილურობის მთავარი საყრდენი – ითქვა ლექციაზე. ნიუ-იორკში პრეზიდენტი შევარდნაძე შეხვდა ქალაქის მერს რუდოლფ ჯულიანის და მოინახულა ყოფილი სავაჭრო ცენტრის ტერიტორია ე.წ. ground zero.

ვაშინგტონში მაღალი დონის შეხვედრები გაიმართა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ რიჩარდ ჩეინისთან და სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელთან. ისევ დადასტურდა ამერიკის მხარდაჭერა და დაინტერესება საქართველოს მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარებით. კორუფციაც ისევ გაიხსენეს და პრეზიდენტს მთავრობაში უფრო მეტი ახალგაზრდის შეყვანა ურჩიეს. თუმცა, უკვე გადამდგარი იყვნენ ახალგაზრდა მინისტრები – მიხეილ მაჭავარიანი და მიხეილ სააკაშვილი. მთავარი შეხვედრა აშშ-ის პრეზიდენტთან ჯორჯ ბუშ უმცროსთან გაიმართა. „მამაჩემმა დილიდან დამირეკა და მითხრა, ხომ იცი რა პატივსაცემ პიროვნებას ღებულობ და კარგად მოუარეო“ – წამოიწყო დიალოგი ბუშმა. „ჭკვიანი კაცია მამათქვენი და დაუჯერეთ“ – ხუმრობით მიუგო შევარდნაძემ.

საქართველოს პრობლემების განხილვის შემდეგ, ტერორიზმთან ერთობლივი ბრძოლის საკითხი შეათანხმეს, რუსების პრეტენზიების საპირისპიროდ.

ჰარვარდში წაკითხულ ლექციას დიდი გამოხმაურება და დაინტერესება მოჰყვა მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებში. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მძაფრი და უხამსი შეფასებით შემოიფარგლა. თუმცა, პრეზიდენტი პუტინი საქართველოს პრეზიდენტს დაუკავშირდა და ტერორიზმთან ერთობლივი ბრძოლის გარდა, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაც შესთავაზა.

ბრიუსელში, ევროპარლამენტში გამოსვლა გადაიდო, რადგან ტელე-კომპანია „რუსთავი 2“-ში საბიუჯეტო დავალიანების შემოწმების მიზნით უშიშროების სამსახური შევიდა და ასეთი გზით საგადასახადო პრობლემის მოგვარება, რომელსაც მუდმივად ითხოვდნენ საერთაშორისო ექსპერტები, მიუღებელი იყო. ამ ფაქტს მღელვარება და საბოლოოდ პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას გადადგომა და მთელი მინისტრთა კაბინეტის ცვლილება მოჰყვა.

საახალწლოდ პენსიებისა და ხელფასების დარიგება ისევ ამერიკის დახმარებით მსოფლიო ბანკიდან მიღებული 12 და 20 მილიონიანი ტრანშით მოხერხდა.

2002 წელი ხმაურიანი მოვლენებით დაიწყო. სპორტის სასახლეში გამართულ დევნილთა ყრილობაზე შევარდნაძის მიმართ ისეთი ბრალდებები გაისმა, რაც თავდაყირა აყენებდა მისი პრეზიდენტობის პერიოდის უმნიშვნელოვანეს და უპირველეს მიზანს – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის მსოფლიოს უმაღლესი ტრიბუნებიდან გაცხადებულ ბრძოლას. მას არაერთხელ უთქვამს – მინდა ჩემი საპრეზიდენტო ვადის ბოლომდე აფხაზებთან კონფლიქტი მოვაგვარო. ისინი მე კარგად მიცნობენ, ბევრი რამ გავუკეთე. ჩემ შემდეგ ძალიან გაძნელდება. ეს მათაც იციან.

თებერვალში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე შევარდნაძის გარემოცვის ერთ-ერთმა ძლიერმა და გავლენიანმა ფიგურამ ნუგზარ საჯაიამ. მის მიმართ მედიაში აგორებული ბინძური კამპანია წარმოუდგენლად აუტანელი და მიუღებელი იყო. ნუგზარ საჯაია ძალოვან სტრუქტურებს კურირებდა და მნიშვნელოვან ინფორმაციებს ფლობდა პრეზიდენტის წინააღმდეგ დაგეგმილი საინფორმაციო ომის, საბოტაჟის თუ მართვადი პოლიტიკური კრიზისის შესახებ. მისი მოცილება შევარდნაძის დასუსტებას აიოლებდა და გარკვეული ძალებისთვის ხელსაყრელი იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის საქართველოში ჩამოსვლიდან მალევე დაიგეგმა აშშ-ის დახმარებით პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარება. საქართველოს პრეზიდენტის თხოვნით, ამერიკამ დააფინანსა წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა. ეს პროგრამა 64 მილიონი დოლარი ჯდებოდა და 18 თვეში 200 ამერიკელი სპეცდანიშნულების ძალების ინსტრუქტორის მიერ ოთხი 600 კაციანი ქართული ბატალიონის სრულ აღჭურვასა და გაწვრთნას გულისხმობდა.

ამ გაცხადებულმა ინფორმაციამ რუსეთის პოლიტიკური სპექტრის რეაქციულ ნაწილში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. საქართველოს და მის პრეზიდენტს უაპელაციოდ თავს ესხმოდნენ და ლანძღავდნენ. ჩვენი ქვეყნის დაშლას და ახალი სეპარატისტული ვნებების გაღვივებას წინასწარმეტყველებდნენ. ეთნიკური უმცირესობით დასახლებული ტერიტორიების გარდა, აჭარას, სამეგრელოს და სვანეთსაც საქართველოდან ცალკე განიხილავდნენ. თავად რუსეთის პრეზიდენტი პუტინი კი ასე რეაგირებდა ამერიკელების თანადგომაზე – საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, უფლება აქვს თავად აირჩიოს პარტნიორები და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზებიო.

გადადებული ვიზიტი ბრიუსელში მაინც შედგა. შევარდნაძე არა მარტო ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების ხელმძღვანელებს შეხვდა, არამედ ბელგიის მაღალი თანამდებობის პირებს და თავად მის უდიდებულესობას, მეფე ალბერტ მეორეს.

საქართველოში კი უფრო დაიძაბა სიტუაცია. მმართველ ელიტაში დაპირისპირებამ არაჯანსაღი ხასიათი მიიღო. შევარდნაძისთვის ცნობილი გახდა ახალგაზრდა პოლიტიკოსების გარკვეული ჯგუფის გეგმა, ქუჩაში გამოსვლების მოწყობით ეიძულებინათ გადამდგარიყო. რაციონალური და დინჯი პოლიტიკოსების გარდა, მათ რიგებში ენერგიული და არაპროგნოზირებადი ფიგურებიც ერივნენ, რომლებიც თავიანთი პოპულისტური განცხადებებით თუ საქციელით გარკვეულწილად ქართველი ხალხის მხარდაჭერას აღწევდნენ. თუმცა, ჩვენი პარტნიორი და მეგობარი ქვეყნის, ამერიკის ადმინისტრაციაში კარგად ხედავდნენ რადიკალური პოპულიზმის საშიშროებას და აქცენტს ისევ ასაკოვან შევარდნაძეზე აკეთებდნენ.

2002 წლის 12 აპრილს კოდორის ხეობის სოფელ აჟარაში რუსეთის 14-მა სამხედრო შვეულმფრენმა 100 მედესანტე გადასხა. საქართველოს პარლამენტსა და კანცელარიას უამრავი ადამიანი მოაწყდა. შევარდნაძემ პუტინთან სატელეფონო საუბარს და სიტუაციის ასეთი მეთოდით დარეგულირებას ამჯობინა თავად ჩაფრენილიყო კოდორის ხეობაში. ასეთი არაორდინარული და გაბედული ნაბიჯები მისთვის უცხო არ იყო. ცხოვრების მანძილზე ბევრჯერ გაურისკავს და ხშირად მისი ასეთი ქმედება შედეგიანი აღმოჩენილა. ამჯერადაც ასე მოხდა. პირისპირ მოლაპარაკების შემდეგ სამშვიდობო ჯარის სარდალი პრეზიდენტს დესანტის დაუყოვნებლივ გაყვანას დაჰპირდა. რუსეთის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ეს ფაქტი სამხედროების თვითნებობად მონათლეს.

აპრილის ბოლოს ტრაპიზონში შეიკრიბნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტები. ხელი მოაწერეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი ერზერუმის მილსადენების უსაფრთხოების უზრუნველყოფის შეთანხმებას – სამივე რესპუბლიკა ტერორიზმის და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას ერთობლივად გაუმკლავდებოდნენ. მილსადენები და ევრაზიული დერეფანი ბევრ სიკეთესთან ერთად მსგავსი პრობლემების არსებობასაც არ გამორიცხავდა.

2 ივნისს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. გაყალბების თემა აქტუალური გახდა სიტუაციის ასარევად და შესაცვლელად. ამჯერადაც გაისმა მსგავსი ბრალდებები, მაგრამ შედეგები მოულოდნელი აღმოჩნდა. შიდა ბრძოლებით დასუსტებულმა „მოქალაქეთა კავშირმა“ ბარიერი ვერ გადალახა და თბილისის საკრებულოში ვერ მოხვდა. პირველ ადგილზე ლეიბორისტული პარტია გავიდა, მას 2 %-ით ჩამორჩა „ნაციონალური მოძრაობის“, „რესპუბლიკელებისა“ და „კონსერვატორების“ ბლოკი. დანარჩენ თვითმმართველ ერთეულებში კი „ახალი მემარჯვენეები“ დაწინაურდნენ. ეს იყო საპარლამენტო არჩევნების წინ ოპოზიციური ძალების მნიშვნელოვანი გამარჯვება. ურთიერთშეთანხმებით საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი შალვა ნათელაშვილმა მიხეილ სააკაშვილს დაუთმო.

თუმცა, ამ ფაქტს არაერთგვაროვანი შეფასება და მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ყველას აინტერესებდა რატომ და რის ფასად თქვა უარი გამარჯვებული პოლიტიკური ძალის ლიდერმა საკრებულოში გარანტირებულ მნიშვნელოვან თანამდებობაზე.

ივლისის ბოლოს საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ისევ დაიძაბა. პანკისში ტერორისტების ბაზების არსებობაზე და მათ წინააღმდეგ საჰაერო ოპერაციის ჩატარებაზე რუსული სატელევიზიო არხების საშუალებით ღიად საუბრობდნენ პრეზიდენტი პუტინი თუ სხვა მაღალი თანამდებობის პირები. პრეზიდენტმა შევარდნაძემ ღია წერილით უპასუხა პუტინს და დაგმო საქართველოს სისხლისმღვრელ ომში ჩათრევის, ქართველებისა და ჩეჩნების გადამტერების მცდელობა. რა თქმა უნდა აშშ მაშინვე გამოეხმაურა პუტინის განცხადებას – „შეერთებული შტატები მხარს უჭერს და პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მიუღებლად მიიჩნევს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ყოველნაირი აქციის ჩატარებას." რუსეთის ავიაციას არაერთხელ დაურღვევია საქართველოს საჰაერო სივრცე, მაგრამ ამჯერად ასეთ ქმედებას მსხვერპლი მოჰყვა. ამას შესაძლოა ვაზიანის სამხედრო ბაზის აღდგენა და რუსი სამხედროების საქართველოში დარჩენა მოჰყვესო, ამბობდა შევარდნაძე და კიშინიოვის დსთ-ის სამიტზე გამგზავრება არ სურდა. ქვეყნის ლიდერებს შორის დადებული შეთანხმებები არ სრულდებოდა და უინტერესო ხდებოდა ასეთ თავყრილობებზე დასწრება. კიშინიოვში პუტინთან შეხვედრამ და მოლაპარაკებამ შედარებით დააშოშმინა სიტუაცია. რუსეთ-საქართველოს ორკილომეტრიანი სასაზღვრო ზოლი ერთობლივად გაკონტროლდებოდა.

2002 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოველში ხელი მოეწერა საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციურ შეთანხმებას.

2002 წლის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის დაწყება იყო. სექტემბერში ბაქოში შეიკრიბნენ საქართველოს, თურქეთის პრეზიდენტები, აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრი. მასპინძელმა, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ჰეიდარ ალიევმა თავისი სიტყვა ასე დაიწყო – ამბობდნენ ილუზიააო, ახლა აღარც ლეგენდაა და აღარც ზღაპარი. პროექტი მთლიანად დაფინანსებულია. სამი ზღვა გააერთიანა. ეს მილი პოლიტიკურიცაა–ის მოიტანს მშვიდობას, სტაბილურობას. ფოლადის ძაფებით შეკრავს ხალხების მეგობრობას.

2002 წლის ნოემბერში პრაღაში ჩატარებულ ნატოს და ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს სამიტზე, საქართველოს პრეზიდენტმა ღიად თქვა ჩვენი ქვეყნის მისწრაფებაზე, გამხდარიყო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი. „მე ბედნიერი ვარ, რომ ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს სამიტზე შემიძლია განვაცხადო: საქართველოს გადაწყვეტილი აქვს გახდეს ნატოს სრულუფლებიანი წევრი და თავგამოდებით იშრომოს,

რათა მოემზადოს ამ ისტორიული მისიისთვის“ – აღნიშნა პრეზიდენტმა შევარდნაძემ.

სამიტზე რუსეთისგან მოითხოვეს 1999 წლის სტამბულის ეუთოს სამიტის შეთანხმების შესრულება და საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ბაზების გატანა.

წლის ბოლოს საქართველოში ჩვენი მეგობარი და პარტნიორი ქვეყნის, უკრაინის, პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ჩამოვიდა. ერთ-ერთი განხილული საკითხი რუსი სამშვიდობოების უკრაინელი ცისფერჩაფხუტიანებით ჩანაცვლების პერსპექტივა იყო.

დადგა 2003 წელი. საპარლამენტო არჩევნები მოახლოვდა. „მოქალაქეთა კავშირიდან“ გამოყოფილი და ახლად შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაციები გააქტიურდნენ. სხვადასხვა არარეალური და იმდროისთვის ქვეყნის ფინანსური პოტენციალისთვის შეუფერებელი მოთხოვნებით ხშირად იმართებოდა აქციები. მართალია, ყოფითი პირობები საგრძნობლად გაუმჯობესებული იყო, მაგრამ ცოტა განელებულ შიდა კონფლიქტებს ახლა პოლიტიკური სიტუაციის გამწვავება დაემატა. აჭარაში ასლან აბაშიძე რაღაც ფეოდალური მმართველობის მსგავსი მოდელით ხელმძღვანელობდა, ავტონომიური რესპუბლიკის საზღვარზე შემოწმების გარეშე ვერ გადახვიდოდი. მნიშვნელოვან თანამდებობებზე დანიშვნა და ბიზნესის წამოწყება კლანური პრინციპით ხდებოდა.

რუსეთის სამშვიდობოებს აფხაზეთში ყოფნის ვადა ეწურებოდათ და მანდატის გაგრძელებას ითხოვდნენ. ავტონომიის მოსახლეობას რუსული პასპორტები მასობრივად ურიგდებოდა და სოჭი-სოხუმის რკინიგზის აღდგენაზე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, რაც ჩვენი ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო. რუსი სამშვიდობოების საკითხი შევარდნაძის და პუტინის შეხვედრამდე გადაიდო.

საქართველოს პრეზიდენტმა რამდენჯერმე წერილობით მიმართა ამერიკის პრეზიდენტს. რეგიონში მიმდინარე პროცესების გაცნობასთან ერთად, მას კონფლიქტის მოწესრიგების ახალი, სამმხრივი მოლაპარაკების პროექტი შესთავაზა: ამერიკა-რუსეთი-საქართველო. საერთოდ, პრეზიდენტი ბუში ხშირად ამბობდა თავის გამოსვლებში, რომ თუ რუსეთი და შეერთებული შტატები ერთად კონსტრუქციულად ითანამშრომლებენ, მსოფლიო უფრო დაცული და აყვავებული იქნებაო. 2002 წლის 24 მაისს კი მოსკოვში გაკეთებული განცხადება ჩვენი პრეზიდენტისთვის იმედისმომცემი იყო – შეერთებული შტატები და რუსეთი ითანამშრომლებენ, რათა მოაგვარონ რეგიონული კონფლიქტები, მათ შორის აფხაზეთსა და მთიან ყარაბაღში.

2003 წლის მარტის თვეში შევარდნაძე და პუტინი ერთმანეთს სოჭში შეხვდნენ. რუსეთის პრეზიდენტი გალში დევნილი მოსახლეობის პარალელურად რკინიგზის აღდგენას ითხოვდა. რუსი სამშვიდობოების მანდატიც რამდენიმე თვით გახანგრძლივდა. დაიგეგმა ენგურჰესის

რეაბილიტაციის ერთობლივი პროგრამა. აფხაზეთის სტატუსზე მართალია თავად აფხაზები არ აპირებდნენ საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას, მაგრამ ორი ქვეყნის პრეზიდენტის შეხვედრის შემდეგ მაინც დაიწყო საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიისთვის გაცილებით დიდ უფლებებზე საუბარი. შევარდნაძე ამ მოლაპარაკებებს ასე აფასებდა – „ამ შეხვედრის მნიშვნელობას უფრო თავად შეხვედრის ფაქტი განაპირობებს. მთლიანობაში კმაყოფილი ვარ, მაგრამ მერე რა იქნება არ ვიცი. საერთოდ, რუსეთის პრეზიდენტთან ჩემი შეხვედრები კარგია, მაგრამ მერე სხვანაირად იქცევიან."

დასავლეთიდან კვლავ გაისმოდა პრეტენზიები რელიგიური უმცირესობების უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. ძალადობის ფაქტებმა რეალურად იმატა. ამ დაპირისპირებით სარგებლობდა მხარე, რომელიც დაინტერესებული იყო შევარდნაძის ხელისუფლების დისკრედიტაციაში, როგორც დასავლეთის, ასევე საკუთარი მოსახლეობის თვალში.

აპრილში შევარდნაძემ „მოქალაქეთა კავშირის" გაძლიერება და არჩევნებში ბლოკით „ახალი საქართველოსთვის" მონაწილეობა გადაწყვიტა, ქვეყნის პროდასავლური კურსის საფრთხის მიზეზით. საქართველოში მომძლავრდნენ პრორუსული ძალები.

სხვადასხვა მიზეზის გამო გამართული დემონსტრაციები, უმეტეს შემთხვევაში, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით სრულდებოდა, იქნებოდა ეს „კმარას" ლოზუნგით გამოსული ახალგაზრდების ჯგუფის პროტესტი თუ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებული პრეტენზიები.

2003 წლის 14 მაისს თბილისში ნატოს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი ჩამოვიდა. მოსკოვში ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომაზე დასკვნითი დოკუმენტის მიღება ვერ მოხერხდა, რადგან რუსეთმა არ შეასრულა სტამბულის შეთანხმება და თავისი სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის გრაფიკი დაარღვია. ნატოს პრინციპულობა საქართველოსთან მიმართებაში დამაიმედებლი იყო, მაგრამ კვლავ გაისმა რეფორმების ნელი ტემპის, კორუფციის გამო საყვედურები. ასეთი აზრის დამკვიდრება და ნებისმიერი შეხვედრის დროს მისი წამოწევა უკვე შემუშავებული სქემა იყო. შევარდნაძე არ გაურბოდა პრობლემების აღიარებას და მათი გადაჭრის გზებს უცხოელ პარტნიორებთან თუ მეგობარ ქვეყნებთან ერთად ცდილობდა, მაგრამ ხელისუფლებისთვის ბრძოლა უკვე გადამწყვეტ ფაზაში იყო შესული და იმ ძალამ, რომელიც შევარდნაძის გვერდით, მისი პოლიტიკური ავტორიტეტის გამოყენებით, გაიზარდა და ქვეყნის მართვის პრეტენზია გაუჩნდა, კარგად იცოდა დასავლეთის მოთხოვნები, მათთან საკომუნიკაციო ენა და იმ პრობლემების მძაფრად წარმოსახვა, რომლებიც დემოკრატიის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყო–კორუფციასთან ბრძოლა, უმცირესობების უფლებები, საარჩევნო

კანონმდებლობა, თავისუფალი არჩევნები თუ რეფორმების ტემპი და ა. შ.

წინასაარჩევნო მარათონში ჩაბმული პარტიების მხრიდან, განსხვავებულ კონტექსტში, ხშირად გაისმოდა ცნობილი ფინანსისტის და ქველმოქმედის, სხვადასხვა ქვეყნებში ფონდის – „ღია საზოგადოება“ – დამაარსებელი და უმცირესობათა უფლებების დამცველი მილიარდერის ჯორჯ სოროსის სახელი. სოროსი აქტიურად ერეოდა პოსტსაბჭოთა თუ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, შევარდნაძის ხელისუფლების მხარდაჭერით და ხშირად პირადად საქართველოს პრეზიდენტის თხოვნით, მრავალი სასიკეთო პროგრამა დააფინანსა. ხელი შეუწყო არასამთავრობო სექტორის, თავისუფალი მედიის განვითარებას, საგანმანათლებლო თუ კულტურული პროექტების განხორციელებას, ანტიკორუფციული საბჭოს შექმნასა და დაფინანსებას. რამდენჯერმე შევარდნაძესთან პირისპირ შეხვედრის დროს კორუფციასთან ბრძოლის დაბალი ტემპის გამო უსიამოვნო საუბარიც კი ჰქონდა. სერბული „ოტპორის“ ანალოგი ახალგაზრდული მოძრაობა „კმარა“, რომელიც ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ჯინ შარპის არა-ძალადობრივი პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებს ეყრდნობოდა და რომლის მიზანიც საზოგადოებაში პროტესტის მუხტის ამაღლება იყო, სოროსის ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობდა. ცნობილი იყო კლასიკური სქემა, რომლითაც მოქმედებდნენ არასამთავრობო ინსტიტუტებში გაწვრთნილი აქტივისტები. მთავარი აქცენტი არჩევნებზე უნდა ყოფილიყო – პირველ რიგში არჩევნების სამართლიანობის ეჭვქვეშ დაყენება, აქციები საარჩევნო უბნებთან, მთავრობის როლის უარყოფითად წარმოჩენა, არჩევნების შემდგომი მშვიდობიანი საპროტესტო აქციები, რასაც უკეთეს შემთხვევაში ხელისუფლების გადადგომა, ახალი არჩევნების დანიშვნა და ოპოზიციის გამარჯვება უნდა მოჰყოლოდა.

შევარდნაძე, როგორც დასავლური ღირებულებების გზაზე დამდგარი ქვეყნის მეთაური, პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ ფაქტს, რომ ოპოზიციის საქმიანობა, ქუჩისა თუ სხვა ტიპის აქციები, მთლიანად ჩამჯდარიყო დემოკრატიული ნორმის ფარგლებში.

ხშირად ამბობდა – „ჩვენ უნდა ვისწავლოთ ცხოვრება ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის პირობებში: ხელისუფლების ლეგიტიმაცია, დემოკრატიული არჩევნები, სიტყვის თავისუფლების დამკვიდრება, დამოუკიდებელი მასმედიის ჩამოყალიბება და მისი განვითარებისთვის პირობების შექმნა და რაც მთავარია, სამოქალაქო საზოგადოებისთვის საარსებო სივრცის გახსნა. თუმცა, პარალელურად ვერ ჩამოყალიბდა ისეთი ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები და სტრუქტურები, რომლებიც ქვეყნის განვითარების მდგრადობას უზრუნველყოფენ. შედეგად მივიღეთ მყიფე სახელმწიფო ძლიერი, დინამიკური სამოქალაქო საზოგადოებით.“

შევარდნაძისთვის მიუღებელი და საწყენი იყო მისი მმართველობის რეჟიმად მოხსენიება, რასაც ხშირად ამბობდნენ რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენელი ახალგაზრდები, თავიანთი მაქსიმალისტური და ხშირად დაუნდობელი შეფასებების დროს.

2003 წლის 5 ივლისს თბილისში დაუგეგმავად ჩამოვიდა შევარდნაძის მეგობარი და ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, რომელიც თანმხლებ პირებთან – რიჩარდ მაილსთან, ელიზაბეთ ჯონსთან და მეთიუ ბრაიზასთან – ერთად კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში მივიდა. საქართველოს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშის წერილი გადასცა და არჩევნების ჩატარების ხარისხზე ესაუბრა, რომელიც ამერიკასთან შემდგომ ურთიერთობებს განსაზღვრავდა. „ყველაზე მეტად მე ვარ დაინტერესებული, რომ ამ არჩევნებმა თავისუფალის და სამართლიანის შეფასება დაიმსახუროს“ – განაცხადა შევარდნაძემ. შემდეგ დოკუმენტს გაეცნო, სადაც ჩამოყალიბებული იყო არჩევნების ჩატარების პრინციპები და მათი განხორციელების ვადები. ეს იყო საარჩევნო კოდექსის მიღება, საარჩევნო კომისიების შემადგენლობაზე ოპოზიციასთან შეთანხმება, გამჭვირვალე, კომპიუტერული სიების წარდგენა, სახელმწიფო მედიის ხელმისაწვდომობა, დამკვირვებლების მიერ ხმების პარალელური დათვლა და შედეგების დაუყოვნებლივ გამოქვეყნება. შევარდნაძე დაეთანხმა მიღებულ რეკომენდაციებს, ოღონდ მათი შესრულება კანონისა და კონსტიტუციის ფარგლებში უნდა მომხდარიყო. პირისპირ დარჩენილი მეგობრების საუბარი უფრო უშუალოდ წარიმართა. „არ მინდოდა ამ მისიით ჩამოსვლა, ეს უფრო ამერიკის ადმინისტრაციის აზრებია... ზოგიერთს უკვირს, რისთვის დასჭირდა შევარდნაძეს პოლიტიკური ბლოკის შექმნა,“ – თქვა შეწუხებულმა ბეიკერმა. შევარდნაძემ 1999 და 2000 წლების არჩევნების გამო ნათქვამი საყვედური გაახსენა და ჰკითხა – „შენ თქვი რომ ისინი უამრავი დარღვევით ჩატარდა და უპატიოსნობასაც ჰქონდა ადგილი. იცი, ვინ იყო ჩემი საარჩევნო შტაბის უფროსი? ის კაცი, რომელიც დღეს ოპოზიციის სახელით გელაპარაკა.“

იმ დროს საარჩევნო შტაბის უფროსი პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია იყო.

იმავე დღეებში საქართველოში რუსეთის სახელმწიფო დუმის დელეგაცია ჩამოვიდა. პრეზიდენტთან შეხვედრის დროს მთავარი თემა ისევ ლტოლვილების დაბრუნება, სამხედრო ბაზების გაყვანა, სავიზო რეჟიმი და ჩარჩო ხელშეკრულება იყო. რუსეთი არც ერთ შეთანხმებას არ ასრულებდა. უკან დახევა და ჯარის გაყვანა ჩვენთვის შეურაცხმყოფელიაო, ამბობდნენ და საქართველოს ევრაზიულ კავშირში ეპატიჟებოდნენ. ჯერ თქვენ თვითონ გაერკვიეთ რა არის და მერე დავილაპარაკოთო, უპასუხა შევარდნაძემ. რუსებისთვის მიუღებელი და საგანგაშო იყო ამერიკული შორეული რადიოლოკაციური წვდომის თვითმფრინავის E-3 AWACS საქართველოს

საჰაერო სივრცეში ფრენა, თუმცა თავად რუსული თვითმფრინავების მიერ რამდენჯერმე შემოჭრა ჩვენს ტერიტორიაზე პრობლემად არ მიაჩნდათ.

ივლისის ბოლოს საქართველოს დატოვება განიზრახა ამერიკულმა კორპორაციამ AES -თელასმა, რომელმაც თავისი აქტივები რუსულ RAO EC მიჰყიდა და შევარდნაძის საშინელი რისხვა და საყვედური გამოიწვია, მაგრამ გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით ეუთოს მიერ შერჩეულ და წარდგენილ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს პრეზიდენტი ნიშნავდა. პოლიტიკურ პარტიებთან, არასამთავრობოებთან, მთავრობასთან, დიპლომატებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციის შემდეგ 25 კანდიდატი გამოვლინდა. სამი პრეტენდენტიდან პრეზიდენტმა თავმჯდომარედ ნანა დევდარიანი დანიშნა.

საერთოდ, არჩევნებზე დიდი აქცენტი, ეუთოს თუ სხვა მისიების და ამერიკის ასეთი მძაფრი დაინტერესება შევარდნაძისთვის გასაკვირი და საწყენიც იყო. რას ცდილობენ, რატომ გვასწავლიან, ჩვენი პრინციპები საქართველოს კონსტიტუციაშიაო – ამბობდა პრეზიდენტი. მას ხელისუფლებაში ყოფნის 16 თვე დარჩენოდა და არც ფიქრობდა თავისი ვადის გახანგრძლივებას. მისი სურვილი, კონსტიტუციისა და კანონიერების ფარგლებში, არჩევნების გზით ძალაუფლების გადაბარება იყო. თუმცა, „მოქალაქეთა კავშირიდან“ გამოყოფილი ახალგაზრდა პოლიტიკოსები არ მალავდნენ თავიანთ მისწრაფებებსა და ერთმანეთის კონკურენტებად მოიაზრებოდნენ პოსტშევარდნაძისეული პერიოდის ხელისუფლებისთვის გამართულ ბრძოლაში. ზოგიერთი მათგანი შესაძლოა პრეზიდენტის ვადის ამოწურვამდე ფიქრობდა თავისი პოზიციების გამაგრებას და პოპულისტური განცხადებებითა თუ უსაფუძვლო ბრალდებებით მიღწეულ მოსახლეობის უკმაყოფილებას სათავისოდ იყენებდა.

სექტემბერში გამართულ იალტის დსთ-ის სამიტზე შევარდნაძემ წევრი ქვეყნების მეთაურებს კვლავ შეახსენა მრავალჯერ განხილული თუ დამტკიცებული განცხადებების შეუსრულებლობა და კმაყოფილი დარჩა შედეგით, რადგან რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საქართველოს მიერ წარდგენილ დოკუმენტს ხელი მოაწერა, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკასთან სხვა სახელმწიფოების თანამშრომლობა მხოლოდ ქართულ მხარესთან შეთანხმების შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი.

2003 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში საქართველოში ერთდროულად ჩამოვიდნენ ამერიკის ყოფილი მაღალჩინოსნები და მოქმედი სენატორი მაკ - კეინი. „არ ვიცი რას გვიპირებენ, ან სასიკეთოდ ჩამოდიან და ან გადაგვასახლონ უნდაო“ – ხუმრობდა შევარდნაძე და 2 ნოემბრის არჩევნებისადმი ამერიკის ასეთ დაინტერესებას იუმორით ეხმიანებოდა–

„600-მდე დამკვირვებელია უკვე რეგისტრირებული. მგონი ერთ ამომრ-ჩეველზე ორი დამკვირვებელი მოდის... “

სამთავრობო ბლოკის პირველ ნომრად ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვაჟა ლორთქიფანიძე დაასახელეს. ახალი ბლოკის პრეზენტაციის დროს წარმოთქმულ სიტყვაში შევარდნაძემ მკვეთრად გააკრიტიკა რუსეთის სამხედრო დოქტრინა და თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი. რუსეთი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე პრევენციული დარტყმების უფლებას იტოვებდა იმ შემთხვევაში, თუ მის ქვეყანას და საზღვარგარეთ მცხოვრები თანამოქალაქეების უსაფრთხოებას რამე დაემუქრებოდა.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად სულ უფრო მწვავდებოდა და იძაბებოდა სიტუაცია თბილისში თუ რეგიონებში. ოპოზიციურ ძალებში ყველაზე პოპულარული იყო „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რომლის არაორდინარული და შემტევი სტილის პოლემიკა საზოგადოების გარკვეულ ნაწილში აღფრთოვანებას იწვევდა. ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბევრი მომხრე სააკაშვილის ბანაკში აღმოჩნდა, მათთვის ეს იყო წლების მანძილზე ნაოცნებარი რევანშის შესაძლებლობა. „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან სულ უფრო ხშირად ისმოდა განცხადებები არჩევნების გაყალბების შემთხვევაში დესტაბილიზაციის მოწყობის შესახებ. ოქტომბრის ბოლოს საარჩევნო აგიტაციისთვის ბათუმში ჩასული „ნაციონალური მოძრაობის“ დიდი ჯგუფი დაუპირისპირდა ადგილობრივი ხელისუფლების მომხრეებს. „რუსთავი 2“-მა ნაცემი ახალგაზრდების კადრები გაავრცელა. არჩევნებამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი.

31 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტი ბაქოში ჩაფრინდა და ილჰამ ალიევის ინაუგურაციას დაესწრო. ჰეიდარ ალიევმა თავისი შვილის სასარგებლოდ მოხსნა კანდიდატურა და ხალხს მისი მხარდაჭერისკენ მოუწოდა. მიწვეულ სტუმრებს შორის ერთადერთი პრეზიდენტი შევარდნაძე იყო.

არჩევნების წინ საქართველოს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშის წერილი მიიღო, სადაც შევარდნაძის დამსახურებასთან ერთად შეუნიღბავად იყო ნათქვამი ახალი თაობის შესახებ, რომელიც საქართველოს წინაშე მდგარ გამოწვევებს აქტიურად შეებრძოლებოდა.

2003 წლის 2 ნოემბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა.

კომპიუტერული სისტემის გაუმართაობა თუ საარჩევნო სიების შეგნე-ბულად არევა მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზი გახდა. ამომრჩეველი თავის თავს სიაში ვერ პოულობდა.

იმავე ღამეს „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ეგზიტპოლების შედეგებზე დაყრდნობით, გრიბოედოვის თეატრში გამარჯვება აღნიშნა. 3 ნოემბერს კი პარალელური დათვლის შედეგები გამოქვეყნდა, სადაც პარლამენტში

მოხვედრილ 5 სუბიექტს შორის კვლავ „ნაციონალური მოძრაობა“ ლიდერობდა. ეუთომ დარღვევები დააფიქსირა, რაც შევარდნაძემაც აღიარა თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში, მაგრამ ზოგადად არჩევნების მსვლელობა დადებითად შეაფასა. ცესკოს მონაცემებით „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე ადგილზე გადიოდა, ლიდერის პოზიცია კი სახელისუფლო ბლოკს –„ახალი საქართველოსთვის“–ეკავა. განსხვავება მხოლოდ მცირე პროცენტში იყო. სააკაშვილი არჩევნების გაყალბებაზე, სახალხო გამოსვლებზე და პირველი ადგილის დაკავებაზე ალაპარაკდა. „ნაციონალების“ სატელევიზიო მოწოდებას მხოლოდ ბურჯანაძე-ჟვანიას „დემოკრატები“ გამოეხმაურნენ. ყველა მონაცემით ხმების ერთნაირი პროცენტები დაუფიქსირდა „ახალ მემარჯვენეებს“, რომლებიც „ნაციონალურ მოძრაობას“ თავიანთ სასარგებლოდ არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდნენ და არ უერთდებოდნენ ქუჩის აქციებს.

5 ნოემბერს „ნაციონალებმა“ და „დემოკრატებმა“ დემონსტრაცია მოაწყვეს, სადაც აგრესიული და სიძულვილით სავსე მოწოდებები გაისმოდა: „იმ კანცელარიის ვირთხებს გამოვდევნით, იქაურობას გადავთელავთ, შევარდნაძეს და მის დამქაშებს ციხეში დავალპობთ!“

მწვავე სიტუაციის მიუხედავად შევარდნაძე ევროკავშირის ელჩებს შეხვდა და არჩევნების მიმდინარეობაზე და შედეგებზე ესაუბრა. პრეზიდენტისთვის პრობლემური იყო არეული კომპიუტერული სიები, ზოგიერთ რეგიონში ბიულეტენების ჩაყრა და ამომრჩევლის მოსყიდვა. შევარდნაძე ქუჩის აქციების უშედეგობასა და ოპოზიციის ლიდერებთან მოლაპარაკებაზე ალაპარაკდა.

ეუთოს დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში ჩატარებულმა არჩევნებმა ვერ დააკმაყოფილა ეუთოს ზოგი მოთხოვნა და სტანდარტები. ამავე დროს ორივე მხარეს მოუწოდა დემოკრატიული და არაძალადობრივი მეთოდებით მოეგვარებინათ უთანხმოება. საერთაშორისო მედიაში საქართველოში ჩატარებული არჩევნები ნეგატიურად შეფასდა.

შევარდნაძეს შესთავაზეს ბათილად ეცნო არჩევნების შედეგები, რომელიც სასამართლოს და საარჩევნო კომისიის პრეროგატივა იყო.

საპროტესტო აქციებს გაემიჯნა პარლამენტში მოხვედრილი კიდევ ორი ძალა–ლეიბორისტული პარტია და „დემოკრატიული აღორძინების კავშირი“.

პარლამენტის წინ შეკრებილი მომიტინგეების რაოდენობა დღითი დღე მატულობდა. გაისმოდა შეძახილები – საქართველო შევარდნაძის გარეშე.

10 ნოემბერს, დილაადრიან, მომიტინგეებთან პრეზიდენტი მივიდა და შეეცადა მოლაპარაკების, დიალოგის გზით განემუხტა დაძაბულობა. მის დანახვაზე იქ შეკრებილებმა აგრესიულად დაიწყეს სკანდირება – „გადადექი!“ „გადადექი!“ ცხოვრებაში პირველად ვერ შევძელი ხალხთან დალაპარაკებაო, თავის მემუარებში დაწერს შევარდნაძე.

„რევოლუციური სამეული“— მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტთან კრწანისის რეზიდენციაში. 14 ნოემბერი. 2003

14 ნოემბერს პრეზიდენტმა სატელევიზიო მიმართვაში თქვა, რომ ჯერ უნდა შეკრებილიყო ახალი პარლამენტი და მერე შესაძლოა თავადაც გადამდგარიყო.

რუსთაველზე, ოპოზიციური მიტინგის პარალელურად ხელისუფლების მხარდამჭერები შეიკრიბნენ, რომელთა შორისაც ჭარბობდნენ აჭარიდან სპეციალურად ჩამოყვანილი მოქალაქეები. ამ ფაქტმა კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. სხვადასხვა რეგიონში, განსაკუთრებით კი სამეგრელოში, მობილიზებული „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები თბილისის-კენ ავტობუსებით გამოემართნენ. გზაზე ხელოვნურად წარმოქმნილმა საცობმა შექმნა ილუზია, რომ დედაქალაქისკენ უზარმაზარი კოლონა მოემართებოდა. ეს ფაქტი მოგვიანებით „რუსთავი 2“-ის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, ეროსი კიწმარიშვილმა, დაადასტურა.

შესამჩნევი იყო სამთავრობო ეშელონების ლოიალური დამოკიდებულება ოპოზიციის ლიდერებისა და მათი მომხრეების მიმართ. შევარდნაძემ შესაძლოა იცოდა, თუ როგორ ხვდებოდნენ მისი მინისტრები და გარემოცვის სხვა წევრები რევოლუციური ტალღის სულისჩამდგმელებს და მათთან ერთად გეგმავდნენ გადატრიალების მოწყობას. რაც შემდეგ მისთვის ნათელი გახდა. თურმე მღალატობდნენო– ამბობდა ინტერვიუებში.

რუსთაველის გამზირი. 22 ნოემბერი. 2003

22 ნოემბერს დანიშნულ პარლამენტის სხდომაზე „ახალმა მემარჯვენეებმა“ რამდენიმე საათი დააგვიანეს. ქვორუმი შედგა. სხდომა დაიწყო. შევარდნაძე ტრიბუნასთან დადგა და მისასალმებელი სიტყვის კითხვა დაიწყო.

ქუჩაში დაძაბულობამ პიკს მიაღწია. მომიტინგეები თავისუფლად შეიჭრნენ პარლამენტის შენობაში და სხდომათა დარბაზში, მიხეილ სააკაშვილის წინამძღოლობით, „გადადექი!“, „გადადექის!“ ძახილით შეცვივდნენ. პრეზიდენტი დაცვამ დარბაზიდან გაიყვანა. მომიტინგეები ფიზიკურად დაუპირისპირდნენ ზოგიერთ დეპუტატს, ბევრი მათგანი კი სასწრაფოდ გაეცალა დაძაბულობის კერას და მიიმალა. სააკაშვილი ტრიბუნასთან მივიდა, შევარდნაძისთვის განკუთვნილი ჩაი მოსვა და ადგილი მოქმედ პარლამენტის თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს დაუთმო. მოგვიანებით მომიტინგეები შეცვივდნენ კანცელარიის შენობაში, რომელიღაც ოთახიდან გამოთრეული სავარძელი დალეწეს და ცეცხლი წაუკიდეს. შევარდნაძის ეგონათ.

23 ნოემბერს თბილისში რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი იგორ ივანოვი ჩამოვიდა. მომიტინგეების მხარდასაჭერად გამთენიისას რუსთაველის პროსპექტზე მივიდა, რუსეთ-საქართველოს მეგობრობას გაუმარჯოსო, ბოლო სიტყვა ქართულად წარმოთქვა და შევარდნაძესთან შესახვედრად გაემართა. ამ ფრაზამ ოვაციები დაიმსახურა.

იმავე დღეს, გვიან საღამოს, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში საქართველოს პრეზიდენტს ოპოზიციის ლიდერები შეხვდნენ. შევარდნაძეს გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. მისი ოჯახის წევრების თანადგომა ასეთ დაძაბულ ვითარებაში მნიშვნელოვანი იყო და ამიტომ ის ძალიან მშვიდად ესაუბრა დაბნეულ ახალგაზრდებს – „ბიჭებო, ტყუილად ნერვიულობთ, გადადგომის გადაწყვეტილება უკვე მივიღე და მის შეცვლას არ ვაპირებ. უმჯობესია, ახლა ხვალინდელ დღეზე იფიქროთ. ქვეყნის მართვა ნამდვილი ხელოვნებაა და არ მინდა ამ საქმეში მარცხი განიცადოთ... თუ რამეში ჩემი კონსულტაცია გამოგადგებათ, მზად ვიქნები." ეტყობა ასეთ მოულოდნელ განცხადებას არ ელოდნენ მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ჟვანია, რომლებიც გარშემოხვეული ჟურნალისტებისა და კამერების წინ აშკარად დაბნეულები ჩანდნენ.

„ბატონო პრეზიდენტო, ახლა სად მიდიხართ?" – ჰკითხა მოლაპარაკებიდან გამოსულ შევარდნაძეს ერთ-ერთმა ჟურნალისტმა.

„სახლ-ში" – იყო პასუხი.

შევარდნაძე მართლაც სახლში წავიდა, იქვე, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის გვერდით, სახელმწიფოს კუთვნილი შენობა საქართველოში დაბრუნების შემდეგ მისი საცხოვრებელი ადგილი გახდა. ის მოკლე მანძილი, რომელიც ამ ორ ნაგებობას აკავშირებდა, ალბათ, მის ცხოვრებაში ყველაზე რთულად გასავლელი გზა იყო. რთული, მაგრამ მშვიდობიანი, გაკვალული, სწორი, იმედიანი, ნაყოფიერი. ამ გზაზე ღირსეულად მიაბიჯებდა კაცი, რომელიც გურიის სოფელ მამათში დაიბადა, სკოლის გზაზე პატარამ ფეხშიშველა იარა, მასწავლებელი მამის შეგონებითა და მაგალითით იცხოვრა. კაცი, რომელიც სათაყვანებელ სამშობლოს თავდადებით ემსახურა – ურთულესი მდგომარეობიდან გამოიყვანა, დემოკრატიულ ღირებულებებს აზიარა, ფუნქცია განუსაზღვრა, მსოფლიო დააინტერესა, ევროპულ ოჯახში დააბრუნა და ქართულ სახელმწიფოს მყარი ფუნდამენტი ჩაუყარა. ამ განვლილ გზას არც შეცდომები, მოუშუშებელი ტკივილი თუ მოუგვარებელი პრობლემები აკლდა, არც მტრები და მოძულეები, არც სიკვდილ-სიცოცხლესთან თამაში. და ყველაფრის მიუხედავად გზას აგრძელებდა, რადგან იცოდა, რომ ყველა დიდი გზა, „აბრეშუმისაც" კი, ეკლიანი და წინააღმდეგობებით სავსეა.

შევარდნაძე სახლში წავიდა... და სახლში დარჩა, საქართველოში.

სახლში...

დგანან:
ნინო ახვლედიანი, გია ჯოხთაბერიძე, ლაშა შევარდნაძე, პაატა შევარდნაძე
სხედან:
სოფო შევარდნაძე, თამუნა მოსაშვილი-შევარდნაძე, ნანულიკო შევარდნაძე, ედუარდ შევარდნაძე, მანანა შევარდნაძე

ეპილოგის ნაცვლად

მართალია, ედუარდ შევარდნაძე სახლში წავიდა, მაგრამ პოლიტიკაში ყოფნას აქტიურად აგრძელებდა. მასთან მიდიოდნენ საქართველოში ჩამოსული მაღალი რანგის უცხოელი პოლიტიკოსები, ყოფილი თუ მოქმედი პრეზიდენტები, დიპლომატები, უცხოეთისა თუ საქართველოს უნივერსიტეტების პროფესორები, სტუდენტები, პოლიტოლოგები, მსოფლიოს წამყვანი მედიის წარმომადგენლები – „ამერიკის ხმა", რადიო „თავისუფლება", გერმანიის ტელეარხები – ZDF, Deutsche Welle, რუსული – ОРТ, НТВ, Россия, ბრიტანული BBC, Reuters, ჟურნალები – Der Spiegel, Stern და სხვა. აინტერესებდათ მისი, როგორც დიდი პოლიტიკოსის, მოსაზრებები სხვადასხვა საერთაშორისო თუ რეგიონალური პრობლემების ირგვლივ, სამომავლო პოლიტიკური პროგნოზები. მიდიოდნენ მეგობრები, უბრალო მოქალაქეები. დღესასწაულებზე არ წყდებოდა ტელეფონის ზარი. თავად რამდენჯერმე მიიწვიეს საზღვარგარეთ. გერმანიას სამჯერ ესტუმრა, 2007 წლის მარტის ბოლოს, მისი მეგობრის ჰანს-დიტრიხ გენშერის დაბადების დღეზე, ნოემბერში, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, „როდესაც რკინის ფარდა გაირღვა – შეხვედრები და მოგონებები"– წიგნის პრეზენტაციაზე და 2009 წელს ბერლინის კედლის დაცემის 20 წლისთავთან დაკავშირებით. მის გამოჩენას სიხარულით ხვდებოდნენ, ტაშით ეგებებოდნენ აეროპორტსა თუ ქუჩაში. ქართულ პრესაშიც მუდმივად აქვეყნებდა წერილებს, პოლიტიკურ მიმოხილვებს, ინტერვიუებს, დაიწყო მუშაობა მემუარების

ინტერვიუ შვილიშვილთან. ჟურნალისტი სოფო შევარდნაძე

აშშ-ის ელჩი ჯონ ტეფტი, ედუარდ შევარდნაძე

გერმანიის ელჩი პატრიცია ფლორი სტუმრად კრწანისში



ედუარდ შევარდნაძის წიგნის პრეზენტაცია. გერმანია. 2007

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა. ავტოგრაფი მკითხველებს

სამების საკათედრო ტაძრის გახსნამდე ერთი დღით ადრე
22 ნოემბერი. 2004

წმ. გიორგის I ხარისხის ორდენი

წიგნზე. არც ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა არ რჩებოდა მისი ყურადღების მიღმა, თავის მოსაზრებას ყოველთვის გამოთქვამდა მიმართვის, განცხადების ან კომენტარის სახით. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს კი თითქმის 24 საათიან რეჟიმში მიმდინარეობდა მსოფლიო მედიის წარმომადგენლების საგაზეთო თუ სატელეფონო ინტერვიუები, არ წყდებოდა სხვადასხვა ტელეარხების ჟურნალისტთა სტუმრობა, გერმანიის, უკრაინისა და საფრანგეთის ტელეგადაცემებში პირდაპირი ჩართვები. „ჩემი მიზანია მივმართო პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს და პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს – დაუყოვნებლივ შეწყვიტონ პატარა საქართველოს ოკუპაცია და სასწრაფოდ გაიყვანონ ჯარები ქვეყნის ტერიტორიიდან...რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ვიზრუნოთ ჩვენი ხალხების ტრადიციული ურთიერთობისა და მეგობრობის აღდგენაზე. ეს კი ორივე ხალხის სასიცოცხლო ინტერესებშია..“ წერდა 2008 წლის 20 აგვისტოს მიმართვის ტექსტში ედუარდ შევარდნაძე.

„ორი ვადით არჩეული საქართველოს მეორე პრეზიდენტი სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის საცხოვრებელ სახლში, სადაც სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული ჯილდოები, სტუმრებისგან მორთმეული საჩუქრები, საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენის ამსახველი ფოტოარქივი და მრავალი დოკუმენტი ინახება. ამ სახლის ეზოშია მისი ერთგული თანამგზავრის – ნანული ცაგარეიშვილი-შევარდნაძის უკანასკნელი განსასვენებელი.

ედუარდ შევარდნაძეს ხშირად სტუმრობდა და ამხნევებდა მისი სულიერი მოძღვარი და ნათლია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა ილია მეორე, რომელიც ურთულეს პერიოდებში შევარდნაძის გვერდით იდგა, იქნებოდა ეს ტერაქტები თუ გადადგომის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

ედუარდ შევარდნაძეს ავადმყოფობის პერიოდშიც არ ღალატობდა ჩვეული იუმორის გრძნობა. ერთხელ, აღსარების და ზიარების მიღების შემდეგ, მამა შალვა კეკელიას ფოტოს გადაღება შესთავაზა, თან ღიმილით დაამატა – ეს სურათი შენ აქ გამოგადგება, მე კი იქო.

ედუარდ შევარდნაძე 2014 წლის 7 ივლისს გარდაიცვალა.

ამ დროისთვის ხელისუფლების სათავეში რევოლუციური სამეულიდან არც ერთი აღარ იყო. ზოგი ტრაგიკულად დაიღუპა, ზოგის სასტიკმა და დაუნდობელმა საშინაო პოლიტიკამ ხაზი გადაუსვა ქვეყანაში გატარებულ ნამდვილად საჭირო რეფორმებს, სახელმწიფო ინსტიტუტების მოდერნიზაციას და მოსახლეობის უმრავლესობის პროტესტი გამოიწვია. ხისტმა საგარეო პოლიტიკამ არსებული კონფლიქტები გაამწვავა, დაგეგმილ პროვოკაციებს წამოაგო გამოუცდელი პოლიტიკოსები და ქვეყანა ომამდე მიიყვანა. ზოგმაც პოლიტიკური ორიენტაციის დასავლური ვექტორი ჩრდილოეთისკენ შეატრიალა და ერთ დროს თანამოაზრეების ოპოზიცია გახდა. მძიმე სიტუაციის მიუხედავად, შევარდნაძის მიერ გაკვალულ

ჯილდო „აბრეშუმის გზის“ აღორძინებისთვის

პატრიარქის სტუმრობა

მამა შალვა კეკელიასთან ერთად

დასავლურ გზაზე მაინც დგას ჩვენი ქვეყანა და წინ მიდის. წინ, მომავლისკენ, სადაც უფრო კარგად და ნათლად გამოჩნდება გზის დასაწყისში ვინ, რა და როგორ გააკეთა. მომავალი თაობა თავიდან აღმოაჩენს და გაიცნობს ედუარდ შევარდნაძეს.

„ეს იყო რთული გზა, ეს იყო გრძელი გზა, რომელიც შენ განვლე და რომელმაც ევროპას ახალი მომავალი მისცა, ამისთვის მადლობას გიხდი და მადლობას გიხდი შენი მეგობრობისთვის. შენ ჩვენ მოგონებებში დარჩები, როგორც დიდი ევროპელი სახელმწიფო მოღვაწე, როგორც ახალი მსოფლიო წყობის თანაავტორი, როგორც ქართველი პატრიოტი, ჩვენი მეგობარი, რომელმაც ახალი აზროვნებით ჩვენი ნდობა და პატივისცემა მოიპოვა“ – ამ სიტყვებით გამოეთხოვა თავის მეგობარსა და კოლეგას ჰანს-დიტრიხ გენშერი.

2014 წლის 13 ივლისს სამების საკათედრო ტაძრიდან უკანასკნელ გზაზე გააცილეს საქართველოს მეორე პრეზიდენტი, ტაძრიდან, რომლის აშენებაშიც მისი უდიდესი წვლილია.

ედუარდ შევარდნაძე სხვადასხვა დროს დაჯილდოვდა სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავით, ლენინის ხუთი ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით. საქართველოში მინიჭებული აქვს მრავალი საპატიო წოდება და ჯილდო.

2003 წლის 25 იანვარს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დააჯილდოვა წმინდა გიორგის I ხარისხის ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე იყო საზღვარგარეთის არაერთი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და სხვადასხვა აკადემიის საპატიო წევრი.

მინიჭებული აქვს სხვადასხვა ქვეყნის მიერ დაწესებული საპატიო ჯილდოები:

1992 წელს დეკემბერში ქეარინგის ინსტიტუტმა (აშშ) მიანიჭა ეროვნული ჯილდო უდიდესი წვლილისათვის ადამიანის უფლებების დარგში და არაჩვეულებრივი თანაგრძნობისათვის კაცობრიობის მიმართ.

1993 წელს მიენიჭა ჰამბურგის საქველმოქმედო საზოგადოების იმანუილ კანტის (გერმანია) სახელობის პრემია 1992 წელს ევროპაში მშვიდობის დასამყარებლად განსაკუთრებული დამსახურებისთვის და აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის.

1993 წელს ამერიკის აღმოსავლეთისა და დასავლეთის უსაფრთხოების საკითხთა შემსწავლელი ინსტიტუტის მიერ ჯილდოს გადაცემით დაფასდა მისი წვლილი „ცივი ომის“ დასრულებისა და ქვეყნების გათავისუფლების საქმეში.

1997 წლის 2 ივლისს ონასისის საერთაშორისო ფონდის (საბერძნეთი) დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ონასისის ფონდის პრემია – საერთაშორისო ურთიერთგაგებისა და სოციალური მიღწევებისათვის.

1997 წლის დეკემბერში ნიქსონის სახელობის ცენტრის დირექტორთა საბჭომ (აშშ, ვაშინგტონი) მიანიჭა ნიქსონის სახელობის საგანგებო პრემია ეროვნული სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის – საბჭოთა კავშირში მშვიდობიანი რევოლუციის განხორციელებაში შეტანილი წვლილის, ასევე ახალი და დემოკრატიული საქართველოს მშენებლობაში შესანიშნავი მიღწევების აღსანიშნავად.

1998 წლის 14 იანვარს გადაეცა ისრაელის დემოკრატიული ინსტიტუტის სპეციალური პრემია საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისათვის და, აგრეთვე, ებრაელთა სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობისათვის (ისრაილი, იერუსალიმი).

1998 წლის 9 ივნისს გადაეცა აშშ-ის აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტის ჯილდო საუკეთესო ევროპელი სახელმწიფო მოღვაწისათვის.

1999 წლის ივლისში ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (აშშ) დაა-ჯილდოვა ავერელ ჰარიმანის დემოკრატიის პრემიით დემოკრატიასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სამაგალითო საქმიანობისთვის.

1999 წლის 13 ოქტომბერს გადაეცა გერმანიის ფედერალური რეს-პუბლიკის უმაღლესი ჯილდო „უმაღლესი ხარისხის დიდი ფედერალური ჯვარი“ – სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას გერმანიის გაერთიანებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

1999 წლის 14 ოქტომბერს გადაეცა ლუდვიგ ვიუნშეს სახელობის პრემია განსაკუთრებული ღვაწლისათვის ხალხთა შორის გაგებისა და ტოლერანტობის დამკვიდრებაში.

1999 წლის 29 ოქტომბერს გადაეცა თურქეთის მწერალთა და ჟურნალისტთა ფონდის ჯილდო ხალხთა დაახლოების საქმეში გაწეული ღვაწლის აღსანიშნავად.

2000 წლის 15 მარტს დაჯილდოვდა იაროსლავ ბრძენის პირველი ხარისხის ორდენით – ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის ტრადიციული მეგობრობის განმტკიცების, საქართველოსა და უკრაინის თანამშრომლობის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

2000 წლის 19 ივლისს დაჯილდოვდა „წმინდა მიხეილისა და წმინდა გიორგის დიდი ჯვრის“ ორდენით ბუკინგემის სასახლეში. დედოფალმა ელისაბედ მეორემ პირადად გადასცა საქართველოს პრეზიდენტს უცხოელებისათვის განკუთვნილი უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო და რაინდად აკურთხა.

2000 წლის 15 სექტემბერს იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა კიოში რომაცუურამ საქართველოს პრეზიდენტი, როგორც საუკუნის ერთ-ერთი დიდი მოაზროვნე, დააჯილდოვა კონფუცის დიდი მედლით.

2000 წლის 30 სექტემბერს მალტის რაინდთა წმინდა იოანე იერუსალიმელის დიდი ორდენის საერთაშორისო მარშალმა ოტო ოკლიკმა საქართველოს პრეზიდენტს გადასცა უმაღლესი ჯილდო „დიდი ჯვარი," – „კაცობრიობის საკეთილდღეოდ გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის, კერძოდ: ბერლინის კედლის დანგრევისა და ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისათვის."

2011 წლის 17 ივნისს კრწანისის რეზიდენციაში საავტომობილო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირის (IRU) გენერალურმა მდივანმა მარტინ მარმმა გადასცა ჯილდო განსაკუთრებული დამსახურებისათვის „აბრეშუმის გზის" აღორძინების საქმეში.

ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური მოღვაწეობა